ISSN 2587-4713

VOLUME 105

ISSUE 3-4. 2023

DOI:10.36962/ECS

ტომი 105, 3-4. 2023

ECONOMICS

1918

# ეკონომიკა



1918

მეცნიერება, პრაქტიკა, გამოცდილება

SCIENCE, PRACTICE, EXPERIENCE

**ISSN 2587-4713**
**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023**

# ეკონომიკა
# ECONOMICS

ტომი 105, 3-4 2023
VOLUME 105, ISSUE 3-4 2023

ინდექსირდება საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში
Indexing in International Scientific Databases:

**E-ISSN 2733-3361**

საქართველო, თბილისი 2023
GEORGIA, TBILISI, 2023

# ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი
„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный
рецензируемый и реферируемый научный журнал
“ECONOMICS ” - Monthly International reviewed
and refereed scientific journal

ტომი 105, 3-4. 2023
VOLUME 105, ISSUE 3-4. 2023
DOI:10.36962/ECS105/3-4/2023

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან
Journal published since 1918

**რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)**

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ნ. აბესაძე; თ. ბაბუნაშვილი; ნ. ბაკაშვილი; ე. ბარათაშვილი; ლ. ბახტაძე; მ. გვიჩია; რ. გოგოხია; ვ. დათაშვილი; მ. კაკულია; დ. კარბონი **(იტალია)**; პ. კოღუაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; ა, რზეპკა **(პოლონეთი)** მ. როკეტლიშვილი (**აშშ**); უ. სამადაშვილი; ა. სილაგაძე; ა. სიჭინავა; ო. სოლდატენკო **(უკრაინა)**; ა. სხირტლაძე; დ. ქავთარაძე; ა. ქუთათელაძე; რ. ქუთათელაძე; კ. ღურწკაია; გ. ღავთაძე; ნ. შენგელია; თ. შენგელია; ნ. ჩიხლაძე; ჟ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; ლ. ხარბედია; მ. ჯიბუტი. გ. ჯოლია.

**ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)**

Арчвадзе И., Абралава А., Абесадзе Н., Бабунашвили Т., Бараташвили Е., Бакашвили Н., Бахтадзе Л., Гавтадзе Г., Гвичия М., Гогохия Р., Гурцкая К., Даташвили В., Джибути М., Джолия Г., Кавтарадзе Д., Какулия М., Карбон Д. (**Италия**), Когуашвили П., Кутателадзе А., Кутателадзе Р., Липартия З., Малашхиа Г. Меквабишвили Э., Маршава К., Папава В., Рзепка А. **(Польша)**, Павлиашвили С., Рокетлишвили М. (**США**), Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О. (**Украина**), Схиртладзе А., Самадашвили У., Читанава Н., Чихладзе Н., Шенгелия Н., Шенгелия Т., Циклаури Ж., Харбедия Л.

**REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)**

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; N. ABESADZE; T. BABUNASHVILI E. BARATASHVILI; N. BAKASHVILI; L. BAKHTADZE; N. CHIKHLADZE; G. GHAVTADZE; M. GVICHIA; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; M. KAKULIA; D. KARBON **(ITALY)**; L. KHARBEDIA; P. KOGHUASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V.PAPAVA; A. RZEPKA **(POLAND)**; M. ROKETLISHVILI **(USA)**; U. SAMADASHVILI; N. SHENGELIA; A. SILAGADZE; A. SICHINAVA; O. SOLDATENKO **(UKRAINE);** A. SKHIRTLADZE; D. QAVTARADZE; A. QUTATELADZE; R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA; T. SHENGELIA; ZH. TSIKLAURI; N. CHITANAVA; M. JIBUTI; G. JOLIA.

სტატიაში მოყვანილი ფაქტების, მონაცემების სიზუსტესა
და პლაგიატზე პასუხისმგებელია ავტორი.

**The Author is responsible for plagiarism
and for the accuracy of the facts, data given in the article.**

**თბილისი - 2023**

# შინაარსი


## ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

**ვალერ მაჭარაშვილი, ვალერი მოსიაშვილი -**
მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის გაძლიერების ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები საქართველოში
**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-07 ---------- 7**

**მაკა კუჭავა, მარინა მეტრეველი -** გამოწვევები საქართველოს ჯანდაცვის მართვის სისტემებში და მათი გადაწყვეტის გზები
**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-18 ---------- 18**

**გიორგი გიგოლაშვილი, ნატო გეგენავა -** საპენსიო რეფორმის ძირითადი მიზნები
**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-38 ---------- 38**

## ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

**თენგიზ ლაჭყეპიანი, მაია ლომიშვილი, თამთა უთნელიშვილი -**
მწვანე ეკონომიკა როგორც მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მიმართულება
**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-44 ---------- 44**

**თამარ დუდაური -** ბლოკჩეინი, როგორც სახელმწიფოს დიგიტალიზაციისა და ციფრულ ეკონომიკაზე გადასვლის ერთ - ერთი ელემენტი
**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-53 ---------- 53**

**თეიმურაზ გოდერძიშვილი -** ხელოვნური ინტელექტი და კრეატიული აზროვნება, იდეების გენერაციის მომავალი
**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-63 ---------- 63**

**ნატო ჩიკვილაძე -** ეროვნული სიმდიდრე, როგორც ეკონომიკური კატეგორია
**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-74 ---------- 74**

## რეგიონული ეკონომიკა

**ელენე ბლიაძე -** მიწის საკადასტრო მონაცემთა კვლევის შედეგები სოფელ მზისგულის მაგალითზე
**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-84 ---------- 84**

**ზურა გამთენაძე -** მცირე და საშუალო ზომის საწარმოების (SMEs) როლი საქართველოს რეგიონულ ეკონომიკაში
**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-108 -------------------------------- 108**

## ფინანსები, ბანკები, ბირჟები

**გელიტაშვილი გოგა, ბურდიაშვილი რატი, ჭელიძე მედეა -** საბანკო რეგულირების და ზედამხედველობის სადისკუსიო საკითხები
**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-122 -------------------------------- 122**

## დარგობრივი ეკონომიკა

**აკაკი ნიკოლაიშვილი, არჩილ ცერცვაძე, -** აგრო ზარალების შეფასების მეთოდოლოგიის სრულყოფის საკითხები
**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-134 -------------------------------- 134**
**გიორგი გარაყანიძე -** ყაზახური ნავთობის ე.წ „შუა დერეფნის“ გამოყენებით ტრანსპორტირების პერსპექტივები
**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-142 -------------------------------- 142**
**გიგა ხარაზი, ჟუჟუნა წიკლაური - შენგელია -** საქართველოზე გამავალი შუა კორიდორის სატრანზიტო დერეფნის განვითარების პერსპექტივები
**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-154 -------------------------------- 154**
**საბა ზედგინიძე, ლია ბერიკაშვილი -** საწარმოს მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება
**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-163 -------------------------------- 163**
**ვანო ივანიშვილი - -** ლოგისტიკური სისტემის ეფექტიანობა საქართველოში
**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-174 -------------------------------- 174**

## ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

**საბა ზედგინიძე, ლია ბერიკაშვილი -** სტრატეგიული მარკეტინგი და კომპანიის სტაბილური ზრდა
**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-189 -------------------------------- 189**
**ანი ტატიშვილი -** საბანკო ინოვაციის ცნება და მათი კლასიფიკაცია
**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-202 -------------------------------- 202**
**სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი---- 210**

# CONTENTS

**ECONOMIC REFORMS: ANALYSIS, PROBLEMS AND PERSPECTIVES**

**Valer Matcharashvili, Valeri Mosiashvili -** Main Directions and Priorities of Strengthening State Support for Small Businesses in Georgia
**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-07** ---------------------------------------- 7

**Maka Kuchava, Marina Metreveli -** Challenges in Healthcare Management Models in the Country of Georgia and Proposed Solutions
**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-18** -------------------------------------- 18

**Georgi Gigolashvili, Nato Gegenava -** The Main Objectives of Pension Reform
**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-38** -------------------------------------- 38

**MODERN PROBLEMS OF ECONOMICS**

**Tengiz Lachkepiani, Maia Lomishvili,Tamta Utnelishvili -** Green Economy as One of the Sustainable Development Directions
**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-44** -------------------------------------- 44

**Tamar Dudauri -** Blockchain as One of the Elements of Digitalization of the State and Transition to the Digital Economy
**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-53** -------------------------------------- 53

**Teimuraz Goderdzishvili -** Artificial Intelligence and Creative Thinking, the Future of Idea Generation
**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-63** -------------------------------------- 63

**Nato Chikviladze -** National Wealth as an Economic Category
**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-74** -------------------------------------- 74

**REGIONAL ECONOMICS**

**Elene Bliadze -** The Results of Land Cadastral Data Research on the Example of the Village Mzisguli
**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-84** -------------------------------------- 84

**Zura Gamtenadze -** Small and Medium-sized Enterprises (SMEs) Role in Georgian Regional Economy
**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-108** ---------------------------------- 108

**FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS**

**Gelitashvili Goga, Burdiashvili Rati, Chelidze Medea -**
Discussion of Issues on the Essence
of Banking Regulation and Supervision
**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-122 -------------------------------- 122**

**SECTORAL ECONOMY**

**Akaki Nikolaishvili, Archil Tsertsvadze -** Issues of Improving
the Methodology of Agricultural Damage Assessment
**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-134 -------------------------------- 134**
**Giorgi Garakanidze -** Prospects of Transporting
Kazakhstan's Oil Using the So-called "Middle Corridor"
**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-142 -------------------------------- 142**
**Giga Kharazi, Zhuzhuna Tsiklauri-Shengelia-**
Prospects for the Development of the Middle
Transit Corridor Passing Through Georgia
**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-154 -------------------------------- 154**
**Saba Zedginidze, Lia Berikashvili -**
Development of An Enterprise Marketing Strategy
**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-163 -------------------------------- 163**
**Vano Ivanishvili-** The Efficiency of the Logistic System in Georgia
**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-174 -------------------------------- 174**

**BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING**

**Saba Zedginidze, Lia Berikashvili-** Strategic Marketing
and Stable Growth of the Company
**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-189 -------------------------------- 189**
**Ani Tatishvili -** Concept of Banking Innovation and Their Classification
**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-202 -------------------------------- 202**

**Publication Requirements ------------------------------------------------ 210**

# მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის გაძლიერების ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები საქართველოში

DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-07

**ვალერ მაჭარაშვილი,**
ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
valer.matcharashvili@yahoo.com

**ვალერი მოსიაშვილი**
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, სეუ
vmosiashvili@seu.edu.ge

## რეზიუმე

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს. მცირე და საშუალო ბიზნესი, როგორც ეროვნული ეკონომიკის ქვესისტემა და ეკონომიკური აქტიურობის განსაკუთრებული ფორმა, ვერ განვითარდება მხოლოდ მისთვის შექმნილი გარეშე პირობების წყალობით, როგორი ხელსაყრელიც არ უნდა იყოს ის. ეროვნულ ეკონომიკაში უნდა შეიქმნას, „გამოიზარდოს" განსაკუთრებული ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მცირე და საშუალო ბიზნესის მდგრად აღწარმოებას. განხილულია მეცნიერების სხვადასხვა დარგებში „წარმატების" ცნების კვლევისადმი მიდგომების ევოლუცია და ამის საფუძველზე დაზუსტებულია მისი არსი, გაანალიზებულია მცირე და საშუალო ბიზნესის წარმატების თავისებურებები ჩვენს ქვეყანაში. მოცმულია წა-

რმატების ფაქტორების ანალიზი. მოცემულია ფაქტორების ავტორისეული კლასიფიკაცია, რომელიც ეფუძნება შინაგან და გარეგან ფაქტორებად მათ დაყოფას; შინაგანი ფაქტორები აკონტროლებენ თავად კომპანიებს, ხოლო გარეგანი ფაქტორები კომპანიების საზღვრებს სცდება და გავლენას ახდენენ სრულად კომპანიის საქმიანობაზე.

**საკვანძო სიტყვები:** მცირე ბიზნესი, სახელმწიფო მხარდაჭერა, გრანტი, წარმოების ზრდა, მეწარმეობა.

## ძირითადი ტექსტი

საქართველოში ბოლო პერიოდში ნათლად იქნა გამოკვეთილი ევროინტეგრაციის სტრატეგია, რომლის დასტურიცაა 2014 წლის ივნისში ევროკავშირთან გაფორმებული ხელშეკრულებები ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. აღნიშნული შეთანხმებები კიდევ უფრო აღრმავებს ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის მოდელთან დაახლოების პროცესს, რომლის ერთ-ერთი შემადგენელია მცირე ბიზნესის დაჩქარებული განვითარების ხელშეწყობა. მცირე ბიზნესის ხელშეწყობა ევროკავშირში ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ განმახორციელებელ ფაქტორად არის აღიარებული და უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ამ კუთხით განსაკუთრებული ქმედებები ხორციელდება, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია საქართველოსთვის მცირე ბიზნესთან დამოკიდებულების თვალსაზრისით.

21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში საქართველოში ბიზნესის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის თანახმად, „შრომა თავისუფალია, სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას". უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გამარტივდა საწარმოთა რეგისტრაციისა და ბიზნესის დაწყების პროცედურები. ამის შედეგად საქართველომ საუკეთესო შედეგები გამოავლინა ისეთ ინდიკატორებთან მიმართებაში, როგორიცაა „ბიზნესის დაწყებასთან დაკავშირებული პროცედურები"

და „ბიზნესის დასაწყებად საჭირო დღეების რაოდენობა“. შესაბამისად, ქვეყანამ ამ მაჩვენებლებით მსოფლიოში მე-8 და მე-3 ადგილები დაიკავა. აღნიშნულ სფეროში განხორციელებული რეფორმები მნიშვნელოვანია თავისი მასშტაბითა და ხარისხით. რეგისტრაციის პროცედურების გაიოლებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ახლად დარეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა. დასრულდა მონაცემთა ბაზის გაერთიანება, სადაც თავი მოიყარა სარეგისტრაციო, უძრავი, მოძრავი და არამატერიალური ქონების, გირავნობის, იპოთეკის, საკადასტრო, ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს, სალიზინგო რეესტრის და სხვა მონაცემებმა.

საქართველოში სადღეისოდ ძალზე მცირე რამაა გაკეთებული მცირე ბიზნესისათვის ხელსაყრელი საკანონმდებლო ცვლილებების შემოღების კუთხით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საგადასახადო კოდექსში შეტანილ მუხლებს მიკრო- და მცირე საწარმოთა დაბეგვრის კუთხით და საბაჟო პროცედურების გამარტივების საკითხს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმდინარე ეტაპზე საქართველოში გარდაუვლად მიგვაჩნია მცირე და საშუალო ბიზნესის საკანონმდებლო და ადმინისტრაციული საფუძვლების გამტკიცება. ამ მიზნით, შესაბამისად, საჭიროა:

- მიღებულ იქნას კანონი მცირე და საშუალო საწარმოების შესახებ;
- შეიქმნას მცირე ბიზნესის ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიული და ტაქტიკური ხასიათის ამოცანების რეალიზებას, უზრუნველყოფს ქვეყანაში მცირე ბიზნესის პოლიტიკის შემუშავებას და განხორციელებას, მასში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვას და საქმიანობის კოორდინაციას.

ამ კუთხით დღეისათვის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შემუშავებულია პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა 2015 წლიდან მცირე ბიზნესის ხელშემწყობი სააგენტოს შექმნას და 2015-2017 წლებში ამ მიმართულებით 150 მლნ ლარის ხარჯების გამოყოფას. ამ სამი

წლის განმავლობაში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ქვეყანაში 5 ათასი პროექტის განხორციელებას და 30000 ათასი სამუშაო ადგილის შექმნას გეგმავდა.

მიმდინარე ეტაპზე გადაუდებელი ამოცანაა ბიზნესის ხელშეწყობის აბსტრაქტული პოლიტიკის ტრანსფორმირება და მცირე და საშუალო საწარმოთა ხელშეწყობის კონკრეტულ პოლიტიკაზე გადასვლა, რომლის შედეგად ქვეყანაში ახლო მომავალში შესაძლებელი გახდება მაქსიმალური შედეგის მიღწევა ეკონომიკური აქტივობის, დასაქმებისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის სფეროებში.

საქართველოში, მცირე ბიზნესის განვითარების საკანონმდებლო ბაზაში ცვლილებების პარალელურად, აუცილებელია პრაქტიკაში დაინერგოს „მცირე და საშუალო საწარმოთა ტესტი“ ანუ რეალური ზემოქმედების შეფასება, რომელიც გულისხმობს საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ეკონომიკური, სოციალური და გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების გაანალიზებას, შესაბამისი პოლიტიკური არჩევანის გაკეთებას ხარჯთ-სარგებლიანობის შეფასების საფუძველზე. აღნიშნული ქმედებების განხორციელების საუკეთესო საშუალებას იძლევა ე.წ. „მცირე და საშუალო საწარმოთა ტესტი“ (SME Test). აღნიშნული ტესტის პრაქტიკაში დანერგვა საშუალებას მოგვცემს წინასწარ განისაზღვროს თუ რომელ ბიზნეს სეგმენტზე მოახდენს ზეგავლენას დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებები, გაიზომოს მცირე ბიზნესზე მოსალოდნელი ზემოქმედების შედეგები და, შესაბამისად, შესაძლებელი გახდეს აღმოიფხვრას ან შემცირდეს მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები.

საქართველოში მცირე ბიზნესის წარმატებით განვითარების საქმეში აუცილებელია ასევე რეგულაციური ზემოქმედების ანალიზის (Regulatory Inpact Analysis-RIA) გამოყენება, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა ხასიათის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად მცირე საწარმოზე მოსალოდნელი ზემოქმედების მუდმივი შეფასების განხორციელებას და მათ სავალდებულო გათვალისწინებას საკანონმდებლო ცვლილებების პროცესში.

ეროვნული მცირე ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის მაჩვენებლების ასამაღლებლად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა საერთაშორისო ბაზრებზე ქართული მცირე საწარმოს ოპერირების დამაბრკოლებელი გარემოებების შესწავლა. ქართული მცირე საწარმოების ინტერნაციონალიზაციის მაჩვენებლების გაუმჯობესების საქმეში განსაკუთრებული როლი განეკუთვნება სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის ქმედებების განხორციელებას. ამ მიზნით მთავრობამ უნდა გაატაროს ეფექტური პოლიტიკა, რაც გულისხმობს სწრაფად მზარდ მცირე საწარმოთა ინტერნაციონალიზაციის საჭიროებაში გათვითცნობიერების ხელშეწყობას. ამასთან, მთავრობამ უნდა შეიმუშაოს სპეციალური პოლიტიკა და მოქმედებათა გეგმა, რომელიც საწარმოებს ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის ამოცანის შესრულებას გაუიოლებს.

მცირე და საშუალო ბიზნესის აღორძინებას სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი წინაპირობების კომპლექსური მომზადება და კარგად გააზრებული ღონისძიებების პერმანენტული განხორციელება ესაჭიროება. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილებების მომზადების საწყის ეტაპზე საზოგადოების და ბიზნეს წრეების აქტიური ჩართულობით შემუშავებული უნდა იქნეს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია და თანდათანობით განხორციელდეს ღონისძიებები მისი იმპლემენტაციისათვის. სტრატეგია უნდა მოიცავდეს სახელმწიფოებრივი საბანკო-საკრედიტო პოლიტიკისა და საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას, მეწარმეთა საკონსულტაციო-საინფორმაციო მომსახურების ხელ-მისაწვდომობას და სხვა.

საქართველოში განხორციელებულმა დასაქმების ბევრმა პროგრამამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და ხელისუფლება დარწმუნდა, რომ არსებულ საწარმოებთან მუშაობა ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად არაპერსპექტიული გზაა. საქართველოს ეკონომიკაში დღეისათვის ცხადად გამოიკვეთა მთავარი პრიორიტეტი - მცირე მეწარმეობის განვითარების

ხელშეწყობა, რომელსაც რეალურად შესწევს უნარი შეცვალოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სურათი, გაზარდოს წარმოებული პროდუქციის და მომსახურების მოცულობა და აამაღლოს მოსახლეობის ცხოვრების დონე.

საქართველოს ხელისუფლებამ მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით შემდეგი სამი მთავარი საკითხი უნდა გადაჭრას:

*1. მცირე მეწარმეობის წახალისება* იმისათვის, რომ რაც შეიძლება ბევრმა დაუსაქმებელმა ან კიდევ არადამაკმაყოფილებლად დასაქმებულმა ადამიანმა გადაწყვიტოს საკუთარი საქმის დაწყება და გადადგას პირველი ნაბიჯები ამ მიმართებით;

*2. მცირე მეწარმეთა სწავლება* იმისათვის, რომ სულ უფრო ბევრმა მეწარმემ, საკუთარი საქმიანობის პირველივე ნაბიჯების გადადგმისას, რაც შეიძლება მეტი სწორი ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღება შეძლოს როგორც მმართველობითი, ისე პროფესიული განვითარების თვალსაზრისით;

*3. მცირე მეწარმეების დახმარება გაყიდვებში* . იმისათვის, რომ მიიღონ პირველი შემოსავლები, რაც კიდევ უფრო გაზრდის მოტივაციას, დაეხმარება დამატებითი საჭირო სახსრების მოძიებაში, საწარმოო საშუალებების შეძენასა და გაუმჯობესებაში (ეს არის ყველაზე კრიტიკული საკითხი, რომლის გადაჭრაც ცალკე აღებულ ერთ მეწარმეს ძალიან უჭირს, ან არ შეუძლია და ამის გარეშე საქმის დაწყების პერსპექტივასაც ვერ ხედავენ ადამიანები).

იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება ამ სამ კომპონენტზე ააგებს მცირე მეწარმეთა მხარდაჭერის პროგრამას, მას საშუალება ექნება უახლოეს 3-5 წელიწადში მიიღოს 200 000-მდე მცირე საწარმო, რომლებიც ქვეყნის მშპ-ის 20-25% შექმნიან მომავალში. ამ ამოცანის გადაჭრა არც თუ ისე რთულია ხელისუფლებისთვის. ამას უბრალოდ სჭირდება თანმიმდევრული მოქმედების სტრატეგიის შემუშავება რამოდენიმე მიმართულებით, კერძოდ:

***მცირე მეწარმეობის წახალისების კუთხით:***

**ა) უპირველეს ყოვლისა, ძალზე მნიშვნელოვანია მაგალითის**

**ძალა,** კერძოდ, რაც უფრო მეტი ადამიანის შესახებ გავრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნულიდან დაიწყეს და დღეს აქვთ წარმატებული მცირე საწარმო, მით უფრო მეტი ადამიანი იფიქრებს, რომ მასაც აქვს უნარი და გაუჩნდება სურვილი შექმნას მცირე საწარმო. ამისათვის უბრალოდ ადგილებზე საჭიროა ინფორმაციის მოგროვება წარმატებული მცირე მეწარმეების შესახებ და მისი აქტიური გავრცელება საინფორმაციო საშუალებებით.

**ბ) მეორე მნიშვნელოვანი საკითხია ამ მიმართულებით იდეების მიწოდება** იმის თაობაზე, თუ რა შეიძლება გააკეთონ ადამიანებმა, რომლებმაც საკუთარი საქმის წამოწყება გადაწყვიტეს და რა შესაძლებლობები არსებობს. თუნდაც, მარტო ქვეყანაში იმპორტირებული საქონლის ჩამონათვალი ავიღოთ და შევთავაზოთ ხალხს ადგილზე დაიწყონ იგივეს წარმოება და სახელმწიფო თავის მხრიდან დაპირდეს ეროვნული პროდუქციის გაყიდვების სტიმულირებას შესაბამისი კამპანიების განხორციელებით, მარტო ეს იქნება მნიშვნელოვანი ბიძგი მცირე მეწარმეობის განვითარებისთვის.

**გ) მესამე მნიშვნელოვანი საკითხია საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის შექმნა,** რომელიც გააცნობს ახლად დამწყებ ან მცირე მეწარმეობის მსურველებს ყველა იურიდიულ და ტექნიკურ დეტალს საკუთარი საქმიანობის დაწყების შესახებ.

***მცირე მეწარმეთა სწავლების კუთხით:***

**ა) საქმიანობის დასაწყებად და წარმართვისთვის საჭიროა** კომპეტენცია, ანუ მცირე მეწარმეთა მხრიდან მმართველობითი და ტექნიკური კომპეტენციის შეძენა საქმიანობის დასაწყებად და საწარმოებლად. ამ მიზნით სახელმწიფოს შეუძლია გამოაცხადოს ტენდერები სასწავლო პროგრამების შემუშავებაზე და ყველას, ვინც ამ სასწავლო პროგრამებს გაივლის, დაპირდეს დახმარებებს გაყიდვებში. ასეთ პირობებში სწავლების საფასურის ნა-წილს დამწყები მეწარმეები თვითონაც გადაიხდიან.

**ბ) საინფორმაციო ბიულეტინების მომზადება** მცირე მეწარმეთათვის, რომელიც მოიცავს მათთვის მნიშვნელოვან ყველა

მიმდინარე ინფორმაციას, რჩევებს და განმარტებებს საკანონმდებლო-საგადასახადო ნიუანსებზე. ბიულეტინი ნელ-ნელა დაეხმარება მცირე მეწარმეებს საკუთარი საქმის განვითარებაში.

***მცირე მეწარმეთა დახმარება გაყიდვების კუთხით:***

**ა) ამ პროგრამის მთავარი მამოძრავებელი ძალა უნდა გახდეს მცირე მეწარმეთა დახმარება ადრეულ გაყიდვებში.** დღეს ასეთი დახმარებისათვის ყველაზე კარგი წინაპირობა არსებობს - „იყიდება ეროვნული პროდუქტი, დაეხმარე ეკონომიკას და მცირე მეწარმეობის განვითარებას საქართველოში". იგი უნდა გახდეს ეროვნული კამპანია, რომელსაც ექნება შთამბეჭდავი ეფექტი.

**ბ) მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია სპეციალურია ბაზრობების, სავაჭრო ადგილების ორგანიზება მცირე მეწარმეთათვის და სარეკლამო კატალოგების მომზადება.** ასევე საჭირო იქნება საკუთარი ინტერნეტ-პორტალის შექმნა, სადაც მცირე მეწარმეები შეძლებენ საკუთარი პროდუქციისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის განთავსებას.

დაბოლოს, **დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს,** რომ საქართველოს ხელისუფლებამ, რომელიც მცირე ბიზნესთან მიმართებაში მრავალი გადაუჭრელი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, დროული პირველი ნაბიჯები გადადგა პრიორიტეტული დარგის - სოფლის მეურნეობის - პროდუქციის წარმოების სტიმულირებისათვის, იაფი კრედიტის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ამჟამად, ქვეყნის დღის წესრიგში დგას მცირე მეწარმეობის ეფექტიანობის ზრდაზე ფოკუსირებული პოლიტიკის გადაუდებელი განხორციელების საჭიროება ევროკავშირის მოთხოვნათა შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს სამომავლოდ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა გადაწყვეტას და ევროინტეგრაციის პროცესის დაჩქარებას.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. თანაინვესტირების ფონდის ინვესტორები და პრიორიტეტები//http://www.netgazeti.ge/ GE/105/business /23978/.

2. იაშვილი გ. სტრატეგიული მენეჯმენტი მცირე და საშუ-

ალო საწარმოებში. - თბილისი: საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”, თბ., 2009.

3. მექვაბიშვილი ე., „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება, როგორც საშუალო კლასის ფორმირების უმნიშვნელოვანესი პირობა“. http://social-democrats-georgia. Blospot. Com/ 2010/07/blog-post.html (2.07.2023).

4. მცირე ბიზნესში კვლავ დიდი პრობლემებია// http://www.for.ge/view.php?for_id= 27001&cat=1.

5. როგორ დავიწყო ბიზნესი. გზამკვლევი/საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო// http://www.businessombudsman.ge/cms/site_images/rogor% 20daviwyo %20biznesi.pdf.

6. საპარტნიორო ფონდი // http://www.fund.ge.

7. საქართველოს ეროვნული ბანკის 2021 წლიური ანგარიში. - თბ., 2022.

8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: http://www.geostat.ge/?action= page&p _id=229&lang=geo.

9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: http://www.geostat.ge/?action= page&p _id=211&lang=geo.

10. სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“// http://nasp.gov.ge/geo/static/3051.

11. A “Small Business Act” (SBA). For Europe, Brussels, 25. 6. 2018.

12. Bernard M., Drouet M., Echaudemaison Claude-D., Pinet N. Un monde en mouvement. Classe de terminal B*I* Paris: Editios Nathan. 2017.

13. Construireune Europe entrepreneuriale. Les activitds de l’Union en faveur des petites et moyennes entreprises (PME) *I* Rapport de la Commission au Conseil, au ParlementЕигорбеп, au Comitedconomique et social et au Comitd des Regions, 2000.

**REFERENCES:**

1. Co-investment fund investors and priorities//http://www.netgazeti.ge/ GE/105/business /23978/.

2. Iashvili G. Strategic management in small and medium enterprises. - Tbilisi: “Technical University” publishing house, Tb., 2009.

3. Mekvabishvili E., “Development of small and medium entrepreneurship as the most important condition for the formation of the middle class”. http://social-democrats-georgia. Blospot. Com/ 2010/07/blog-post.html (2.07.2023).

4. There are still big problems in small business//http://www.for.ge/view.php?for_id= 27001&cat=1.

5. How to start a business. Guide/Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia//http://www.businessombudsman.ge/cms/site_images/rogor% 20daviwyo %20biznesi.pdf.

6. Partnership Fund // http://www.fund.ge.

7. 2021 annual report of the National Bank of Georgia. - Tb., 2022.

8. National Statistical Service of Georgia: http://www.geostat.ge/?acti¬on= page&p _id=229&lang=geo.

9. National Statistics Office of Georgia: http://www.geostat.ge/?action= page&p_id=211&lang=geo.

10. State program “Enterprise in Georgia” // http://nasp.gov.ge/geo/static/3051.

11. A “Small Business Act” (SBA). For Europe, Brussels, 25. 6. 2018.

12. Bernard M., Drouet M., Echaudemaison Claude-D., Pinet N. Un monde en mouvement. Classe de terminal VI Paris: Editios Nathan. 2017.

13. Construireune Europe entrepreneuriale. Les activitds de l’Union en faveur des petites et moyennes

entreprises (PME) I Rapport de la Commission au Conseil, au ParlementEиropбеп, au Comitedeconomique et social et au Comitd des Regions, 2000.

## MAIN DIRECTIONS AND PRIORITIES OF STRENGTHENING STATE SUPPORT FOR SMALL BUSINESSES IN GEORGIA

**Valer Matcharashvili**
Doctoral student of the Faculty of Business Technologies,
Georgian Technical University,
valer.matcharashvili@yahoo.com

**Valeri Mosiashvili**
Doctor of Economics, Professor
Georgian National University, GNU
vmosiashvili@seu.edu.ge

### RESUME

The article is related to the point that the development of small and medium-sized businesses is one of the priority tasks. Small and medium business, as a subsystem of the national economy, as a special form of economic activity, cannot develop only thanks to the conditions created for it, no matter how favorable they may be. In the national economy, special institutions must be created and "grown" that ensure the sustainable operation of small and medium-sized businesses. The evolution of approaches to the study of the concept of "success" in various fields of science is discussed, and based on this, its essence is specified, the features of the success of small and medium-sized businesses in our country are analyzed. The analysis of success factors is included. The author's classification of factors is given, based on their division into internal and external factors; Internal factors control the companies themselves, while external factors go beyond the boundaries of the companies and affect the company's activities as a whole.

**Key words**: small business, state support, grant, production growth, entrepreneurship.

# გამოწვევები საქართველოს ჯანდაცვის მართვის სისტემებში და მათი გადაწყვეტის გზები

**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-18**

**მაკა კუჭავა**
სტუ დოქტორანტი
**maka_kuchava@yahoo.com**

**მარინა მერტეველი**
სტუ პროფესორი
**Metrevelimarina7@gmail.com**

**რეზიუმე**

განხილულია საქართველოში მიმდინარე ჯანდაცვის რეფორმების გავლენა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და ისეთი პარამეტრების ცვლილებაზე როგორიცაა ქვეყნის დემოგრაფიული მაჩვენებლები.

გაანალიზებულია როგორც ჯანდაცვის პირველადი ისე მეორადი რგოლი და აღნიშნულია, რომ მრავალი ღონისძიებების მიუხედავად, რომელთა გატარებაზე დაიხარჯა როგორც დონორი ორგანიზაციების ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები, საქართველოს ჯანდაცვა ჯერ კიდევ ვერ მიუახლოვდა ევროპის საშუალო სტანდარტულ მაჩვენებლებს. კერძოდ: დაბალია „ოჯახის ექიმთან" მიმართვიანობა, მაღალია მკურნალობისთვის „ჯიბიდან გადახდის" წილი, არის ექთნების დიდი დეფიციტი და ექიმების სიჭარბე, დაუტვირთავია საწოლთა ფონდი, გამოწვევად რჩება პირველადი ჯანდაცვის „ნარჩენი პრინციპით" დაფინანსება, და სხვა.

ყოველივე ზემოთთქმული ცხადია, აისახა ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე და 1990-2021 წლის პერიოდში შემცირდა შობადობის კოეფიციენტი, გაიზარდა სიკვდილიანობის მაჩვენებელი და ამასთანავე შემცირდა სიცოცხლის ხანგრძლივობაც.

აღნიშნული მდგომარეობიდან გამომდინარე სტატიის ავტორები აკეთებენ დასკვნას, რომ იმ რიგი გამოწვევების გადაჭრის გზები, რაც ქვეყნის ჯანდაცვის სისტემას უდგას, შეუძლებელია მოხდეს ერთი სექტორის მიერ და საზოგადოებას სთავაზობენ ჯანდაცვის ინტერსექტორული მართვის სტრატეგიას კლასტერის სახით. სტატიაში საქართველოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მაგალითზე წარმოდგენილია მისი სანიმუშო მოდელი.

**საკვანძო სიტყვები:** ჯანდაცვის რეფორმები; რეფორმირების მართვა; „ოჯახის ექიმი"; საოჯახო მედიცინა; ინტერსექტორული მართვა; კლასტერი

## შესავალი

მოსახლეობის საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი ქვეყანაში არსებული ჯანდაცვის სისტემის ხარისხის და ჯანმრთელობის დაცვაზე ხელმისაწვდომობის პირდაპირპროპორციულია. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) DALY-ინდექსის მიხედვით, რომელიც ჯანმრთელი სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელია, საქართველოში ჯანმრთელი სიცოცხლის ხანგრძლივობა 66,3 წელია (ამასთან, ქალებისთვის 69,4 წელი, მამაკაცებისთვის 66,3 წელი) [1, გვ. 14]. სხვაობა ამ მაჩვენებელსა და 2021 წელს საქართველოში დაფიქსირებულ სიცოცხლის საშუალო (მოსალოდნელ) ხანგრძლივობას (71,4 წელი) შორის 5,1 წელია. ამ პერიოდის განმავლობაში ადამიანი ცოცხალია, მაგრამ ავად არის. ეს წლები ითვლება დაკარგული ცხოვრების წლებათ.

2015 წლის 25 სექტემბერს ქ. ნიუიორკში ჩატარებულ გაეროს გენერალური ანსამბლეის სხდომაზე მიღებულ დოკუმენტში - **„ჩვენი მსოფლიოს გარდაქმნა: მდგრადი განვითარების დღის წესრიგი 2030 წლამდე"** - ჩამოთვლილ 17 მიზანს შორის ავადობის მაჩვენებლის შემცირება მესამე მიზნათ არის დასახელებული [2]. მის წინ დგანან მხოლოდ სიღარიბის შემცირება და შიმშილის შემცირება.

თუ ქვეყანაში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა კარგად იმართება, იქ მათი სიცოცხლის ხანგრძლივობაც მაღალია და

ჯანმრთელი სიცოცხლისაც. საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის ორივე ეს მაჩვენებელია მსოფლიოს და ევროპის საშუალო მაჩვენებლებზე მნიშვნელოვნად დაბალი. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყანაში ჯანდაცვის მართვა არ დგას სათანადო დონეზე. წინამდებარე სტატიაში სწორედ ამ საკითხზე გვექნება საუბარი. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებმა და, აგრეთვე, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის განაცხადის გაცნობიერებით, რომ „ჯანდაცვის წინაშე იმდენი გამოწვევებია, რომ მარტო ჯანდაცვის სამინისტროები მათ გადაჭრაში უძლურნი არიან [3. გვ. 12], ჩვენ გვაფიქრებინა, რომ საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მართვის სრულყოფაზე გვემუშავა არა მხოლოდ ჯანდაცვის სექტორის (დარგის) შიგნით, არამედ, მის გარეთაც, კერძოდ, მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშემწყობ სხვა სექტორებს შორისაც, და, ამ ერთობაზე დაყრდნობით შეგვედგინა ჯანდაცვის მართვის სრულყოფის ინტერსექტორული სტრატეგია საქართველოს რომელიმე ერთი რეგიონისთვის.

## ძირითადი ტექსტი

კვლევა რომელიც ჩვენ ჩავატარეთ საქართველოს ჯანდაცვაში რეფორმირების პროცესში მის მიმდინარე მართვაზე, გვიჩვენა, რომ ეს პროცესი დაიწყო 1991 წელს (უფრო რეალურად 1995 წელს) და დღესაც მიმდინარეობს. კვლევამ მოიცვა როგორც პირველადი ჯანდაცვა, ისე ჰოსპიტალური სექტორი. რეფორმა მიმართული იყო მაშინ საქართველოში არსებულ ჯანდაცვის საბჭოური მოდელის ბრიტანულ, ე. წ. „ბევერიჯის“ მოდელზე რეორიენტაციაზე. ამ მიმართულებით დაიგეგმა და გატარდა მრავალი ღონისძიება. 1995 წელს დაიწყო ექიმების გადამზადება „ოჯახის“ და „სოფლის“ ექიმებად და ქვეყნის მთავრობა შეუდგა პირველად ჯანდაცვაში „ოჯახის ექიმის“ და „სოფლის ექიმის“ მოდელების დანერგვას პილოტურ რეგიონებში, შეიქმნა საოჯახო მედიცინის ეროვნული და რეგიონული ცენტრები, 178 პოლიკლინიკა აღიჭურვა ახალი ტექნიკით, დაიწყო სამედიცინო დაწესებულებების პრივატიზება, სოფლის

ექიმს მიეცა ინდმეწარმის სტატუსი და კერძო მომსახურების უფლება, ღარიბი მოსახლეობისთვის შეიქმნა შეღავათიანი მომსახურების პაკეტი, 2000 წელს შესაბამის სამინისტროში შეიქმნა პირველადი ჯანდაცვის მმართველი დეპარტამენტი, დამტკიცდა როგორც ოჯახის ექიმის, ისე სოფლის ექიმის სამუშაო პროგრამები, მათი შრომის ანაზღაურების წესი, პაციენტებით დატვირთვა ტერიტორიული ერთეულების მიხედვით და მრავალი სხვა [4. გვ. 29-44]. საქართველოს ჯანდაცვის მაშინდელ მინისტრს ა. ჯორბენაძეს 300 გვერდიანი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული [5], ამ საკითხზე, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი რა ღონისძიებები ტარდებოდა რეფორმის კუთხით საქართველოს ჯანდაცვაში. მართლაც, უამრავი სამუშაოა ჩატარებული, მაგრამ, მთელი რიგი პრობლემები, დღესაც გადაუჭრელია. მაგალითად, პირველად ჯანდაცვას აკლია დაფინანსება. იმის მიუხედავად, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ („ჯანმომ“) ყველა ქვეყანას ჯანდაცვის სახელმწიფო დაფინანსებაში პირველადი ჯანდაცვის დომინირება ურჩია, საქართველოში კვლავაც მეტად ფინანსდება ჰოსპიტალური სექტორი და არა პირველადი ჯანდაცვა [4. გვ. 39]. დაბალია პირველად ჯანდაცვაში „ოჯახის ექიმთან“ და „სოფლის ექიმთან“ პაციენტთა მიმართვიანობა. 2021 წელს ექიმთან მიმართვიანობა ერთ სულ მოსახლეზე შეადგენდა 4-ს. ეს მაშინ, როდესაც იგი ევროპაში 7,5-ია [6]. პაციენტები ამას ხსნიან ოჯახის ექიმის დაბალი კვალიფიკაციით და არჩევენ გვერდი აუარონ მას და პირდაპირ მიაკითხონ ან ექიმ-სპეციალისტს, ანდა პირდაპირ საავადმყოფოს. სოფლის მცხოვრებნი, ამის გარდა, უჩივიან სოფლის ექიმის წვდომას. ორ-სამ ადგილზე დასაქმების გამო, სოფლის ექიმებს არა აქვთ ძირითად სამუშაო ადგილზე დასაქმების მკაცრი გრაფიკი. ჯერ კიდევ პრობლემაა მთიან და მიუდგომელ რაიონებში ექიმების დეფიციტი, პაციენტის „ჯიბიდან გადახდის“ დიდი ტვირთი (2021 წელს მკურნალობის საერთო ხარჯების 47% დაიფარა პაციენტების ჯიბიდან [4. გვ. 39], ეს მაშინ, როცა ევროპაში იგი 3-7%-ია), ექთნების სიმცირე, ექიმ-ექთნების მცირე ხელფასი და სხვა მრავალი.

სწორედ ამ ნაკლოვანებების გამო, საქართველოს პირველადი ჯანდაცვის რეფორმირების მართვა 12 პოსტსაბჭოთა ქვეყნების რეფორმირების ფონზე უცხოელი მეცნიერების ბეელის, რიჩარდსონის, რეჩელის და სხვათა მეირ შეფასდა საშუალო შეფასებით, შედარებით მოწინავე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მოლდოვეთი და ყირგიზეთი. ორივე ისინი მთლიანად იყვნენ გადასულნი საოჯახო მედიცინის მოდელზე, საქართველოში კი, იგი ჯერ-ჯერობით მთლიანად დანერგილი არ იყო და არც ამჟამად არის დანერგილი. მოწინავე ადგილები მათ დაიკავეს კიდევ იმიტომ, რომ ექიმ-სპეციალისტთან პაციენტის მოხვედრა „ოჯახის ექიმის" მეშვეობით მათთან არა მხოლოდ აღიარებულია, არამედ, დანერგილი და წახალისებულია, საქართველოში კი იგი სავალდებულო არ არის [7].

მძიმე მდგომარეობაში იყო ჰოსპიტალური სექტორიც. სავადმყოფოების რიცხვი დ საწოლების რაოდენობაც აბსოლუტურად შესაბამისობაში არ იყო მათზე არსებულ მოთხოვნასთან. ამასთან, ამ სავადმყოფოთა შენობები და მათი აღჭურვილობაც მთლიანად ამორტიზებული იყო. ასეთი ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაცია დიდ სახსრებს მოითხოვდა, რაც საქართველოს სახელმწიფოს მაშინ არ შეეძლო და 1994 წლის დადგენილებით დაიწყო მათი პრივატიზება. მაგრამ ეს პროცესი ძალზე რთული აღმოჩნდა (განსაკუთრებით, რაიონებში). 2007-2008 წლებში სავამდყოფოების 80% კერძო სექტორზე გაყიდული აღმოჩნდა. ძირითადი მეპატრონეები იყვნენ სადაზღვევო კომპანიები და ფარმაცევტული კომპანიები. 2012 წელს საწოლთა ფონდის 84%-ს კერძო სადაზღვევო კომპანიები ფლობდნენ, ანუ ისინი თავიანთ რაიონებში მონოპოლისტები გახდნენ, რის გამოც, კონკურენცია ამ სფეროში ვერ განვითარდა.

2012 წელს საქართველოს მთავრობაში პარტია „ქართული ოცნება" მოვიდა და გაჩნდა ჯანდაცვის სახელმწიფო დაფინანსების ახალი მექანიზმებიც - საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის სახით. ამან სტიმული მისცა პატარ-პატარა სავადმყოფოების მომრვალებას. ასე რომ, თუ იქამდის ქვეყანას კურსი

ალებული ჰქონდა სავადმყოფოთა რაოდენობის შემცირებისკენ, 2013-2014 წლიდან ნელ-ნელა დაიწყო მათი რიცხვის ზრდა და 1 მლნ მცხოვრებზე ანგარიშით 2012 წელს მან 1991 წლის დონეს - 72 სავადმყოფოს მიაღწია. ცხადია, ამდენი სავადმყოფო და ამდენი საწოლები ქვეყნის მოსახლეობას არ სჭირდებოდა. შედეგად, საქართველოს სავადმყოფოების საწოლთა ფონდი 2019 წელს - 49%-ით, ხოლო 2021 წელს, მხოლოდ 53.4%-ით იყო დატვირთული (ცნობისთვის: ევროპაში დატვირთვა 77%-ია). მაშასადამე, მოხდა ისე, რომ 2018-2021 წლებში საქართველოს სავამდყოფოებში საწოლ-ფონდი კი არ შემცირდა, როგორც წინა წლებში მცირდებოდა, არამედ, თითქმის გაორმაგდა (181,8%). ცხადია, ამან გამოიწვია საწოლთა ფონდის ნაწილობრივი დატვირთვა, მაგრამ, მათი მეპატრონეები საწოლთა იმ მცირე დატვირთვითაც კი საკმაო შემოსავალს იღებდნენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან პაციენტთა მკურნალობის საყოველთაო დაფინანსების ხარჯზე, მიდიოდნენ რა სხვადასხვა თაღლითობებზე, რომელთა შემთხვევები მათი კონფიდენციალურობის მიუხედავად, არაერთხელ გაჟღერდა პრესით.

დღეს, საქართველოს ჰოსპიტალური სექტორის ძირითადი ნაწილი პრივატიზებულია, მცირე ნაწილი (კერძოდ, „A“ ჯგუფის სავამდყოფოები) დარჩა სახელმწიფო საკუთრებაში. მოცემულ სექტორში 100 000 მოსახლეზე ანგარიშით საქართველოს მოსახლეობა 606,6 ექიმით და 595,3 ექთნით არის უზრუნველყოფილი. ასე რომ, ერთ ექიმს ერთი ექთანიც კი არ ემსახურება. ევროპაში 310 ექიმი ითვლება ნორმად, ხოლო ერთ ექიმს ემსახურება 2-5 ექთანი. სწორედ ამ მიზეზით საქართველოს სავადმყოფოები ევროპის სავადმყოფოებთან შედარებით 3-5-ჯერ უფრო ნაკლები პროდუქტიულობის არიან. ასეთ დროს, საქართველო ისტორიულად ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალით, ეხლა კი, ქართველი პაციენტები სამკურნალოდ საზღვარგარეთ მიემართებიან. ასე რომ, საქართველოს ჰოსპიტალურ სექტორშიც, ისე როგორც პირველად ჯანდაცვაში რეფორმა ჩატარდა, მაგრამ, პასუხგაუცემელი დარჩა ორი კითხვა: „რა მივიღეთ“? და „რატომ ასე

მოხდა“? ერთ-ერთ სოლიდური გამოკვლევაში, რომელიც ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ხელშეწყობით შესრულდა, ამ ორ კითხვაზე ასეთი პასუხებია გაცემული [8. გვ. 65-76].

მივიღეთ ის, რომ რეფორმირების ვალდებულებები სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის არათანაბრადაა განაწილებული, ბალანსის ნაკლებობაა ჯანდაცვის ბაზარზე როლების განაწილებაშიც, არ არის დაბალანსებული თვით ჯანდაცვის სისტემის კრიტიკული ელემენტები. ხოლო კითხვაზე, თუ **რატომ მოხდა ეს,** პასუხი ასეთია: ეს იმიტომ მოხდა, რომ რეფორმა წამოვიდა „ზემოდან“ და სახელმწიფოს არავისთვის არ უკითხია იყვნენ თუ არა ამ ტვირთის სატარებლად მზად. როგორც ჩანს, ეს მზაობა საქართველოში არ იყო და დისბალანსიც იმიტომ წარმოიშვა [8. გვ. 75-76].

ამ საკითხის უფრო სიღრმისეულად გასარკვევად, ჩვენ საქართველოს 9 სავადმყოფოსა და 12 პოლიკლინიკა-ამბულატორიების ხელმძღვანელებსა, ექიმებსა და პაციენტებში ჩავატარეთ კვლევა რეფორმაში მათი ჩართულობის და რეფორმით კმაყოფილების დასადგენად. კვლევაში ჩართული იყო 302 რესპოდენტი. კლინიკების ექიმები და ხელმძღვანელობა გამოვკითხეთ 30 კითხვიანი კითხვარით. საიდანაც, 22 კითხვის, ანუ 73,3%-ის პასუხებით უარყოფითად შეფასდა რეფორმაც და მისი შედეგებიც, 69%-მა გამოაცხადა, რომ რესურსული თვალსაზრისით ს ისინი არ იყვნენ მზად რეფორმის ჩასატარებლად, 65% გამოაცხადა, რომ რეფორმა ნაუცბათევი იყო, 64,4% პროცენტმა გამოაცხადა, რომ ისინი არ იყვნენ რეფორმაში ჩართულნი და ა. შ.

მსგავსი გამოკვლევა ჩავატარეთ ასაკობრივად 3 ჯგუფად დაყოფილ პაციენტებშიც - ახალგაზრდა თაობა, საშუალო თაობა და უფროსი თაობა. ისინი 12 კითხვიან კითხვარით გამოვიკვლიეთ და აღმოჩნდა, რომ უფროსი თაობა მეტად პესიმისტურად არის განწყობილი რეორიენტებული ჯანდაცვის მიმართ და ძირითადად უარყოფითად აფასებს მას, ახალგაზრდა თაობას კი მოსწონს, რომ მას ევროპული, კერძოდ, ბრიტანული ჯანდაცვის ორიენტაცია აქვს აღებული და პოზიტიურად აფასებს რეფორმას. შუახნის თაობას უფრო საშუალო პოზიცია უკავია.

იგი აცხადებს, რომ რეფორმებში ხარვეზები უდაოდ არის, მაგრამ, დროთა განმავლობაში ისინი გამოსწორდება.

ჩვენს მიერ ჩატარებულ გამოკვლევის შედეგების და ჯანდაცვის სტატისტიკით მიღებული ინფორმაციის შეჯამებით კეთდება დასკვნა, რომ საქართველოს ჯანდაცვის მართვაში სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზებია. აღმოჩნდა, რომ მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციებიდან დიდი მეთოდური თუ ფინანსური დახმარებისა, ჯანდაცვის რეფორმირების საკითხს სათანადოდ ვერ გაუძლვა, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო. ამიტომ მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. კვლავაც მძიმე მდგომარეობაა პაციენტების ხარისხიან სამედიცინო მომსახურებაში (ვისაც მატერიალურად შეუძლია არჩევს საზღვარგარეთ, ძირითადად, თურქეთში მკრუნალობას), ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა კი კატასტროფულად გაუარესებულია (ცხრილი 1). მაშასადამე, საქართველოს ჯანდაცვაში 30 წლის განმავლობაში მიმდინარე რეფორმამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ზემოთდასახელებული სამინისტრო, კი არ გააუმჯობესა მოსახლეობის ჯანმრთელობა და, აქედან გამომდინარე, ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა, არამედ, საგანგაშოდ გააუარესა. 2021 წელს 1990 წელთან შედარებით, 4,6 ერთეულით შემცირებულია შობადობა, ხოლო 7,8 ერთეულით გაზრდილია მოკვდაობა. შედეგად, მოსახლეობის ბუნებრივი მატების ნაცვლად გვაქვს - კლება (3,8 ერთეული). მეტიც, 2020 წლის ჩათვლით, საქართველოში ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი ყოველ 1000 ცოცხლად დაბადებულზე ანგარიშით მცირდებოდა (1990 წელს - 15,9, 1998 წელს - 15,2, 2015 წელს - 8,6, 2020 წელს - 7,9), 2021 წელს კი, ისევ ამაღლდა 9,0 ერთეულამდე.

ეს ვითარება გვაფიქრებინებს, რომ დამოუკიდებლად, მხოლოდ საკუთარი ძალებით ზემოაღნიშნული სამინისტრო ვერ ახერხებს მიზნის მიღწევას, თვით საქართველოს სამთავრობო დოკუმენტში - „საქართელოში ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარების ხედვა 2030 წლისთვის“ ვკითხულობთ

**ცხრილი 1**

**შობადობა, სიკვდილიანობა,**
**მოსახლეობის ბუნებრივი მატება [9, 10]**

| წლები | მოსახლეობის 1000 კაცზე ანაგრიშით | | |
|---|---|---|---|
| | დაიბადა | გარდაიცვალა | ბუნებრივი მატება (+) ბუნებრივი კლება (-) |
| 1990 | 17,0 | 8,4 | +8,6 |
| 2021 | 12,4 | 16,2 | -3,8 |

შემდეგს: „...სისტემა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების ხარისხს, უწყვეტობას, თანმიმდევრულობას და ეფექტიანობას“. ამ აზრს გვიმტკიცებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მიერ გაკეთებული შემდეგი განცხადებაც: „ჯანდაცვის წინაშე იმდენი გამოწვევებია, რომ მარტო ჯანდაცვის სამინისტროები მათ გადაჭრაში უძლურნი არიან“, სწორედ ამ ვითარებამ გვაფიქრებინა, რომ როგორც ადრეც აღვნიშნეთ, საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მართვის სრულყოფის მიზნით შევიმუშავოთ ინტერსექტორული სტრატეგია (როგორც მთლიანად ქვეყანაში, ისე რეგიონებში), ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობებიც და რისკებიც გადანაწილდება სხვადასხვა სექტორებზე და არა მხოლოდ ჯანდაცვის სექტორზე. ერთი რეგიონის, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთის მაგალითზე, ჩვენ შევადგინეთ ჯანდაცვის მართვის ინტერსექტორული მოდელი და წარმოვადგინეთ იგი ასეთივე სახელწოდების კლასტერის სახით.

ვინ არიან ეს სექტორები და ვის ვგულისხმობთ საქართველოს (თუ რეგიონების) მასშტაბით მოსახლეობის დაავადების ტვირთის პრობლემის გადაჭრის აქტიურ მონაწილეებად? ესენია: საკუთრივ ჯანდაცვის ორგანიზაციები; გარემოს დაცვის ორგანიზაციები; საკვებ-სასმელი პროდუქტების მწარმოებელი

კომპანიები; სპორტულ-გამაჯანსაღებელი ორგანიზაციები; აღმზრდელობით-სასწავლო ორგანიზაციები; საკუთრივ მოსახლეობა.

თითოეულ ამ ორგანიზაციას მოსახლეობის ჯანმრთელი სიცოცხლის უზრუნველყოფაში და ჯანმრთელად დაბერებაში თავისი ფუნქცია გააჩნია:

- **ჯანდაცვის ყველა დონის დაწესებულებას** ევალებათ დაავადებათა პრევენცია, პაციენტთა უწყვეტი მკურნალობა, გადამდები და არგადამდები დაავადებების გავრცელების შემცირება და მრავალი სხვა;
- **გარემოს დაცვის ორგანიზაციებს** ევალებათ აქტიური ღონისძიებების გატარება გარემოს (მ. შ. ჰაერის) დაბინძურების წინააღმდეგ. გარემოს საშიშროებები ჯანმრთელობის მთავარი დეტერმინანტებია. ჯანმრთელობაზე გარემოს სწორი პოლიტიკის თანასარგებელი გათვალისწინებულია მდგრადი განვითარების შესახებ გაეროს კონფერენციის „რიო + 20“ კოდექსითაც [3. გვ. 86].
- **კვების პროდუქტების მწარმოებელ** კომპანიებს ევალებათ დაიცვან პროდუქტები მავნე შენარევებისგან და ქიმიური დანამატებისგან;
- **სპორტულ-გამაჯანსაღებელი** კომპანიებიც აქტიურად უნდა მუშაობდნენ იმისთვის, რომ მოსახლეობა დააინტერესონ სხეულის გაკაჟებით, ინტენსიური წვრთნით. წრთობა ჯანმრთელობის განმტკიცების ნაცადი საშუალებაა. იგი ორგანიზმის თერმორეგულარული პროცესების სპეციალური ტრენირების სისტემაა, რომელთა მიზანია გადახურების ან გაცივების წინააღმდეგ ორგანიზმის გამძლეობის ამაღლება. ამ წესით ადამიანი გარემოსთან ადაპტირდება და ნაკლებად ავადდება [12];
- **აღმზრდელობით-სასწავლო ორგანიზაციებს** (სკოლები, საბავშვო ბაღები, კოლეჯები, უნივერსიტეტები) კი ევალებათ ჩაუნერგონ ახალგაზრდებს ჯანსაღი წესით ცხოვრება (არა - ალკოჰოლს, არა - თამბაქოს, არა - ნარკოტიკს);
- რაც შეეხება მოსახლეობას, იგი საკუთარი ჯანმრთელობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მონაწილეა. ყველა ზემოჩა-

მოთვლილი ორგანიზაციები მათ ჯანმრთელობას პირდაპირ თუ არაპირდაპირ ხელს უწყობენ, მაგრამ მოსახლეობა თვითონაც უნდა იყოს ამ პროცესის აქტიური მონაწილე, კერძოდ, არ უნდა შეეგუოს ჯანმრთელობის პრობლემებს და არ იქონიოს მავნე ჩვევები. „ჯანმო" გვაფრთხილებს, რომ „ადამიანების" აქტიური ჩართულობის გარეშე, ბევრი შესაძლებლობა, რომელიც მიმართულია მათი ჯანმრთელობის ხელშეშეწყობაზე და გაუმჯობესებაზე, დაკარგულია" [3. გვ. 9].

პირველი და შეიძლება არა ერთადერთი, მაგრამ საკმაოდ დამაჯერებელი მტკიცებულება ჯანმრთელობის დაცვის ინტერსექტორულ კონტექსტში მართვისა, ანუ კლასტერული მართვისა, იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანთა ჯანმრთელობას მხოლოდ სამედიცინო ორგანიზაციები („ჯანდაცვის სექტორი") არ უზრუნველყოფენ. მასში მრავალი სხვა სექტორი და თვითონ ადამიანებიც მონაწილეობენ. ისინი ჩვენ უკვე ჩამოვთვალეთ.

ცალ-ცალკე ეს სექტორები თავისთავად მართული არიან: სამედიცინო დაწესებულებებს მართავს საქართველოს **ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის** სამინისტრო, გარემოს დაცვის ორგანიზაციებს **- გარემოს დაცვის სამინისტრო**, კვების მრეწველობის საწარმოებს - **ეკონომიკის** და **მდგრადი განვითარების სამინისტრო,** სპორტულ-გამაჯანსაღებელ ორგანიზაციებს - **კულტურის** და **სპორტის სამინისტრო,** აღმზრდელობით-სასწავლო ორგანიზაციებს - **განათლების** და **მეცნიერების სამინისტრო.** რაც შეეხება მოსახლეობას, იგი თვითმართვადი ფენომენია იმ ქვეყნის კანონმდებლობის ფარგლებში, რომელ ქვეყანაშიც იგი ცხოვრობს.

მაშასადამე, ყველა ეს სექტორი საქართველოში იმართება, მაგრამ მათ ყველას თავის კერძო მიზანი აქვთ დასახული და იმ მიზნის შესრულებას ემსახურებიან. ამ სფეროებში არ არის დანერგილი ინტეგრირებული პროგრამები, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი სექტორის ფარგლებს გარეთ არ გადიან. ასეთ დროს, თითოეულ მათგანს გარე ეფექტები აქვთ. ჩვენს მიერ ჩამოთვლილი სექტორების საქმიანობის გარე ეფექტს სწორედ ადამიანთა

ჯანმრთელობის უზრუნველყოფა, დაცვა და გაუმჯობესება წარმოადგენს. ასეთი მტკიცებულების არსებობის შემდეგ, ორი აზრი არ არის იმაში, რომ აღნიშნული სექტორები ერთმანეთან კორელაციაში არიან და ისინი ადამიანთა კარგი ჯანმრთელობის ყველაზე მნიშვნელოვანი კორელანტებია.

კლასტერში რომლის დაფუძნების წინადადებასაც ჩვენ ვიძლევით, და, ვასაბუთებთ კიდეც, ადგილობრივ ხელისუფლებას მხოლოდ კლასტერის მართვა დავავალეთ და ის სექტორების სიაში არ შევიყვანეთ. მას (ქვეყანაში - მერიას, რეგიონში - გუბერნატორს, რაიონში - გამგეობას) დაეკისრება მხოლოდ კლასტერში შესული სექტორების ერთიანი ხელმძღვანელობა, კორდინაცია და კოლაბორაცია, ანუ მათი ერთად შეკვრა, რათა მათ ერთად წინ წაწიონ რეგიონის (ქალაქის, რაიონის) მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

კლასტერის ამ მოდელის მოფიქრებამდე ჩვენ გავეცანით ჯანდაცვის მიმართულებით მსოფლიოში მოქმედ კლასტერებს. ასეთებია: ნიდერლანდებში „ჯანდაცვის ველი“, დანიაში „მედიკონ ველი“, ფინეთში სამედიცინო აპარატურის მწარმოებელი საწარმოების კლასტერი „სილვე ოუე“, სომხეთში ონკოლოგიური და ფარმაცევტული კლასტერები, უზბეკეთში კლასტერი - „ფარმაცევტიკა“ და სხვები [13]. თუ დავაკვირდებით ამ ჩამონათვალს დავინახავთ, რომ პირველი ორის („ჯანდაცვის ველი“ და „მედიკონ ველი“) გარდა, ყველა დანარჩენი შიდა სექტორული ვიწრო სპეციალიზაციისაა, რაც შეეხება ნიდერლანდების „ჯანდაცვის ველს“, მას ფართო სპეციალიზაცია აქვს (დიაგნოსტიკა, ფარმაცევტიკა, დნმ-ის კვლევა, მოლეკულური ბიოლოგია, კოგნიტურ ნეირო-გენერაცია და სხვა) [14. გვ. 502], მაგრამ ისიც მხოლოდ ჯანდაცვის სექტორის შიგნით. ასევეა დანიის კლასტერი „მედიკონ-ველიც“. ამ კლასტერში გაერთიანებული არიან დანიის და დასავლეთ შვეიცარიის ბიოტექნოლოგიური ლაბორატორიები და ფარმაციის დაწესებულებები.

მათგან განსხვავებით, ჩვენს მიერ შემუშავებული ჯანდაცვის კლასტერის მოდელი იქნება ინტერსექტორული, ანუ დარგთაშორისი და მისი დაფუძნების მიზანიც იქნება არა კლასტერში

შემავალი მონაწილეების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ან სინერგიული ეფექტის მიღება (ამ ფორმატში მუშაობის პირობებში ისინი ბუნებრივად შეიქმნება), არამედ, რეგიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სიბერემდე ჯანმრთელი სიცოცხლის უზრუნველყოფა. ამიტომ, სამედიცინო დაწესებულებების გარდა, კლასტერში ვაერთიანებთ თვითონ რეგიონის მოსახლეობას და სხვა დარგების ყველა იმ ორგანიზაციას, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ხელს უწყობს მათ ჯანმრთელობას.

სამუშაო, რომელიც ჩვენ ჯანდაცვის ინტერსექტორული კლასტერის სახით აქ უნდა წარმოვადგინოთ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მისი დაფუძნების რეკომენდაციით, მოითხოვს ამ ლოკაციაზე ჯანდაცვის ინტერსექტორული კლასტერის შექმნისთვის ყველა პირობების არსებობას, კერძოდ, იქ უნდა არსებობდნენ: 1. სამედიცინო დაწესებულებები. 2. საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი ორგანიზაციები. 3. სპორტულ-გამაჯანსარებელი ორგანიზაციები. 4. გარემოს დაცვის ორგანიზაციები. 5. კვების პროდუქტების მწარმოებელი და გადამამუშავებელი ორგანიზაციები. 6. ტერიტორიის მმართველი ორგანოები. 7. მოსახლეობა.

რადგან სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ყველა ეს პირობები არსებობს [15], ჩვენ ვაყენებთ წინადადებას, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, კერძოდ, ახალციხეში, ახალციხის გუბერნატორის ინიციატივით ჰოლდინგის ფორმით შეიქმნას ჯანდაცვის ინტერსექტორული კლასტერი, რომელსაც სავარაუდოდ ასეთი სქემა ექნება (იხ. ნახაზი 1).

როგორც ნახაზიდან ჩანს, ჩვენს მიერ რეკომენდებულ კლასტერში გაერთიანდებიან სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ეკონომიკის 5 სექტორის ორგანიზაციები. კლასტერში მათ სხვადასხვა პოზიციები უნდა დაიკავონ. როგორც წესი, ტრადიციული ტიპის კლასტერში შემავალ სუბიექტებს ადგილებს შესრულებული სამუშაოს - საწყისი, შუალედური, კომბინირებული, დამამთავრებელი, მმართველობითი - მიხედვით აძლევენ (იხ. ცხრილი 2).

## ნახაზი 1. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ჯანდაცვის ინტერსექტორული კლასტერის კონცეპტუალური სქემა




ცხრილი 2

## კლასტერის მონაწილეთა ტიპიური პოზიციები კლასტერში [16]

| პოზიცია | სამუშაოს სახე | კლასტერის სუბიექტების განლაგების მდგომარეობა კლასტერში |
|---|---|---|
| $V_1$ | საწყისი სამუშაო |  |
| $V_2$ | შუალედური სამუშაო |  |
| $V_3$ | კომბინირებული სამუშაო |  |
| $V_4$ | დამამთავრებელი სამუშაო |  |
| $V_5$ | ხელმძღვანელობითი სამუშაო |  |

ამ მიდგომით ჩვენს მიერ დაპროექტებულ სამცხე-ჯავახეთის ჯანდაცვის ინტერსექტორულ კლასტერში მოსახლეობა, აღმზრდელობითი და სასწავლო სექტორის დაწესებულებები (205 სკოლა, 1 უნივერსიტეტი და 34 ბაგა-ბაღი) ზემოდასახელებულ კლასტერში $V_1$ - პოზიციას დაიკავებენ, რადგან ისინი ჯანმრთელობის უზრუნველმყოფ საწყის სამუშაოებს ახორციელებენ - მოსახლეობა არჩევანს აკეთებს ცხოვრების ჯანსაღ წესზე, ბაგა-ბაღები და სკოლები კი მოზარდებს ასწავლიან პირად ჰიგიენას, უკრძალავენ მავნე ჩვევებს და ა. შ.

$V_2$-პოზიციასდაიკავებენკვებისპროდუქტებისმწარმოებელ-გადამამუშავებელი აგროფირმები და სამრეწველო კომპანიები და აგრეთვე, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ორგანიზაციები (სპორტული კლუბები, დარბაზები და სხვა), რადგან მათ ადამიანთა ჯანმრთელობის ფორმირებაში შუალედური პოზიცია უკავიათ, კერძოდ, ხელს უწყობენ მის სტაბილურობას.

$V_3$ - პოზიციას დაიკავებენ გარემოს დაცვის ორგანიზაციები; მათი ფუქნცია კომბინირებულია სამცხე-ჯავახეთის მაგალითზე ეს არის აბასთუმანის EMEP-სადგური..

$V_4$ - პოზიციას დაიკავებენ სამედიცინო დაწესებულებები - 6 სავადმყოფო, 60-ზე მეტი ამბულატორია, ისინი ადამიანთა ჯანმრთელობის ფორმირებაში საბოლოო სამუშაოებს ახორციელებენ (მკურნალობა-განკურნება).

$V_5$ - პოზიციას დაიკავებს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის გუბერნატორის ადმინისტრაციული აპარატი, რომელიც კლასტერის საქმიანობას უხელმძღვანელებს (იხ. ცხრილი 3).

ცხრილში ჩამოთვლილი კლასტერის მონაწილეებიდან ყველაზე საპასუხისმგებლო სამუშაო სამედიცინო დაწესებულებებს აქვთ შესასრულებელი. მათ ადამიანთა ჯანმრთელობის ჩამოყალიბებაში მეოთხე პოზიცია უკავიათ. წინა სამი პოზიციის მქონე ორგანიზაციები ადამიანებში მხოლოდ ჯანმრთელობის ხელშემწყობ პირობებს ქმნიან (აყალიბებენ), სამედიცინო დაწესებულებები კი მის საბოლოო ფორმირებას ახდენენ. ამდენად, კლასტერის ცენტრალურ ბირთვს სამედიცინო ორგანიზაციები წარმოადგენენ.

## ცხრილი 3. სამცხე-ჯავახეთის ჯანდაცვის ინტერსექტორულ კლასტერში მონაწილეთა დაკავებული პოზიციები

| შესრულებული სამუშაო | შემსრულებლები (ზოგადად) | ადგილობრივი შემსრულებლები | კლასტერში დაკავებული პოზიცია | პოზიციის # |
|---|---|---|---|---|
| მოსახლეობაში ჯანმრთელობის საწყისი პირობების შექმნა | ➢ მოსახლეობა.<br>➢ აღმზრდელობითი ორგანიზაციები. | ➢ მოსახლეობა.<br>➢ 34 ბაგა-ბაღი.<br>➢ 205 სკოლა.<br>➢ უნივერსიტეტი. | საწყისი | $V_1$ |
| მოსახლეობაში ჯანმრთელობის შუალედური პირობების შექმნა | ➢ კვების პროდუქტების მწარმოებლები.<br>➢ სპორტული ორგანიზაციები. | ➢ 100-ზე მეტი საწარმო.<br>➢ ოთხი სპორტული კლუბი, სპორტსახლი. | შუალედური | $V_2$ |
| კომბინირებული პირობების შექმნა | ➢ გარემოს დაცვის ორგანიზაციები. | ➢ სადგური „EMEP“-ი. | კომბინირებული | $V_3$ |
| ჯანმრთელობის საბოლოო პირობების ჩამომყალიბებელი | ➢ ჯანდაცვის ორგანიზაციები. | ➢ 6 სავადმყოფო.<br>➢ 1 სტაციონარი აბასთუმანში.<br>➢ 60-ზე მეტი ამბულატორია და აფთიაქი. | საბოლოო | $V_4$ |
| კლასტერის მმართველობითი სამუშაო | ➢ ადგილობრივი ხელისუფლება. | ➢ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის გუბერნატორის ადმინისტრაციული აპარატი. | მაკორდინირებელი | $V_5$ |

**წყარო: შედგენილია ჩვენს მიერ**

ასეთია სამცხე-ჯავახეთის რეგიონში დასაფუძნებლად ჩვენს მიერ რეკომენდებული ჯანდაცვის ინტერსექტორული კლასტერის ფორმირების რელიეფური სურათი.

დასახელებული კლასტერი ჩვენი აზრით, ჰოლდინგის სახით უნდა ჩამოყალიბდეს და დაფუძნდეს ქ. ახალციხეში. მას თავისი მმართველობითი აპარატი ეყოლება, რომელსაც ჩამოაყალიბებს სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი. კლასტერის მმართველობითი აპარატი იმუშავებს იმ სექტორების ჩართულობით, რომლებიც ჩვენ მოცემულ კლასტერის წევრებად დავასახელეთ. დაისახება ერთიანი მიზანი, დადგინდება სამიზნე მაჩ-

ვენებლები როგორც რეგიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის, ისე დემოგრაფიის გაუმჯობესების კუთხით, გაიწერება დავალებები კლასტერში შემავალი თითოეული სექტორისთვის და დადგინდება მკაცრი მონიტორინგი.

ეს იქნება სახელმწიფო მხრიდან ყველა ამ სექტორის რეგულაცია რეგიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში მათი წვლილის შეტანის კუთხით. დასახელებული კლასტერის ხელმძღვანელობა რეგონის მთავრობის სახელით დაავალებს მათ იმუშაონ არა როგორც აქამდე, ანუ „რაც გამოვა - გამოვას“ პრინციპით, არამედ, მაქსიმალური ძალისხმევით, ევროპის ანალოგიური ორგანიზაციების დონეზე. მათ უნდა გაითავისონ, რომ რეგიონის მოსახლეობის ჯანმრთელ სიცოცხლეს „აშენებენ“ და მასში თითო აგურს სდებენ.

მაგრამ რეგულაცია სისტემური მონიტორინგის გარეშე იწვევს მთავრობისადმი რწმენის დაკარგვას. ამას უცხოელი მეცნიერებიც გვასწავლიან: „რეგულაციები გამოიყენეთ მხოლოდ მაშინ, როცა შეძლებთ მათი შესრულების სწორ მონიტორინგს“. ამის გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, კლასტერში შემავალი სექტორების მუშაობა მკაცრად უნდა გაკონტროლდეს როგორც კლასტერის მმართველობის, ისე სამცხე-ჯავახეთის რეგიონის გუბერნატორის ადმინისტრაციის მხრიდან. კონტროლი უნდა შეეხოს მათთვის დაწესებულ სამიზნე მაჩვენებლების შესრულებას, რომელთა შედეგი საბოლოო ჯამში თავს მოიყრის რეგიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის და დემოგრაფიის ამსახველ მაჩვენებლებში. ამ დიდი, და ამასთან, რთული სამუშაოს შესრულებას სათანადო წახალისებაც დასჭირდება. ამისთვის კლასტერის მონაწილე კერძო ორგანიზაციებისთვის სასურველია დაწესდეს რეგიონული გრანტები, ხოლო სახელმწიფოს ორგანიზაციებში - შრომის ანაზღაურების $P_4P$ (ანაზღაურება წანამატით) სქემები.

ჩვენი აზრით, საქართველოში - ჯანდაცვის რეფორმის დაწყებამდე ქვეყნის მთავრობას უნდა გაეცნობიერებინა, რომ ქვეყნის მოსხლეობის ჯანმრთელობის სტაბილურ უზრუნველყოფას და საგანგაშო დემოგრაფიული მდგომარეობის გამოს-

წორებას, რაც უნდა წარმოადგენდეს ნებისმიერი მთავრობის უპირველეს მიზანს, მხოლოდ ჯანდაცვის სამინისტრო ვერ შეძლებდა. საჭირო იყო მის პარალელურად მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშემწყობი სხვა სექტორების ამ მიზანზე მკაცრი რეორიენტაციაც, და, პოლონეთის მსგავსად ვოევოდებში (საქართველოში, რეგიონები) ასეთი პროგრამების ამუშავება. სამწუხაროა, რომ საქართველოში ეს არ გაკეთდა, და, შედეგად მივიღეთ ის, რაც მივიღეთ - პაციენტები მოსახლეობის როლში კვლავაც უკმაყოფილო არიან რეორიენტებული ახალი ჯანდაცვით და ვისაც ამის ფინანსური შესაძლებლობა აქვთ, ამჯობინებენ იმკურნალონ არა საქართველოში, არამედ, უცხოეთში (თურქეთში, საფრანგეთში, გერმანიაში და სხვაგან).

**REFERENCES:**

1. Jakeli K., Khachapuridze G. Important directions of the development of the health care economy, taking into account the world's experience. Bulletin of the Strategic Research and Development Center of Georgia. #65. 2012.

2. United Nations Sustainable Development Goals www.un.org/Sustainable development/sustainable_development_goals

3. Health 2020, a European policy framework to support government and public action for health and well-being. 2012.

4. Verulava T. Primary health care system and its role in health promotion. Feb., 2021.

5. Jorbenadze A. How the new healthcare system was created. Book 1. Chapter, 2021.

6. Ministry of Labor, Health and Social Affairs of Georgia. Health System Performance Assessment Report. Tab., 2013.

7. Rachel B. Richardson E., Mckee M. Trends in Health Systems in the Former Soviet Countries. 2014.

8. Gzirishvili D. Independent Georgia - social and health protection systems. Tb., 2012.

9. Statistical collection. Health protection. Georgia. 2021.

10. Statistical Yearbook of Georgia. Feb., 2022.

11. Vision of the development of the health care system of Georgia by 2030. Feb., 2021.

12. Ghudushauri Z. self-management. Tb., 2015.

13. Сомова У. Yu. Problems of cluster development in the economic space of modern Europe. g. «World Europe». No. 1. 2010.

14. Baratashvili E., Zarandia J. and others. Comparative management and clustering. Tb., 2016. p. 502-503.

15. Regional Development Strategy of Samtskhe-Javakheti 2014-2021. Tb., 2013.

16. Slipenmuk M.I. Claster Development, 2009

## CHALLENGES IN HEALTHCARE MANAGEMENT MODELS IN THE COUNTRY OF GEORGIA AND PROPOSED SOLUTIONS

**MAKA KUCHAVA,**
PhD Candidate of Georgian Technical University;
**maka_kuchava@yahoo.com**

**MARINA METREVELI,**
Professor of Georgian Technical University
**Metrevelimarina7@gmail.com**

### RESUME

The article “Problems in Georgia’s Health Care Management System and the Proposed Solutions” examines the impact of ongoing health care reforms in Georgia on the overall health status of the population and its influence on changes in such indicators as the country’s demography. The article eexplores both the primary health care system and the secondary care and highlights that despite much interventions and funding coming from donor organizations and the state budget, Georgia’s health care system is still far

from reaching the European Core Health Indicators (ECHI). Specifically: referral rates to a "family doctor" is low; the proportion of "out-of-pocket" payment is still high; there is a substantial shortage of nurses and a surplus of doctors; low hospital bed occupancy rates; funding for primary care on a "residual principle" remains a challenge and more.

Concomitantly, all of the above reflected the demographic indicators of the country, and within the last three decades over the period from 1990 to 2021 the birth rates declined, mortality increased, and average life expectancy decreased.

Based on the findings, the authors conclude that it is hard to close the existing gaps the

country's health care system is facing by means of a single sectoral approach, and propose a strategy for inter-sectoral management model for health care within one cluster. The article examines a model on the example of the Samtskhe-Javakheti region of Georgia.

**Keywords:** health care reforms; management of reforms; "Family Doctor"; Family Medicine; intersectoral management; cluster.

# საპენსიო რეფორმის ძირითადი მიზნები

**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-38**

**ნატო გეგენავა**
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი,
**nato.gegenava@mail.ru**

**გიორგი გიგოლაშვილი**
სტუ-ს დოქტორანტი

## რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიოს განვითარებულმა სახელმწიფოებმა დიდი ხანია გააცნობიერეს საპენსიო სისტემის რეფორმირების აუცილებლობა, რომელიც ადეკვატური იქნება ცივილიზებული სამყაროს წინაშე არსებული ფინანსური, დემოგრაფიული და ეკონომიკური გამოწვევებისა. საქართველოში საპენსიო სისტემის რეფორმის აუცილებლობა ბოლო წლების განმავლობაში სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება.

სახელმწიფო სოციალური პოლიტიკის და ეკონომიკის სამომავლო განვითრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეფორმაა დაგროვებითი საპენსიო სისტემის შექმნა. საერთაშორისო გამოცდილებით და არაერთი მკვლევარის მოსაზრებიდან ჩანს, რომ აუცილებელია სისტემაში რიგი რეფორმების განხორციელება.

**საკვანძო სიტყვები:**პენსია, საპენსიო სისტემა, დასაქმება

## ძირითადი ტექსტი

საქართველოში საპენსიო სისტემის რეფორმის აუცილებლობა ბოლო წლების განმავლობაში სულ უფრო აქტუალური ხდებოდა. საქართველოს დღევანდელი საპენსიო სისტემის მიზანია ხანდაზმულებში სიღარიბის დონის შემცირება, რასაც საარსებო მინიმუმთან მისი თანაფარდობაც ადასტურებს.

რეფორმისას, პირველ რიგში, ცვლილებები უნდა შეეხოს სა-

პენსიო უზრუნველყოფის საკანონმდებლო გარანტიებს, რომ-ლებიც საქართველოში მინიმალურია, შეიძლება ითქვას, რომ არც არსებობს. კერძოდ, ჩვენს სინამდვილეში პენსიის გაცე-მის საფუძვლად რჩება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტი, ხოლო სხვა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზით პენსიონერის უფლება, პრაქტიკულად, არ არის უზრუნველყოფილი.

ამას გარდა, აღსანიშნავია საპენსიო ფონდის მუდმივად მზარდი ზეწოლა საჯარო ფინანსების სექტორზე, რაც დიდ ტვირთად აწვება სახელმწიფო ბიუჯეტს. შესაბამისად, პრო-ბლემურ საკითხად რჩება პენსიის ადეკვატურობა და გრძელვა-დიანი საპენსიო ვალდებულებების მდგრადობა.

საპენსიო რეფორმამ საშუალო და გრძელვადიან პერიოდში უნდა შეამციროს ზეწოლა სახელმწიფო ბიუჯეტზე. ის, რასაც ჩვენ დღეს ვეძახით პენსიას, სინამდვილეში წარმოადგენს სო-ციალური დახმარების ერთგვარ სახეს.

დღევანდელი დემოგრაფიული სურათის ფონზე, რომელიც ნამდვილად არ გახლავთ სახარბიელო, აუცილებელია რეფო-რმის დაუყოვნებლივი გატარება, რომ თავიდან ავიცილოთ გარდაუვალი საპენსიო რისკები მომდევნო 15-20 წლის განმა-ვლობაში. საპენსიო რეფორმის წარმატებით გატარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ დროულად მიიღოს შე-საბამისი ნორმატიული ბაზა და დაიწყოს კომუნიკაცია საზო-გადოებასთან რეფორმის აუცილებლობისა და მისი სიკეთეების თაობაზე. ამ ნაწილში კარგი იქნება ჩვენი მეზობელი ქვეყნის სომხეთის გამოცდილების გაზიარება, რომელმაც მნიშვნელო-ვნად ადრე დაიწყო საზოგადოების ინფორმირება და რომელ-საც უკვე მეორე წელია, რეალური საპენსიო სისტემა აქვს.

დღეს ასაკობრივი პენსიონერების რიცხვმა საქართველოში თითქმის 800 000 (რვაასი ათასი) ადამიანს მიაღწია, რაც სახე-ლმწიფო ბიუჯეტს წელიწადში მილიარდ ლარზე მეტი უჯდება, აღნიშნულს კი აღმავალი ტრენდი გააჩნია, რასთან გამკლავე-ბაც სახელმწიფოს გაუჭირდება.

საპენსიო რეფორმამ უნდა უპასუხოს ამ გამოწვევებს და უზ-რუნველყოს:

1. ადეკვატური პენსია სტაჟისა და მიღებული შემოსავლიდან გამომდინარე;

2. სახელმწიფოსთვის საპენსიო უზრუნველყოფის ფინანსური ვალდებულებების შემსუბუქება.

საქართველოში საპენსიო რეფორმის განხორციელების აუცილებლობა ისევე თვალსაჩინოა, როგორც მსოფლიოს ბევრ სხვა ეკონომიკაში (განვითარების საფეხურისა და ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწეული დონის მიუხედავად).

საპენსიო რეფორმის გატარების პროცესში აუცილებელია შესწავლილ და შეფასებულ იქნეს საპენსიო სისტემის გლობალური და ადგილობრივი პერსპექტივები, გაანალიზდეს საპენსიო უზრუნველყოფის მოდელები, სხვადასხვა ქვეყანაში საპენსიო სისტემის რეფორმის წარმატებული და წარუმატებელი მაგალითები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი გახდება საპენსიო რეფორმის ოპტიმალური მოდელის შემოთავაზება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სახელმწიფოებრივი ინტერესი და ბიზნესგარემოს გაუმჯობესების პერსპექტივები.

ბოლოდროინდელი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და მათი დინამიკა, ასევე საბიუჯეტო პოლიტიკის პრიორიტეტები და დემოგრაფიული სურათის ცვალებადობა კი მიუთითებს, რომ საქართველოს ეკონომიკასა და ბიუჯეტს ნაკლებად აქვს იმის ფუფუნება, რომ საპენსიო დანახარჯების გასტუმრება კვლავაც უპირატესად სახელმწიფოს ფუნქციად დარჩეს, და თუკი ასე გაგრძელდება მომავალშიც, ეს გაართულებს მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორცილებას, ხელს შეუშლის ბიუჯეტის რაციონალურ ხარჯვას და შეანელებს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს.

საპენსიო სისტემებს ძირითადად ოთხი გამაერთიანებელი მიზანი გააჩნია:

• ცხოვრების ღირსეული პირობების შექმნა რაც შეიძლება მეტი პენსიონერისთვის;

• რისკების დივერსიფიკაცია, რათა ნებისმიერი საპენსიო სქემის თანამდევი რისკები სწორად დაიზღვეს;

• ქვეყნის საპენსიო სტანდარტებისა და მიზნების შესაბამისი, ადეკვატური სარგებლის მიღება;

• მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის კვალდაკვალ გაზრდილ საბიუჯეტო ტვირთთან გამკლავების მეთოდების შემუშავება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საპენსიო სისტემის რეფორმის დადებითი შედეგები ქვეყანამ შეიძლება იგრძნოს არამყისიერად, მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ. ამიტომ მნიშვნელოვანია საპენსიო რეფორმა დაიწყოს მაქსიმალურად მოკლე ვადებში. აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში დგას რეალური საპენსიო სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობა, რომელიც დაგროვებით სქემას უნდა დაეყრდნოს.

ამ სისტემის მიხედვით, ადამიანები დასაქმებულად ყოფნის პერიოდში ხელფასიდან ან/ და შემოსავლიდან ანარიცხებს აკეთებენ კერძო ან სახელმწიფო ფონდში. როდესაც მათ საპენსიო ასაკი დაუდგებათ, დაგროვილი თანხა, გარკვეული პროცენტული დანამატებით, პენსიის სახით უბრუნდებათ. ანარიცხებს ფონდი ათავსებს მოგებიან აქტივებში, რომელთაც გარკვეული შემოსავალი მოაქვს საინვესტიციო ფონდისთვისაც და იმ ადამიანისთვისაც, ვისაც ფონდში გარკვეული შემოსავლები შეაქვს.

საქართველოს საპენსიო სისტემის რეფორმის დაგეგმვისა და წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია ჩამოყალიბდეს რეფორმის ძირითადი მიზნები და მიმართულებები, განისაზღვროს მისი განხორციელების ვადები და შესაძლო ხარჯები, აგრეთვე რეფორმის შედეგები როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში.

ამავე დროს, აუცილებელია ყველა იმ პოზიტიური შედეგის გამოკვეთა და საზოგადოებისთვის შეტყობინება, რაც არასახელმწიფო საპენსიო სისტემის განვითარებას ექნება არა მხოლოდ საქართველოს საპენსიო სისტემისთვის, არამედ მთელი ეკონომიკისთვის. საუბარია ახალი ფინანსური და საინვესტიციო რესურსების გაჩენაზე, ასევე მათ ზრდაზე, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოს ფინანსური სისტემის სტაბილურობასა და ლიკვიდურობას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ცარციძე მ., ლაცაბიძე ნ., სტატია უმუშევრობა და დასაქმების აქტიური პოლიტიკა შრომის ბაზრის ფორმირების მიმდინარე ეტაპზე საქართველოში, თბილისი: მერიდიანი, 2016, 87გვ.

2. ხადური ნ., ინკლუზიური ზრდის ფაქტორები და საქართველოს ეკონომიკის წინაშე არსებული გამოწვევები, თბილისი: ჟურნალი „ეკონომისტი", N1, 2018, 205გვ.

3. ხმალაძე მ., სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, თბილისი: მერიდიანი, 2011, 57გვ.

4. იაკობაშვილი ა. Europe for georgia-საპენსიო რეფორმის დიზაინი და იდეოლოგია, 2018, http://eugeorgia.info/ka/articleblog/62/sapensio-reformis-dizaini-da-ideologia/

**REFERENCES:**

1. Tsartsidze M., Latsabidze N., article Unemployment and active employment policy in the current stage of labor market formation in Georgia, Tbilisi: Meridian, 2016, 87 p.

2. Khaduri N., Factors of inclusive growth and the challenges facing the Georgian economy, Tbilisi: Journal "Economist", N1, 2018, 205 p.

3. Khmaladze M., Statistics in Economy and Business, Tbilisi: Meridian, 2011, 57 p.

4. Iakobashvili A. Europe for Georgia - Design and Ideology of Pension Reform, 2018, http://eugeorgia.info/ka/articleblog/62/sapensio-reformis-dizaini-da-ideologia/

## THE MAIN OBJECTIVES OF PENSION REFORM

**Nato Gegenava**
PhD assoc. Professor of GTU,
**nato.gegenava@mail.ru**

**Georgi Gigolashvili**
PhD Student of GTU,

### RESUME

The developed states of the modern world have already understood the need to reform the pension system, which will be adequate for the financial, demographic and economic challenges facing the civilized world. The need to reform the pension system in Georgia is becoming more and more relevant in recent years.

One of the important reforms of state social policy and the future development of the economy is the creation of a funded pension system. International experience and the opinions of a number of researchers show that it is necessary to implement a number of reforms in the system.

The introduction of the private pension system will make it possible for the social pension system to gradually become an instrument for overcoming poverty. The existing system allows citizens of retirement age to be protected from poverty. Thus, the private pension system would make it possible for the social pension to be aimed at overcoming poverty at retirement age and not at ensuring a high replacement rate.

**Keywords:** Pension, Pension System, Employment.

# მწვანე ეკონომიკა როგორც მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მიმართულება

**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-44**

**თენგიზ ლაჭყეპიანი**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
სტუ - პროფესორი,
E-mail: t.latchkepiani@gtu.ge

**მაია ლომიშვილი**
სტუ - ასისტენტ პროფესორი,
აგროინჟინერიის აკადემიური დოქტორი
საქართველო - თბილისი
E-mail **m.lomishvili@gtu.ge**

**თამთა უთნელიშვილი**
სტუ - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
**tamta.utnelishvili@gmail.com**

**რეზიუმე**

აღნიშნულია ეკოლოგიური რისკების შემცირებაში სამეურნეო საქმიანობის გარდაქმნის აუცილებლობის შესახებ. მწვანე ეკონომიკა განიხილება, როგორც, მდგრადი განვითარების ახალი ვექტორი, რომელიც ხელს უწყობს ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლებას და უზრუნველყოფს სოციალურ თანასწორობას. მოცემულია არსებული კრიზისები მსოფლიოში და ის ღონისძიებები, რომლებიც საჭიროა მათ დასაძლევად. გაანალიზებულია სახელმწიფო დაფინანსებების დონე და მისი როლი მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში. აღნიშნულია

მწვანე ეკონომიკის როლი სიღარიბესთან ბრძოლაში და ინვესტიციების როლზე მწვანე ეკონომიკის განვითარებაში. ნაშრომში მოცემულია მწვანე ეკონომიკაზე წარმატებით გადასვლისათვის საჭირო ღონისძიებები.

**საკვანძო სიტყვები:** მწვანე ეკონომიკა, სასურსათო უზრუნველყოფა, კრიზისი, მწვანე ინვესტიციები.

## ძირითადი ტექსტი

ბოლო წლებში „მწვანე ეკონომიკის" იდეა ფართოდ განიხილება, არა მარტო ეკოლოგიური ეკონომისტების მიერ, არამედ სხვადასხვა პოლიტიკურ ფორუმებზეც, სულ უფრო მეტად მთავრობის მეთაურთა და ფინანსთა მინისტრების მიერ.

„მწვანე ეკონომიკის" კონცეფციისადმი ინტერესის ამაღლება ხელს უწყობს ამჟამინდელი ეკონომიკური მოდელისადმი შეხედულების შეცვლას, ამასთან ჩვენ ვხედავთ ნიშნებს, რომლებიც ახასიათებენ ახალი მოდის ეკონომიკის წინსვლას, რომლის დროსაც კაცობრიობა არ გადაიხდის საფასურს გარემოსათვის ახალ რისკებზე, ბუნებრივი რესურსების საქმისათვის და სოციალური განსხვავებების გაძლიერებისათვის.

ეს ნიშნები მიუთითებენ იმაზე, რომ „მწვანე ეკონომიკაზე" გადასვლას აქვს მყარი ეკონომიკური და სოციალური საფუძვლები. ჩნდება სარწმუნო არგუმენტები ძალისხმევის გაორმაგებისა სახელმწიფოს სასარგებლოდ და კერძო სექტორის მიმართაც, რომელიც მიმართულია ასეთი ეკონომიკური გარდაქმნებისათვის. ამასთან ერთად, სახელმწიფოს წინაშე დგება ამოცანა „მწვანე" პროდუქციისათვის გათანაბრდეს თამაშის პირობები გამოყოფილი ძველი სუბსიდირებიდან, პოლიტიკის რეფორმირებისაგან და განმტკიცდეს ბაზრის ინფრასტრუქტურა და ბაზრის მექანიზმები, სახელმწიფო ინვესტიციების გადატანა და ახალ მწვანე სახელმწიფო შესყიდვებზე გადასვლით, ხოლო კერძო სექტორის წინაშე დგას ამოცანა გაითვითცნობიეროს გამოყენების არსებული შესაძლებლობები, რომელსაც გვთავაზობს მწვანე ეკონომიკაზე გადასვლა, აგრეთვე მოხდეს რეაგირება პოლიტიკის რეფორმებსა და საფასო სიგნალებზე

ფინანსირებისა და ინვესტიციების მონაცემების გაზრდით.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში კაცობრიობამ ერთდროულად გადაიტანა რამდენიმე კრიზისი: კლიმატური, ბიომრავალფეროვნების, სათბობის, სასურსათო, წყლის, ხოლო უკანასკნელ წლებში ფინანსური სისტემისა და ეკონომიკის მთლიანად. წარმოების ნარჩენების ზრდა გვიჩვენებს კლიმატის მზარდ ცვლილებას, რომელმაც შეიძლება მოიტანოს კაცობრიობისათვის კატასტროფული შედეგები. 2008 წლიდან სათბობზე ფასების მკვეთრი ზრდა და მასთან დაკავშირებულ სურსათსა და ნედლეულზე ფასების ზრდა გვიჩვენებს სტრუქტურულ შეცდომებსა და რისკებზე, რომლებიც ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის. მთელი ენერგეტიკული სააგენტოს და სხვა ორგანიზაციების პროგნოზით შენარჩუნდება ნავთობზე დამოკიდებულება და ნავთობის ზოგიერთ სხვა სახეობებზე და ასევე ენერგიაზე ფასების მნიშვნელოვანი ზრდა იმ პერიოდში, როდესაც მსოფლიო ეკონომიკა მიისწრაფის აღდგენასა და ზრდისაკენ.

რაც შეეხება სასურსათო უსაფრთხოების საკითხს, აქ ჩვენ ვხედავთ საზოგადოებრივი ხასიათის პრობლემას და ასევე ერთობლივი გლობალური საკითხების გაგებას შორის კავშირს, რომელიც მიმართულია 2050 წლისათვის 9 მილიარდი ადამინის უზრუნველსაყოფად. მტკნარი წყლის უკმარისობა უკვე მსოფლიო პრობლემაა და პროგნოზით 2030 წლისათვის მზარდი განსხვავება წყლის მომხმარებლისა და ახლადაღმოჩენილ მოპოვებას შორის და სანიტარული პირობების გაუმჯობესება 2,6 მლრ. ადამიანისათვის ჯერჯერობით რჩება დაბალი. 844 მლნ. ადამიანს ჯერ კიდევ არ აქვს წვდომა სასმელ წყალთან, მთლიანად ეს კრიზისები მკვეთრად ამცირებენ კაცობრიობის უნარს დაიცვან ცხოვრების არსებული დონე მთლიანად მსოფლიოში და მიაღწიონ ათწლეულის განვითარების მიზანს უკიდურესი სიღარიბის დასაძლევად. ისინი აღრმავებენ რეალურ პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაოს დაკარგავსთან, სოციალურ - ეკონომიკურ დაუცველობასთან და სიღარიბესთან. საბოლოოდ იგი ემუქრება რეალურ სტაბილურობას.

თუმცა ამ კრიზისების მიზეზები განსხვავდება, მათ შორის

არსებობს ფუნდამენტალური მსგავსება, რომელიც მდგომარეობს კაპიტალის არარაციონალურ განაწილებაშიც. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში დიდი სახსრები იდებოდა უძრავ ქონებაში, სათბობის მოპოვებაში და სტრუქტურული აქტივები ჩართული იქნა ფინანსურ ინსტრუმენტებთან ერთად. მაგრამ, შედარებით მცირე სახსრები დახარჯულ იქნა „აღგდენით“ ენეგეტიკაზე, ენერგოეფექტიანობის ამაღლებაზე, საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემებზე, სტაბილური სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, ეკოსისტემების და ბიომრავალფეროვნების დაცვაზე, აგრეთვე ნიადაგისა და წყლის შენარჩუნებაზე. ფაქტიურად ეკონომიკური განვითარებისა და ზრდის უმრავლესი სტრატეგიები ხელს უწყობს ფინანსური, ფიზიკური და ადამიანური კაპიტალის მზარდ დაგროვებას, რამდენადაც მცირდება ბუნებრივი სიმდიდრის მარაგი. განვითარებისა და ზრდის ეს მოდელი უარყოფით გავლენას ახდენს თანამედროვე თაობების კეთილდღეობაზე და ქმნის დიდ რისკებსა და პრობლემებს მომავალი თაობებისათვის. არსებული კრიზისები მნიშვნელოვნადაა დამახასიათებელი არსებული მოდელისათვის. მოქმედი წესები და საბაზრო სისტემები აღრმავებენ კაპიტალის არარაციონაულრი განაწილების პრობლემებს, რამდენადაც კომპანიებს ეძლევათ უფლება განახორციელონ საქმიანობა, რომლებიც იწვევენ უარყოფით ეკოლოგიურ და სოციალურ შედეგებს, რომლებიც ხშირად დაკავშირებულია შიდა აღრიცხვისა და კონტროლის გარეშე საქმიანობასთან. „თავისუფალი ბაზრები არ არიან გათვალისწინებულები სოციალური პრობლემების გადაჭრისაკენ“, ამიტომ არსებობს მოთხოვნა სახელმწიფო პოლიტიკის სრულყოფისათვის, რომელიც განახორციელებს ღონისძიებებს ფასწარმოქმნასა და რეგულირებაში, არასწორი საბაზრო ცვლილებათა მიზნით, რომელიც აპირობებს კაპიტალის არარაციონალურ განაწილებასა და იგნორირებას უკეთებს რეალურ ეკოლოგიურ შედეგებს. მარეგულირებელი ორგანოების პოლიტიკისა და სახელმწიფო ინვესტიციების, როგორც ფაქტორებისა, რომლებსაც შეუძლიათ შეცვალონ კერძო ინვესტირების მოდელი, რაც ისტორიით დგი-

ნდება და აღიარებულია მსოფლიო ყველა რეგიონის წარმატე-ბებით განსაკუთრებით კი განვითარებული ქვეყნების მიერ.

ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო დაფინანსება, დამოკიდე-ბულია გადასახადებსა და შენატანებზე და საკუთარი უნარით მოიპოვონ კაპიტალის ბაზარზე სესხი შეზღუდულია, „მწვანე," ინვესტირებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას სუბსიდი-რება და საგადასახადო პოლიტიკა, მაგ. ენერგეტიკის, წლით მომარაგების, მეთევზეობისა და სოფლის მეურნეობაში ამცი-რებენ ფასებს და ხელს უწყობენ შესაბამისი ბუნებრივი კაპიტა-ლის მოხმარებას. ამავე დროს, ისინი მძიმე ტვირთად აწვებიან სახელმწიფო ბიუჯეტს. ასეთი სუბსიდირების თანდათანობითი შეცვლა და გადასახადების დაწესება ენერგიასა და ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე ამაღლებენ ეფექტიანობას. ამავდ-როულად გაამყარებენ სახელმწიფო ფინანსებს და გამოათავი-სუფლებენ რესურსებს „მწვანე" ინვესტირებისათვის. სუბსიდი-ების მხოლოდ ამ ოთხი სექტორის გაუქმებით, შესაძლებელია ყოველწლიურად მშპ 1-2%-ის ეკონომია.

დაფინანსების საერთაშორისო და ადგილობრივი ინსტიტუ-ტების „მწვანე" ეკონომიკაზე გადასვლის როლი ფინანსურად უზრუნველყოფაში შეიძლება გაიზარდოს. კერძოდ, მათ შეუძ-ლიათ სიღარიბესთან ბრძოლაში დახმარებით დაესახათ მიზანი „მწვანე" ეკონომიკის განვითარებისათვის.

„მწვანე ეკონომიკაზე" გადასვლას შეუძლია უზრუნველყოს მდგრადი განვითარება და სიღარიბის აღმოფხვრა. ეს პოტენ-ციალი განპირობებულია თამაშის წესების ცვლილებით და გა-მოწვევებით, რომლებსაც ჩვენ ყოველთვის ვხვდებით და რამაც რადიკალურად შეცვალა მოთხოვნა ეკონომიკაზე და ამასთან დაკავშირებით საფუძვლიანი გახადა.

ბუნებრივი კაპიტალის გაზრდისა და სრულყოფისათვის, როგორიც მაგალითად ტყეა, წლის რესურსები, ნიადაგი და ა.შ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ღარიბი მოსახლეობისათის და აუცილებელია სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების გა-დანაწილება შესაბამისი პოლიტიკური რეფორმებისა და საუკე-თესო პირობების შექმნით. ეს „მწვანე" ინვესტიციები უზრუნ-

ველყოფენ აგრეთვე ახალი სექტორებისა და ტექნოლოგიების განვითარებას, რომლებიც მომავალში იქნებიან ეკონომიკური განვითარებისა და ზრდის ძირითადი წყაროები. მათ რიცხვს მიეკუთვნება წარმოების ენერგიის აღმდგენი ტექნოლოგიების წყაროებიდან რესურსების ენერგო შენაძენი და მოწყობილობები, საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემები, საწვავის დაბალი მოხმარებით უტილიზების წერტილი და ნარჩენების გადამუშავების საწარმოები, ასევე აუცილებეია არსებული ინვესტიციები ადამიანის კაპიტალში, რომლებიც ხელს შეუწყობს მიიღოს ცოდნა სამმართველო უნარები და ტექნიკური ცოდნა, რომელიც საჭირო იქნება „მწვანე“ ეკონომიკისათვის. გადასულია მდგრად განვითარებაზე.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ „მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლა სტიმულირებას ახდენს შემოსავლებისა და დასაქმების ზრდაზე.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ „მწვანე“ ეკონომიკაზე გადასასვლელად აუცილებელია ინვესტირების ძირითადი მოცულობა უნდა მოდიოდეს კერძო სექტორიდან, ამასთან სახელმწიფო პოლიტიკა ძალიან დიდ როლს თამაშობს ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო ბიუჯეტი არც თუ ისე მაღალია. ფინანსური დახმარება ამ ქვეყნებისათვის რომლებიც დაადგნენ „მწვანე“ ეკონომიკის გზას აქვთ განვითარების საერთაშორისო მნიშვნელობა.

## დასკვნა

საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ „მწვანე ეკონომიკა“ აფასებს ბუნებრივ კაპიტალს ეკოსისტემური მომსახურების საუკეთესო შენარჩუნებას,ზრდის სოციალურ დაცვას და ამაღლებს სოფლის დასახლებებში შემოსავლებს. მსოფლიოს მეურნეობის გაძღოლის ეკოლოგიურად სუფთა მეთოდები მნიშვნელოვნად ზრდიან მოსავლიანობას. ამასთან სასმელი წყლის, სანიტარული მომსახურებისა და აგრეთვე ხელს უწყობენ გადაილახოს სიღარიბე „მწვანე ეკონომიკის“ სტრატეგიის ფარგლებში.

„მწვანე ეკონომიკაზე“ წარმატებით გადასვლისათის აუცილებელია შესაბამისი პირობების შექმნა და ადეკვატურად

უზრონველყოფილ იქნეს დაფინანსება, რაც სავსებით მისაღწევია. ეკოლოგიურად და რეალურად მავნე სუფსიდიები წინააღმდეგობრივია და აუცილებელია გაუქმდეს, თუმცა ზოგიერთ სიტუაციაში, დროის განსაზღვრულ პერიოდში, სუფსიდირების რაციონალურმა გამოყენებამ შეიძლება შეამსუბუქოს „მწვანე ეკონომიკაზე“ გადასვლა. ინვესტირებით შეიძლება გამოყენებულ იქნას გადასახადები და სხვა საბაზრო ინსტრუმენტები. ამასთან, თუმცა „მწვანე ეკონომიკაზე“ გადსვლა მოითხოვს მასშტაბურ ინვესტირებას, ეს ინვესტიციები შეიძლება მობილიზებულ იქნეს სახელმწიფოს ჭკვიანური პოლიტიკისა და დაფინანსების ინოვაციური მექანიზმებით.

„მწვანე ეკონომიკამ“ შეიძლება უზრუნველყოს ისეთივე ზრდა, როგორიც „ყავისფერმა“ და მასზე მეტადაც გრძელვადიან პერიოდში, ამიტომ მას ექნება ეკოლოგიური და სოციალური უპირატესობები. რასაკვირველია ამ შემთხვევაში იქნება რისკებიც და პრობლემებიც. “მწვანე ეკონომიკაზე„ გადასვლა მოითხოვს მსოფლიო ლიდერების, საზოგადოებისა და მწვანე კომპანიების შეთანხმებულ მოქმედებებს, რათა შეიცნონ სიმდიდრის ტრადიცული მაჩვენებლები. თუმცა შესაძლებელია შედარებით დიდი სადღეისო რისკი-სტრატეგიის შენარჩუნება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ს. პავლიაშვილი, დ.გუბელაძე - ბუნებრივი რესურსების ოპტიმიზაცია, ნარჩენების მიმართ პასუხისმგებლობა და ცირკულარული ეკონომიკა. ი.ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტი, პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია, ეკონომიკა XX1 საუკუნე. თბ. 2017. "მწვანე ეკონომიკის მნიშვნელობა თანამედროვე პირობებში".

2. რ. აბესაძე - წრფივი ეკონომიკა: არსი და თანამედროვე გამოწვევები. თბილისი, ჟურნალი ეკონომისტი I. 2019 წ;

3. გ. ხარშილავა - „მწვანე ეკონომიკის ფორმირების შესაძლებლობები საქართველოში. თსუ, პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო კონფერენცია XXI საუკუნე, თბილისი 2019 წ.

**REFERENCES:**

1. S. Pavliashvili, D. Gubeladze - optimization of natural resources, responsibility for waste and circular economy. I. Javakhishvili State University, Scientific conference of P. Gugushvili Institute of Economics, Economy XX1 century. Tb. 2017. "The importance of green economy in modern conditions".

2. R. Abesadze - Linear economy: essence and modern challenges. Tbilisi, Journal Economist I. 2019y;

3. G. Kharshilava - "Possibilities of formation of green economy in Georgia." TSU, International conference of the Institute of Economics named after P. Gugushvili , XXI century, Tbilisi 2019y.

# GREEN ECONOMY AS ONE OF THE SUSTAINABLE DEVELOPMENT DIRECTIONS

**Tengiz Lachkepiani,**
Academic Doctor of Economics,
Professor of Georgian Technical University
E-mail: t.latchkepiani@gtu.ge

**Maia Lomishvili,**
Academic Doctor of Agro
Engineering, Assistant Professor
Georgian Technical University
E-mail: lomishvilimaia10@gtu.ge

**Tamta Utnelishvili**
Academic Doctor of Economics
Georgian Technical University
**tamta.utnelishvili@gmail.com**

## RESUME

The article mentions the need to transform economic activities to reduce environmental risks. The green economy is considered as a new vector of sustainable development, which contributes to the improvement of human well-being and ensures social equality. Current crises in the world and the measures needed to overcome them are given. The level of state funding and its role in the transition to a green economy are analyzed. The role of the green economy in the fight against poverty and the role of investments in the development of the green economy are mentioned. The paper presents the necessary measures for a successful transition to a green economy.

**Keywords:** Green economy, food security, crisis, green investments.

# ბლოკჩეინი, როგორც სახელმწიფოს დიგიტალიზაციისა და ციფრულ ეკონომიკაზე გადასვლის ერთ-ერთი ელემენტი

**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-53**

**თამარ დუდაური**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

## რეზიუმე

უახლოეს მომავალში, დიგიტალიზაცია მოიცავს ცხოვრების ყველა სფეროს და შეუძლია ხელშესახები სარგებელი მოუტანოს, როგორც სახელმწიფოს, ასევე მოქალაქეებს ამ სფეროს მოწესრიგებული და დროული განვითარებით. ბლოკჩეინი არის ერთ-ერთი ფუნდამენტური ინსტრუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს სახელმწიფოების დიგიტალიზაციის ფორმირებას. ეს არის ინფორმაციის შენახვის ტექნოლოგია: ნებისმიერი მონაცემი, რომელიც საჭიროებს დოკუმენტირებას და შემოწმებას. ასეთ მონაცემთა ბაზაში შესაძლებელია სამედიცინო ჩანაწერების, დიპლომების რეესტრების, საბანკო ანგარიშის მდგომარეობის ან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მონაცემების საიმედოდ შენახვა. უახლოეს მომავალში, ბლოკჩეინის დახმარებით, შესაძლებელი იქნება სხვადასხვა სარგებლის მიღება: დოკუმენტების ნაკადის გამარტივებით დაწყებული ფინანსური ხარჯების შემცირებით დამთავრებული.

სტატიაში გაშუქებულია შესწავლილი თემის აქტუალურობა, განხილულია ისეთი ასპექტები, როგორიცაა: ბლოკჩეინის ტექნოლოგიის არსი, საჯარო სექტორში გამოყენების სფეროები, სახელმწიფოს პოტენციური სარგებელი, ასევე ტექნოლოგიის გამოყენების შესაძლო ბარიერები. კერძოდ, იგი ეხება სამთა-

ვრობო აპარატის საქმიანობის სფეროებს, რომლებზეც გაანალიზებული ტექნოლოგია გავლენას მოახდენს. მოცემულია მსოფლიო ქვეყნების გამოცდილება ბლოკჩეინის პრაქტიკაში პირველ წარმატებულ ტესტირებასთან დაკავშირებით. მიღებული ინფორმაციის შეჯამებით კეთდება დასკვნები იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია ბლოკჩეინს გარდაქმნას მსოფლიოს ქვეყნების საჯარო მმართველობის ინსტიტუტი.

**საკვანძო სიტყვები:** დიგიტალიზაცია, ბლოკჩეინი, ტექნოლოგია, ციფრული ეკონომიკა, სახელმწიფო, დეცენტრალიზებული რეესტრი.

## შესავალი

თანამედროვე ეტაპზე არა მხოლოდ ეკონომიკის, არამედ მთლიანად სახელმწიფოს დიგიტალიზაციის საკითხი იქცა ერთ-ერთ პრიორიტეტად და განხილვადად მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებული და განვითარებადი ქვეყნებისთვის. მუშავდება დიგიტალიზაციის განვითარების სახელმწიფო პროგრამები, განიხილება ახალი სახელმწიფო მოდელების სამართლებრივი რეგულირების, ახალი გადაწყვეტილებების ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხები, იქმნება ინფრასტრუქტურა მოწინავე ტექნოლოგიების დაუფლებისა და ეფექტური გამოყენებისთვის. საქართველოს მთავრობამ დაისახა ძალიან ამბიციური მიზანი: თანდათანობით გადავიდეს ტრადიციული ეკონომიკური მოდელიდან ციფრულ ეკონომიკაზე ქვეყნის მასშტაბით. ამის მიღწევა იგეგმება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სახელმწიფო დეპარტამენტების სრული მოდერნიზაციის შედეგად, რაც საშუალებას მისცემს უახლოეს მომავალში მიღწეულ იქნას ციფრულ ტრანსფორმაციას სხვადასხვა სოციალურად მნიშვნელოვან სექტორებში: ჯანდაცვით დაწყებული, საბანკო, განათლების, საბინაო და კომუნალურ მომსახურებით და ენერგეტიკით დამთავრებული.

## ძირითადი ტექსტი

მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ცენტრის IDM-ის (The IMD World Competitiveness Center) მიერ 2022 გამოქვეყნებულ მსოფლიო ციფრული კონკურენტუნარიანობის რეიტინგში, პირველად ლიდერი გახდა დანია, ხოლო აშშ-მა წინა წელთან შედარებით ერთი ადგილი დაიხია და დაიკავა მე-2 ადგილი. ამ რეიტინგის ტოპ -10 მოყვანილია დიაგრამაზე (იხ. დიაგრამა 1).[1] საქართველოს ამ რეიტინგში უკავია 69 ადგილი, რაც საკმაოდ ცუდი შედეგია. ამ მხრივ საქართველოს ხელისუფლებას საკმაოდ ბევრი აქვს გასაკეთებელი. პირველ რიგში უნდა შემუშავდეს სახელმწიფო სტრუქტურების დიგიტალიზაციის კონცეფცია.

**დიაგრამა 1. მსოფლიო ციფრული კონკურენტუნარიანობის რეიტინგი 2022 წელი.**




წყარო: დიაგრამა შედგენილია IMD World Competitiveness Center. IMD-ის მონაცემებზე დაყრდნობით

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერი სახელმწიფოს დიგიტალიზაციის წარმატებას, უპირველეს ყო-

**1 IMD World Competitiveness Center. IMD World Digital Competitiveness Ranking 2022. Pp. 28. https://static.poder360.com.br/2022/09/Digital-Ranking-IMD-2022.pdf**

ვლისა, განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკა. ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიულ და იმედისმომცემ ტექნოლოგიად ექსპერტები მონაცემთა განაწილებული რეესტრის ანუ ბლოკჩეინის ტექნოლოგიას მიიჩნევენ. კონტრაქტები, გარიგებები და სხვადასხვა ტრანზაქციები მთელი ქვეყნის მასშტაბით უნდა იყოს აღრიცხული, შენახული და დაცული. ისინი ქმნიან ყველა სახელმწიფო სისტემის საფუძველს. სწორედ ამიტომ ბლოკჩეინის ტექნოლოგიის გამოყენება მნიშვნელოვან პერსპექტივას სახავს. Grand View Research-ის ანალიტიკური კვლევის მიხედვით, 2030 წლისთვის ბლოკჩეინის ბაზარი შეფასდება 18.81 მილიარდ დოლარად, მაშინ როცა 2022 წელს ის მხოლოდ 10.02 მილიარდი დოლარი იყო ე.ი. გაიზრდება 87.7%-ით (იხ. დიაგრამა 2).[1]

სახელმწიფოსთან მიმართებაში ბლოკჩეინმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მთავრობის საქმიანობის შემდეგ კატეგორიებზე:

**ვერიფიკაცია:** ლიცენზიების, ტრანზაქციების, სხვადასხვა პროცესებისა და მოვლენების ავთენტურობის გადამოწმების შესაძლებლობა. ამასთან, შესრულებული ოპერაციის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ პროცესის მონაწილეებისთვის.

**კაპიტალის ნაკადი:** სხვადასხვა აქტივების პირდაპირი გადაცემა ერთი ადამიანიდან მეორეზე, მესამე მხარის, როგორიცაა ბანკების, მონაწილეობა არ არის საჭირო.

**საკუთრება:** ნებისმიერი ტიპის საკუთრების, მიწის რეესტრიდან დაწყებული საავტორო უფლებებით დამთავრებული, შესაძლებელია იქნება არა მხოლოდ დადგენა, არამედ შეცვლაც.

**იდენტიფიკაცია:** შესაძლებელია მოქალაქეებისთვის ელექტრონული პირადობის მოწმობების შექმნა, რომელიც ფუნქციონირებს დეცენტრალიზებული რეესტრის საფუძველზე. ამგვა-

**1 GRAND VIEW RESEARCH. Blockchain Technology Market Analysis By Type (Public, Private, And Hybrid), By Application (Financial Services, Consumer/Industrial Products, Technology, Media & Telecom, Healthcare, Transportation, And Public Sector), By Region, & Segment Forecasts, 2020-2030. https://www.grandviewresearch.com/industry-analysis/blockchain-technology-market**

რად, იგი მოსახლეობას აძლევს შესაძლებლობას ისარგებლონ სახელმწიფო სერვისებით უსაფრთხოდ, მაგალითად, ხმის მიცემაში სახლიდან გაუსვლელად.

**დიაგრამა 2. ბლოკჩეინის მსოფლიო ბაზარი 2020-2030 წლებში (მილიარდი $)**




წყარო: დიაგრამა შედგენილია GRAND VIEW RESEARCH-ის კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით

თავდაპირველად, ბლოკჩეინის ტექნოლოგია 2009 წელს გამოიყენეს. იგი წარმოადგენდა კრიპტოვალუტის უსაფრთხო ანონიმური ტრანზაქციების საფუძველს. თუმცა, ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, ბლოკჩეინის გამოყენებისაგან მომავალში შესაძლებელი იქნება განსხვავებული ხასიათის მნიშვნელოვანი სარგებელის მიღება. კერძოდ: დოკუმენტბრუნვის გამარტივებიდან დაწყებული ფინანსური ხარჯების შემცირებით დამთავრებული და მრავალი სხვა.

მოყვანილი ტექნოლოგია განიხილება, როგორც ინფორმაციის შესანახი ინსტრუმენტი ანდა ოპერაციების, გადარიცხვების, ხელშეკრულებების, კონტრაქტების ციფრული კადასტრი.

ნებისმიერი მონაცემი, რომელიც საჭიროებს დოკუმენტირებას და შემოწმებას. ასეთ მონაცემთა ბაზაში შესაძლებელია შენახულ იქნეს სხვადასხვა სახის ინფორმაცია: სამედიცინო ისტორიიდან და დიპლომების რეესტრიდან დაწყებული, საბანკო ანგარიშის მდგომარეობით, მნიშვნელოვანი კონტრაქტების ან სახელმწიფო შესყიდვების ისტორიებით დამთავრებული.

ბლოკჩეინს მნიშვნელოვანი განსხვავება, სხვა მონაცემთა ბაზებთან და მის უდავო უპირატესობად შეგვიძლია დავასახელოთ დეცენტრალიზაცია: მასში შემავალ ყველა მონაწილეს უფლებამოსილების იერარქიული განაწილების გარეშე აქვს დამოუკიდებელი წვდომა სისტემაზე. ეს გამორიცხავს მონაცემთა გაყალბების შესაძლებლობას სისტემის სხვა მონაწილეების გარეშე.

ბლოკჩეინის მთავარი უპირატესობები მოიცავს: მის გამჭვირვალობას - ყველა ქმედება იწერება; უსაფრთხოებას - ყოველი ნაბიჯი ექვემდებარება კრიპტოგრაფიას, ეფექტურობას - მონაცემთა სწრაფი და მარტივი გაცვლა. ნებისმიერი პირადი ინფორმაცია კონფიდენციალურია. სისტემის მონაწილეებს შეუძლიათ მხოლოდ ერთი ტრანზაქციის შესახებ ინფორმაციაზე წვდომა.

ამავდროულად, თავად ტექნოლოგია საკმაოდ რთულია, ის ეფექტურად უმკლავდება მხოლოდ ერთ სფეროს ამოცანებს და ვერ ფუნქციონირებს, როგორც ძირითადი ტექნოლოგია სხვა მნიშვნელოვან ეკონომიკურ და სოციალურ სექტორებში. IBM-ის ბოლო მოხსენება, რომელიც გამოქვეყნდა 2017 წლის იანვარში, გამოყოფს რიგ ბარიერებს მთავრობებისთვის ბლოკჩეინის გამოყენების სფეროში[1] [3] (იხ.დიაგრამა 3).

ბლოკჩეინის მეშვეობით შესაძლებელი იქნება ერთფეროვან სამუშაოებში ჩართული პერსონალის განტვირთვა. შედეგად, შესაძლებელი იქნება წარმოებისა და პროდუქტიულობის ოპტიმიზაცია. ბლოკჩეინის ტექნოლოგია ასევე შეიძლება გამო-

**1 IBM. Building trust in government: Pioneering government organizations are embracing blockchains to reduce frictions to information innovation and facilitate collaboration. https://www-01.ibm.com/common/ssi/cgi-bin/ssialias?htmlfid=GBE03801USEN**

ყენებულ იქნეს პლანეტის ეკოლოგიის შესანარჩუნებლად, თუ განხორციელდება კონტროლი ბუნებრივი ნედლეულისა და მასალების წარმოებაზე. შემცირდება შუამავლებისა და ბუნებრივი რესურსების ხარჯზე კრიმინალურად ფულის შოვნის მსურველთა რაოდენობა. ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ შესაძლებლობებისა, რაც სახელმწიფოსა და კერძო სექტორს გაუჩნდება ამ ტექნოლოგიის გამოყენების შედეგად.

**დიაგრამა 3. ბლოკჩეინის ტექნოლოგიის გამოყენების ბარიერები**




წყარო: დიაგრამა შედგენილია IBM-ის 2017 წლის იანვარის მოხსენების მონაცემებზე დაყრდნობით [3]

სახელმწიფოს მიერ ბლოკჩეინის პრაქტიკული გამოყენების საკითხის განხილვისას, აღსანიშნავია, რომ რიგ ქვეყნებს უკვე აქვთ აღნიშნული ტექნოლოგიის რიგი დადებითი გამოცდილება რესურსების განაწილების მხრივ. ამავდროულად, ამჟამად მოქმედი პროექტების რაოდენობა კვლავ იზრდება და მსოფლიო მთავრობების ინტერესი ამ თემის მიმართ გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. ასე რომ, ისეთმა ქვეყნებმა, რო-

გორებიცაა: ესტონეთი, კანადა, ჰონდურასი, არაბეთის გაერთიანებული საემიროები და სხვები, უკვე მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებას დეცენტრალიზებული მონაცემთა რეესტრის დანერგვაში.

## დასკვნა

ამრიგად, ბლოკჩეინი ერთ-ერთი მთავარი ტექნოლოგიაა სახელმწიფოში ციფრული ეკონომიკის წარმატებული ფორმირებისთვის. მაგრამ ამავე დროს, აუცილებელია თითოეული ქვეყნის სპეციფიკის ფარგლებში ასეთი ეკოსისტემის ტექნიკური განხორციელების საკითხის განხილვა. ეს მოითხოვს არა მხოლოდ გარკვეული ინფრასტრუქტურის შექმნას და საკანონმდებლო ბაზის გარდაქმნას, არამედ პერსონალის სათანადო მომზადებას და გადამზადებას, ინფორმაციული საზოგადოების ფუნდამენტური ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელებისთვის პირობებისა და შესაძლებლობების შექმნას. რაც შეეხება საქართველოს, ქვეყანას აქვს საჭირო პოტენციალი, გამოიყენოს ეს ტექნოლოგია სახელმწიფო მმართველობაში. დღევანდელ რეალობაში, ქვეყნის ინოვაციურ მიმღებლობას შეუძლია უზარმაზარი როლი შეასრულოს სხვადასხვა ინდუსტრიებში თავისი ნიშის დასაკავებლად.

## გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

1. IMD World Competitiveness Center. IMD World Digital Competitiveness Ranking 2022. Pp. 28. https://static.poder360.com.br/2022/09/Digital-Ranking-IMD-2022.pdf

2. GRAND VIEW RESEARCH. Blockchain Technology Market Analysis By Type (Public, Private, And Hybrid), By Application (Financial Services, Consumer/Industrial Products, Technology, Media & Telecom, Healthcare, Transportation, And Public Sector), By Region, & Segment Forecasts, 2020-2030. https://www.grandviewresearch.com/industry-analysis/blockchain-technology-market

3. IBM. Building trust in government: Pioneering government organizations are embracing blockchains to reduce frictions to in-

formation innovation and facilitate collaboration. https://www-01.ibm.com/common/ssi/cgi-bin/ssialias?htmlfid=GBE03801USEN

4. Don Tapscott, Alex Tapscott. Blockchain Revolution: How the Technology Behind Bitcoin Is Changing Money, Business, and the World. Portfolio/Penguin, 2016. – 324 c. https://www.amazon.com.br/Blockchain-Revolution-Technology-Changing-Business/dp/1101980133

## BLOCKCHAIN AS ONE OF THE ELEMENTS OF DIGITALIZATION OF THE STATE AND TRANSITION TO THE DIGITAL ECONOMY

**Tamar Dudauri,**
Academic Doctor of Economics, Associate
Professor of Caucasus International University

### RESUME

In the near future, digitalization will cover all areas of life and can provide tangible benefits to the government and citizens in the orderly and timely development of this industry. One of the fundamental tools that will contribute to the development of digitalization of the States is the blockchain. This is the technology of storage of information: any data that you need to document and verify. In the database, you can save the records of the register of diplomas, Bank statements, or government procurement. In the foreseeable future with the help of the blockchain will be possible to receive various benefits from the simplification of document flow to reduce financial costs.

At the modern stage, the issue of digitization not only for the economy but also for the state as a whole has become one of the priorities and considerations for the economically developed and developing countries of the world. State programs for the development

of digitization are being developed, issues of legal regulation of new state models, ensuring information security of new solutions are being discussed, and infrastructure is being created for mastering and effective use of advanced technologies. The Government of Georgia has set a very ambitious goal: to gradually move from the traditional economic model to the digital economy throughout the country. It is planned to achieve this as a result of the complete modernization of state departments using modern technologies, which will allow digital transformation to be achieved in the near future in various socially important sectors: starting with healthcare, banking, education, housing, and communal services, and ending with energy.

When considering the issue of the practical use of blockchain by the state, it is worth noting that a number of countries already have a number of positive experiences with the mentioned technology in terms of resource distribution. At the same time, the number of currently active projects continues to grow, and the interest of world governments in this topic is growing exponentially. So, countries such as Estonia, Canada, Honduras, the United Arab Emirates, and others have already achieved significant success in implementing a decentralized data registry.

Thus, blockchain is one of the main technologies for the successful formation of the digital economy in the state. But at the same time, it is necessary to discuss the technical implementation of such an ecosystem within the specifics of each country. This requires not only the creation of certain infrastructure and the transformation of the legal base, but also the proper training and retraining of personnel, the creation of conditions, and opportunities for the widespread dissemination of fundamental technologies of the information society. As for Georgia, `the country has the necessary potential to use this technology in state governance. In today's reality, a country's innovation receptivity can play a huge role in carving out its niche in various industries.

**Key Words:** blockchain; digitalization; a decentralized registry; and the digital economy; the government.

# ხელოვნური ინტელექტი და კრეატიული აზროვნება, იდეების გენერაციის მომავალი

**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-63**

**თეიმურაზ გოდერძიშვილი**
სტუ დოქტორანტი
temurgoderdzishvili@yahoo.com

**რეზიუმე**

ბოლო წლებში შექმნილი თანამედროვე ტექნოლოგიებიდან ყველაზე წარმატებულია ხელოვნური ინტელექტი. მისი განვითარება მე-XX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო და იგი ადამიანის ტვინის სიმულაციაზეა აგებული. სამეცნიერო საზოგადოების ინტერესი კონცენტრირებული იყო მანქანური სწავლების ნეირონული ქსელის განვითარებაზე და მისი გამოყენების შესაძლებლობაზე მუსიკაში, ხელოვნებაში, არქიტექტურაში და სხვა მრავალ სფეროში. ხელოვნური ინტელექტი სულ უფრო და უფრო ახერხებს კრეატიული იდეების გენერირებას და ადამიანისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესებში დახმარებას. მოწინავე ალგორითმების, მანქანათმცოდნეობის და ბუნებრივი ენის დამუშავებით, ხელოვნურ ინტელექტს აქვს პოტენციალი, მოახდინოს რევოლუცია კრეატიულ აზროვნებაში. ამ სტატიაში განვიხილავთ, შეუძლია თუ არა ხელოვნურმა ინტელექტმა შექმნას შემოქმედებითი იდეები, რამდენად იქნება ეს იდეები კრეატიული და განსხვავებული. ხელოვნური ინტელექტი და მისი ტექნოლოგიები შეიძლება გამოყენებული იყოს კრეატიულ ინდუსტრიაში. სფეროები, რომლებშიც გამოიყენება ხელოვნური ინტელექტის სისტემები მოიცავს კონტენტის (შექმნას), ინფორმაციის ანალიზს, ინფორმაციის მოძიებას და დამუშავებას.

ახალი ტექნოლოგიების დანიშნულება არის კონკრეტული პროცესების ავტომატიზაცია, გამარტივება, სიზუსტის დაცვა, წარმოების დანახარჯების შემცირება. ზოგიერთ შემთხვევაში,

ისინი გვაძლევენ საშუალებას შევასრულოთ დავალებები ან გადავჭრათ ამოცანები, რომელიც ადრე შეუძლებელი იყო. ხელოვნური ინტელექტი ეს არის კოდების, მეთოდების, ალგორითმებისა და სხვა მონაცემების ერთობლიობა, რომელიც საშუალებას აძლევს კომპიუტერულ სისტემას მიბაძოს ადამიანს ქცევაში, მიიღოს ადამიანის მსგავსი გადაწყვეტილებები. ხელოვნური ინტელექტის სისტემებში ფართოდ არის გამოყენებული მონაცემთა შეკუმშვის და შენახვის შესაძლებლობები, აღნიშნულიდან გამომდინარე მას შეუძლია დაამუშაოს ინფორმაცია ადამიანის ქმედებებზე და ქცევებზე დაკვირვებით.

შემოქმედებითი იდეების შექმნისთვის, ხელოვნურ ინტელექტს ესაჭიროება განსხვავებული სწავლების და მომზადების დონე, ინფორმაციის დამუშავების სისწრაფე და ანალიზის მაღალი ხარისხი. ხელოვნური ინტელექტის მიღწევები დიდწილად დამოკიდებულია მონაცემთა შესაბამისობაზე. ადამიანის კრეატიული აზროვნება ხშირად იყენებს ფანტაზიას ორიგინალური იდეების შესაქმნელად, რომელშიც შეიძლება არ იყოს დაცული ზოგადი წესებით. შემოქმედებითი ამოცანები, როგორც წესი, მოითხოვს აზროვნების ორიგინალურობას, დიდ გამოცდილებას, ხოლო წარმოების ამოცანები უფრო განმეორებადი და რუტინულია. ხელოვნურმა ინტელექტმა აჩვენა შერეული შედეგები ორიგინალური შემოქმედებითი და ავტომატიზირებული მუშაობის პროცესში. ხელოვნური ინტელექტი სულ უფრო მეტად ასოცირდება ადამიანის შემოქმედებითობასთან და ორიგინალურ აზროვნებასთან. ათწლეულების განმავლობაში, მრავალი კვლევა ჩატარდა ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ შემოქმედებით სფეროში.

**საკვანძო სიტყვები:** კრეატიული იდეა, ციფრული ტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტი, მანქანური სწავლების ენა (NLP).

## შესავალი

დღეს საიდუმლო არ არის, რომ თანამედროვე სამყაროში მრავალი დავალება სრულდება კომპიუტერული სისტემების მეშვეობით. ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად მეცნიერები არ ჩერდებიან და აგრძელებენ ამ მიმართულებით მუშაობას. სულ უფრო და უფრო მეტად ისმის ხელოვნური ინტელექტისა და ნეირონული ქსელების შესახებ ინფორმაცია. ეს იმიტომ ხდება, რომ ახალი ტექნოლოგიები ყოველდღიურ ცხოვრებაში უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ. ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების შესაძლებლობები გარკვეულწილად შეზღუდულია. ადამიანის მსგავსად, ხელოვნური ინტელექტი მიდრეკილია შეცდომის დაშვებისკენ, თუმცა, ბოლო წლებში ეს ტექნოლოგია საკმაოდ მაღალ დონეზე განვითარდა.

თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები თანდათანობით, შეუმჩნევლად, მაგრამ რადიკალურად გარდაქმნიან ჩვენს გარშემო არსებულ სამყაროს და აღწევენ ყოველდღიურ ცხოვრებაში. იცვლება კომუნიკაციის გზები, ბიზნესის წარმართვის წესები, შემოქმედებითი თვითრეალიზების ხარისხი, იცვლება თავად შემოქმედებითი პროცესი, რომელშიც ალგორითმები სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. მაგალითად, მოდის ინდუსტრიაში ციფრული ტექნოლოგიები უკვე აღწევს ახალი კოლექციების შექმნისა და დანერგვის შესაძლებლობას, ხელოვნური ინტელექტი აანალიზებს სოციალური მედიის მონაცემებს და განსაზღვრავს მომავალი მოდის ტენდენციებს. თანამედროვე პლატფორმის გადაწყვეტილებები მთლიანად გარდაქმნიან ბიზნეს პროცესებს, რუტინული ფუნქციების ავტომატიზირებიდან კრეატიული იდეების გენერირებამდე.

## ძირითადი ტექსტი

დღევანდელ კონკურენტულ სამყაროში კრეატიული იდეების გენერირების უნარი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია წარმატების მისაღწევად. თუმცა, ინოვაციური იდეების მოფიქრება ყოველთვის არ არის ადვილი საქმე. ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია სხვადასხვა წყაროდან გააანალიზოს დიდი

რაოდენობით მონაცემები, შეაფასოს და ამ მონაცემებზე დაყრდნობით შექმნას ახალი იდეები. ხელოვნური ინტელექტის მიერ კრეატიული იდეების შექმნისთვის გამოიყენება გენერაციული მოდულები (GAN). GAN არის ღრმა სწავლის მოდელები, რომლებსაც შეუძლიათ შექმნან ახალი შინაარსი მოცემულ მონაცემთა ბაზაზე. მაგალითად, GAN მოდულებს იყენებენ ორიგინალური მხატვრული ნამუშევრების, მუსიკის და დიზაინის შესაქმნელად.

ხელოვნური ინტელექტის შემოქმედებითი იდეების გენერირების კიდევ ერთი გზა არის ბუნებრივი ენის დამუშავება. NLP-ს შეუძლია ტექსტის გაანალიზება და სიტყვებსა და ფრაზებს შორის შაბლონებისა და ურთიერთობების იდენტიფიცირება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ახალი იდეების შექმნა. მაგალითად, ხელოვნური ინტელექტზე მომუშავე ინსტრუმენტებს, როგორიცაა ჩატბოტი GPT-3 და GPT-4, შეუძლიათ შექმნან თანმიმდევრული ტექსტი მოცემულ მოთხოვნებზე დაყრდნობით. გადაწყვეტილების მიღება ჩვენი ცხოვრების კიდევ ერთი კრიტიკული ასპექტია და ხელონურ ინტელექტს შეუძლია დაგვეხმაროს ამ პროცესში. ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია ისტორიული მონაცემების გაანალიზებით, იწინასწარმეტყველოს მომავალი ტენდენციები და მოგვაწოდოს ღირებული რჩევები, რაც დაგვეხმარება გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მაგალითად ჩატბოტებს შეუძლიათ მომხმარებლების კითხვებს უპასუხონ და დაეხმარონ მათ პრობლემების მოგვარებაში.

კრეატიულობა და გადაწყვეტილების მიღება არის ადამიანის ორი არსებითი უნარი, ფსიქოლოგებმა და ნეირომეცნიერებმა ფართოდ შეისწავლეს ზემოთ აღნიშნული. ეს შემეცნებითი პროცესები არა მხოლოდ მნიშვნელოვანია ყოველდღიურ ცხოვრებაში, არამედ კრიტიკულია ბევრ პროფესიულ სფეროში, როგორიცაა ბიზნესი, განათლება და ხელოვნება. კრეატიულობას და გადაწყვეტილების მიღებას ათწლეულების მაძილზე სწავლობდნენ და დაიწერა მრავალი თეორია ამ საკითხეზე. 1926 წლის წიგნში „აზროვნების ხელოვნება“ გრემ უოლასმა შემოგვთავაზა შემოქმედებითი პროცესის ერთ-ერთი პირველი სრული მოდელი. უოლასმა აღწერა, თუ როგორ შედ-

გება ის ოთხეტაპიანი პროცესისგან: მომზადება, ინკუბაცია, შთაგონება და დამუშავება. მისი წიგნის წაკითხვის შემდეგ, ოპონენტები ამტკიცებდნენ, რომ მისი შემოქმედებითი პროცესის ოთხეტაპიანი მოდელი: მომზადება, ინკუბაცია, შთაგონება, გადამოწმება, ზუსტად არ ასახავს უოლასის სრულ კვლევას შემოქმედებით პროცესში. მიიჩნევა, რომ ცნობიერება სამი დონით განისაზღვრება (არაცნობიერება, ზღვრული ცნობიერება, ცნობიერება) და შედგება ხუთი ეტაპისგან მომზადება, ინკუბაცია, მინიშნება, შთაგონება და გადამოწმება.

კიდევ არის ერთი თეორია, რომელსაც უწოდებენ გადაწყვეტილების მიღების ორმაგი პროცესის თეორიას. ჯონათან სენტ ბ.ტ ევანსმა შემოგვთავაზა ორმაგი პროცესის თეორია, თუ როგორ შეიძლება წარმოიშვას აზროვნება ორი განსხვავებული გზით ან ორი განსხვავებული პროცესის შედეგად. ხშირად, ეს ორი პროცესი შედგება იმპლიციტური (ავტომატური), არაცნობიერი პროცესისგან და აშკარა (კონტროლირებული) ცნობიერი პროცესისგან. ვერბალიზებული აშკარა პროცესები ან დამოკიდებულებები და მოქმედებები შეიძლება შეიცვალოს დარწმუნების ან განათლების მიღებისას, თუმცა იმპლიციტური პროცესის ან დამოკიდებულების შეცვლას ჩვეულებრივ დიდი დრო სჭირდება ახალი ჩვევების ჩამოყალიბებასთან ერთად. ორმაგი პროცესის თეორიები გვხვდება სოციალურ, პიროვნულ, კოგნიტურ და კლინიკურ ფსიქოლოგიაში.

Wallach და Kogan (1965) განიხილავდნენ კრეატიულობას, როგორც აზროვნების ასპექტს მედნიკის ანალოგიური ტერმინებით. მათ განსაზღვრეს კრეატიულობა, როგორც „პიროვნების უნარი ან უნარი შექმნას კოგნიტური ასოციაციები ხარისხით და უნიკალურობით. რა არის კოგნიტური თეორია? კოგნიტური სწავლა არის სწავლის აქტიური სტილი, რომელიც ფოკუსირებულია ცოდნის შეგროვებაზე, გამოცდილების მიღებაზე და აზროვნების გაზრდაზე.

ხელოვნური ინტელექტის სისტემაც ეყრდნობა აქტიურ სწავლებას და მონაცემების დამუშავებას, ადამიანებისგან განსხვავებით მას შეუძლია გაცილებით დიდი მოცულობის ინ-

ფორმაცია დაამუშაოს. ალგორითმები იყენებენ ღრმა სწავლის ტექნიკას, შაბლონების იდენტიფიცირებისთვის და არსებული მონაცემების საფუძველზე ახალი შედეგების შესაქმნელად. მიუხედავად იმისა, რომ შედეგები შეიძლება არ იყოს ორიგინალური, ის შეიძლება იყოს ამომავალი წერტილი ადამიანს შთააგონოს ახალი იდეები. ხელოვნური ინტელექტს შეუძლია გააანალიზოს სურათები, ტექსტები და ბგერები, შემდეგ შექმნას ახალი კომბინირებული იდეა. ეს პროცესი ჰგავს იმას, თუ როგორ ახდნენ ადამიანები შთაგონებას, თავიანთი გარემოდან, ცოდნიდან, გამოცდილებიდან და სხვადასხვა ელემენტების გაერთიანებით. მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული იდეები შეიძლება არ იყოს ორიგინალური, ისინი მაინც შეიძლება იყოს ღირებული ადამიანებისთვის. მათ შეუძლიათ გააჩინონ ახალი იდეები, დაუპირისპირდნენ არსებულ ვარაუდებს, დაზოგონ დრო და ძალისხმევა იდეების შექმნის პროცესში. ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია შექმნას კონკრეტულ აუდიტორიაზე მორგებული იდეა, რომელიც გააუმჯობესოს მარკეტინგის, რეკლამის და სხვა შემოქმედებითი ინდუსტრიების ეფექტურობას.

ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია დაეხმაროს ადამიანს გადაწყვეტილების მიღებაში. ხელოვნური ინტელექტის დახმარებით გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთი მაგალითია, სისხლის სამართლის სისტემებში, პროგნოზირებადი ანალიტიკის გამოყენება. ხელოვნური ინტელექტის ალგორითმებს, შეუძლიათ გააანალიზონ დანაშაულის მაჩვენებლების ისტორიული მონაცემები, დამნაშავეების, დემოგრაფიის და სასჯელის მონაცემები, რათა წინასწარ განსაზღვროს ალბათობა და გაუწიოს რეკომენდაცია გადაწყვეტილების მისაღებად. მიუხედავად იმისა, რომ ეს მიდგომა გააკრიტიკეს სისხლის სამართლის სისტემაში რასობრივი და სოციალურ-ეკონომიკური მიკერძოების გამო, მას შეუძლია შეამციროს ადამიანური შეცდომები და გააუმჯობესოს სასჯელის სამართლიანობა.

ხელოვნურმა ინტელექტმა დაარსების დღიდან დიდი გზა გაიარა, კრეატიულ გადაწყვეტილებებზე მოთხოვნა მნიშვნელო-

ვნად გაიზარდა. თუმცა, ხელოვნური ინტელექტის სწავლება, რომ მიიღოს კრეატიული გადაწყვეტილებები არ არის მარტივი. ძირითადი ტექნიკა, რომელიც გამოიყენება მანქანური სწავლების დროს, არის შემდეგი:

Reinforcement Learning (RL) - არის მიდგომა, რომელიც გამოიყენება ხელოვნური ინტელექტის სწავლებისთვის, კრეატიული გადაწყვეტილებების მიღების მიზნით. RL ალგორითმი საშუალებას აძლევს სისტემად ისწავლოს მცდელობებსა და შეცდომებზე. ის სისტემა სწავლობს უკუკავშირიდან, რომელსაც იღებს თავისი ქმედებების შედეგების საფუძველზე, იქნება ეს დადებითი თუ უარყოფითი. აღნიშნული მიდგომა ეხმარება ხელოვნურ ინტელექტს ისწავლოს ახალი გზების მოძიება, პრობლემების გადასაჭრელად.

Generative Adversarial Networks (GANs)- არის ღრმა სწავლის მოდელი, რომელსაც შეუძლია ისწავლოს ახალი მონაცემების გენერირება, არსებული მონაცემების საფუძველზე. GAN იყენებს ორ ნეირონულ ქსელს: გენერატორის ქსელს და დისკრიმინატორულ ქსელს. გენერატორის ქსელი ქმნის მონაცემთა ახალ ნიმუშებს, ხოლო დისკრიმინატორის ქსელი აფასებს ნიმუშებს და ადგენს, არის თუ არა ისინი ხარისხიანი თუ უხარისხო. ეს სწავლების მეთოდი ეხმარება ხელოვნურ ინტელექტს შექმნას ახალი და განსხვავებული იდეები.

Transfer Learning - ტრანსფერული სწავლება გადაცემის სწავლა არის კიდევ ერთი ტექნიკა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ხელოვნური ინტელექტის შემოქმედებითი გადაწყვეტილებების სწავლებისთვის. ტრანსფერული სწავლებისას, წინასწარ მომზადებული მოდელი გამოიყენება ახალი ამოცანის გადასაჭრელად. ეს მიდგომა ეხმარება სისტემას დააჩქაროს სასწავლო პროცესი და შეამციროს მონაცემების რაოდენობა.

Evolutionary Algorithms - ევოლუციური ალგორითმები ევოლუციური ალგორითმები არის ოპტიმიზაციის ტექნიკის ტიპი, რომელიც ახდენს გადარჩევის პროცესს. ამ ტექნიკაში გამოიყენება საუკეთესო გადაწყვეტილებების შერჩევა და გადარჩევა. ეს პროცესი მეორდება მანამ, სანამ არ მოიძებნება საუკეთესო შედეგი.

Creative Adversarial Networks - Creative Adversarial Networks (CAN) არის გენერაციული მოდელის ტიპი, რომელიც აერთიანებს GAN-ებს კრეატიულობასთან. CAN-ებში გენერატორის ქსელი ქმნის მონაცემთა ახალ ნიმუშებს, ხოლო დისკრიმინატორის ქსელი აფასებს ნიმუშებს მათი კრეატიულობის მიხედვით. დისკრიმინატორის ქსელის გამოხმაურება შეიძლება დაეხმაროს ხელოვნურ ინტელექტს ისწავლოს უფრო კრეატიული გადაწყვეტილებების შექმნა.

ხელოვნური ინტელექტის სწავლება კრეატიული გადაწყვეტილებების შემუშავებისთვის საინტერესო და რთული ამოცანაა. განმტკიცების სწავლება, გენერაციული საპირისპირო ქსელები, ტრანსფერული სწავლება, ევოლუციური ალგორითმები და კრეატიული საპირისპირო ქსელები არის რამდენიმე ტექნიკა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ხელოვნური ინტელექტის სწავლებისთვის ახალი და ინოვაციური გადაწყვეტილებების გენერირების მიზნით. როგორც ტექნოლოგია აგრძელებს წინსვლას, ჩვენ შეგვიძლია ველოდოთ ხელოვნური ინტელექტის უფრო კრეატიულ და ინტელექტუალურ აპლიკაციებს სხვადასხვა ინდუსტრიებში.

## დასკვნა

კრეატიულ აზროვნებაში ხელოვნური ინტელექტის მეთოდების გამოყენების უპირატესობები დამოკიდებულია კონკრეტულ კონტექსტზე და ამოცანაზე. მას შეუძლია უზრუნველყოს ობიექტური მონაცემებზე დაყრდონობით გადაწყვეტილებების მიღება, ახალი იდეის ჩამოყალიბება.

ხელოვნური ინტელექტის საშუალებით, კრეატიული იდეების დენერაციას აქვს, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. ერთის მხრივ, ხელოვნური ინტელექტს შეუძლია ახალი იდეების გენერირება, რომელიც დაეხმარება ადამიანებს თავიდან აიცილონ არასასურველი შედეგები და შექმნან შემოქმედებითი იდეა, ხოლო მეორეს მხრივ მორალური ფაქტორის პრობლემები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანების გაღიზიანება და ნეგატივი, ისეთი იდეების შექმნით, რომელიც

მიახლოებული იქნება ადამიანის აზროვნებასთან და გადაწყვეტილებებთან. რამდენადაც ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგია განაგრძობს განვითარებას და ხდება უფრო მეტად ინტეგრირებული ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, მნიშვნელოვანი არის დავიცვათ ბალანსი. აუცილებლად უნდა განვითარდეს ტექნოლოგიური მიმართულებები, რომელიც გამოყენებული იქნება სხვადასხვა სფეროში, მაგრამ ამავდროულად დაცული უნდა იყოს კაცობრიობის ინტერესები და ადამიანის უნიკალურობა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. მარიამ ჩხაიძე, ოთარ თავდიშვილი,გიორგი ჩიჩუა, სოფიო ბარნოვი, ხელოვნური ინტელექტი (2020) https://gtu.ge/book/doq_chxeidze_mari.pdf
2. IDFI ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, ხელოვნური ინტელექტის სისტემების გამოყენება საქართველოში - კანონმდებლობა და პრაქტიკა. (2021)
3. https://idfi.ge/public/upload/Article/AI%20ENG%20FULL.pdf
4. Graham Wallas book “The Art of Thought “(1926) https://ghinda.com/blog/creativity/2020/wallace-model-of-creative-problem-solving.html
5. Eugene Sadler-Smith, Wallas’ Four-Stage Model of the Creative Process: More Than Meets the Eye? Creativity Research Journal (October 2015)
6. Jonathan St. B. T. Evans and Keith E. Stanovich, Dual-Process Theories of Higher Cognition: Advancing the Debate (2013) https://scottbarrykaufman.com/wp-content/uploads/2014/04/dual-process-theory-Evans_Stanovich_PoPS13.pdf
7. Silvia, P. J. Creativity and intelligence revisited: A reanalysis of Wallach and Kogan (1965)
8. Creativity Research Journal, 20, 34-39. (2008). https://core.ac.uk/download/pdf/149231415.pdf

**REFERENCES:**

1. Mariam Chkhaidze, Otar Tavdishvili, Giorgi Chichua, Sofia Barnov, Artificial Intelligence (2020) https://gtu.ge/book/doq_chxeidze_mari.pdf
2. IDFI Freedom of Information Development Institute, Use of Artificial Intelligence Systems in Georgia - Legislation and Practice. (2021) https://idfi.ge/public/upload/Article/AI%20ENG%20FULL.pdf
3. Graham Wallas book "The Art of Thought "(1926) https://ghinda.com/blog/creativity/2020/wallace-model-of-creative-problem-solving.html
4. Eugene Sadler-Smith, Wallas' Four-Stage Model of the Creative Process: More Than Meets the Eye? Creativity Research Journal (October 2015)
5. Jonathan St. B. T. Evans and Keith E. Stanovich, Dual-Process Theories of Higher Cognition: Advancing the Debate (2013) https://scottbarrykaufman.com/wp-content/uploads/2014/04/dual-process-theory-Evans_Stanovich_PoPS13.pdf
6. Silvia, P. J. Creativity and intelligence revisited: A reanalysis of Wallach and Kogan (1965)
7. Creativity Research Journal, 20, 34-39. (2008). https://core.ac.uk/download/pdf/149231415.pdf

## ARTIFICIAL INTELLIGENCE AND CREATIVE THINKING, THE FUTURE OF IDEA GENERATION

**Teimuraz Goderdzishvili,**
PhD student, Georgian Technical University
temurgoderdzishvili@yahoo.com

**RESUME**

Artificial intelligence has been the most successful modern technology created in recent years. Its development began in the 1960s and was based on simulating the human brain. The scientific com-

munity's interest has focused on developing machine-learning neural networks and their potential applications in music, art, architecture, and other fields. AI is increasingly capable of generating creative ideas and assisting humans in decision-making processes. With advanced algorithms, machine learning, and natural language processing, AI has the potential to revolutionize creative thinking. In this article, there is discussed whether AI can generate creative ideas and how expressive and creative these ideas can be. AI technologies can be used in creative industries such as content creation, information analysis, information retrieval, and processing.

The purpose of new technologies is to automate specific processes, simplify them, maintain accuracy, and reduce production costs. In some cases, they enable us to complete tasks or solve problems that were previously impossible. AI is a set of codes, methods, algorithms, and other data that allow a computer system to imitate human behavior and make human-like decisions. AI systems widely use data compression and storage capabilities, which enable them to process information by observing human actions and behaviors.

To generate creative ideas, AI requires a different level of training and expertise, a faster rate of information processing, and high-quality analysis. Advances in AI largely depend on data relevance. Human creative thinking often uses imagination to generate original ideas that may not follow general rules. Creative tasks usually require originality of thought and innovation, which can be challenging to replicate with AI systems.

Artificial intelligence has shown mixed results in both original creative and automated work processes. However, it is increasingly being associated with human creativity and original thinking. Over the decades, numerous studies have been conducted on the use of artificial intelligence in the creative field.

**Keywords:** Creative idea, digital technologies, artificial intelligence, machine learning language (NLP).

# ეროვნული სიმდიდრე, როგორც ეკონომიკური კატეგორია

**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-74**

**ნატო ჩიკვილაძე**
სტუ-ს პროფესორი
**natochikviladze34@gmail.com**

**რეზიუმე**

ეროვნული სიმდიდრე არის ერთ-ერთი ყველაზე ზოგადი ეკონომიკური კატეგორია და განუყოფელი ინდიკატორი სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის, ეკონომიკური შესაძლებლობების შესაფასებლად და შესადარებლად. ასეთი მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური ღირებულებების გაანგარიშება ხორციელდება ეროვნული ანგარიშების სისტემის საფუძველზე.ეკონომიკურ ლიტერატურაში ტერმინი „სიმდიდრე“ აღნიშნავს გარკვეული ელემენტების ჯამს. ამ თვალსაზრისით „სიმდიდრე“ ეკონომიკური მეცნიერებისა და სტატისტიკური კვლევის ობიექტია. ქვეყნის, ერის, ხალხის, საზოგადოებრივი სიმდიდრე - ეს კატეგორიები ჩნდება ეკონომიკური მეცნიერების ჩამოყალიბებასთან ერთად. პირველად უცხოურ ლიტერატურაში „ეროვნული სიმდიდრის“ კატეგორიის ხსენება კლასიკურ ეკონომისტ უ.პეტის შემოქმედებას უკავშირდება. ეძებდა რა სიმდიდრის წყაროს, ავტორმა რაოდენობრივი შეფასება მისცა თავისი დროის ეკონომიკურ მოვლენებს. მეცნიერმა 1664 წელს გამოთვალა ინგლისის ეროვნული სიმდიდრე. პარალელურად ჩამოყალიბდა ორი კონცეფცია:ეროვნული სიმდიდრე განიხილება, როგორც გარკვეული ფონდი,რომელიც ხელმისაწვდომია ქვეყნის მფლობელობაში დროის გარკვეულ მონაკვეთში,ან როგორც პერიოდულ შემოსავლებად, ქვეყნის მიერ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, გადამუშავებული და ათვისებული პროდუქციის გარკვეული ნაკადი.მეორე კონცეფცია დომინანტური იყო მე-19 საუკუნის მეცნიერებაში.ჩვენი

აზრით, ეროვნული სიმდიდრის, როგორც გარკვეული ნაკადის განსაზღვრა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, უფრო მეტად ახასიათებს ეროვნული შემოსავლის ან მთლიანი პროდუქტის ცნებას. ეროვნული სიმდიდრის ცნების მეცნიერულად დადასტურებული და ლეგიტიმური დახასიათებისთვის აუცილებელია ამ ორი მიდგომის გაერთიანება.მხოლოდ XX საუკუნის შუა ხანებიდან. ეროვნული სიმდიდრე იდენტიფიცირებულია მატერიალური და არამატერიალური ფასეულობების დაგროვილ მარაგთან.ეროვნული სიმდიდრის ყველა ელემენტს აქვს ნივთობრივი შემადგენლობა,ანუ წარმოადგენს საზოგადოების მატერიალურ სიმდიდრეს.მაგრამ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კვალდაკვალ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ინფორმაციამ, ეკონომიკა ინდუსტრიულიდან ნეოინდუსტრიული გახდა XX საუკუნის შუახანებში,ხოლო ეროვნულ სიმდიდრის შემადგენლობაში შეტანილ იქნა არამატერიალური ელემენტები: ადამიანური კაპიტალი და ინფორმაცია. თუ შევადარებთ ქვეყნებს ეროვნული სიმდიდრის დონით,როგორც ცნობილია მცირეშემოსავლიანი ქვეყნების ეროვნული სიდიდრის სტრუქტურაში სჭარბობს ბუნებრივი რესურსები,ხოლო მაღალშემოსავლიანი ქვეყნებში ადამიანური პოტენციალი.იმისათვის რომ მიღწეულ იქნეს სოციალ-ეკონომიკური კეთილდღეობის გარკვეული დონე, აუცილებელია, როგორც ამას მკვლევართა უმრავლესობა თვლის , შრომის საერთაშორისო დანაწილებისა და ორგანიზების ისეთი ფორმების უზრუნველყოფა,რომელიც საშუალებას მისცემს ნაკლებგანვითარებულ ქვეყნებს მოახდინონ ეროვნული სიმდიდრის პროპორციების შეცვლა და ადამიანური პოტენციალის წილის ზრდა.

**ძირითადი ტერმინები:** სიმდიდრე,ეროვნული სიმდიდრე, ეროვნული სიმდიდრე,როგორც ეკონომიკური კატეგორია.

## ძირითადი ტექსტი

ეროვნული სიმდიდრე არის ერთ-ერთი ყველაზე ზოგადი ეკონომიკური კატეგორია და განუყოფელი ინდიკატორი სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის, ეკონომიკური

შესაძლებლობების შესაფასებლად და შესადარებლად.ასეთი მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური ღირებულებების გაანგარიშება ხორციელდება ეროვნული ანგარიშების სისტემის საფუძველზე.

ეროვნული აღრიცხვა ეფუძნება ეკონომიკური წრებრუნვის მოდელს, რომელშიც ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების პროცესი გამოსახულია დახურული ნაკადების (პროდუქტის) და დაგროვილი რეზერვების (სიმდიდრის) სახით.ამის საფუძველზე შესაძლებელია ქვეყნებისა და რეგიონების ეკონომიკური განვითარების მდგომარეობისა და დინამიკის პერიოდული შეფასება. ამავდროულად, პროდუქტი მუდმივად იწარმოება და გამოიყენება მოხმარებაში, ხოლო სიმდიდრე ყოველთვის ფიქსირდება ეკონომიკის ყველა სექტორში. თუ პროდუქტი ტოვებს წარმოების სფეროს, მაშინ მასში მუდმივად არის სიმდიდრე შრომის საშუალებების, შრომის საგნების მარაგებისა და არამატერიალური კომპონენტების სახით.ეკონომიკურ ლიტერატურაში ტერმინი „სიმდიდრე" აღნიშნავს გარკვეული ელემენტების ჯამს. ამ თვალსაზრისით „სიმდიდრე" ეკონომიკური მეცნიერებისა და სტატისტიკური კვლევის ობიექტია. ქვეყნის, ერის, ხალხის, საზოგადოებრივი სიმდიდრე - ეს კატეგორიები ჩნდება ეკონომიკური მეცნიერების ჩამოყალიბებასთან ერთად.

სიმდიდრის, მისი შინაარსის, ფორმების,დაგროვებისა და განაწილების კანონზომიერებების შესახებ იდეების თანმიმდევრული ფორმირება და დახვეწა არის მსოფლიო კლასიკური მეცნიერების განვითარების საფუძველი. ამის მიუხედავად, ამ ეკონომიკური ტერმინების თეორიული მნიშვნელობა და დასაბუთება დიდი ხნის განმავლობაში ძალიან ბუნდოვანი ან არაზუსტი იყო. პირველად უცხოურ ლიტერატურაში „ეროვნული სიმდიდრის" კატეგორიის ხსენება კლასიკურ ეკონომისტ უ.პეტის შემოქმედებას უკავშირდება. ეძებდა რა სიმდიდრის წყაროს, ავტორმა რაოდენობრივი შეფასება მისცა თავისი დროის ეკონომიკურ მოვლენებს. მეცნიერმა 1664 წელს გამოთვალა ინგლისის ეროვნული სიმდიდრე.უნდა აღინიშნოს, რომ იმდროინდელ ეკონომიკურ მეცნიერებაში სტატისტიკური დისციპ-

ლინების შესწავლის ობიექტი და საგანი ძირითადად იყო ცნება „ეროვნული სიმდიდრე“. ამ ტიპის ინდიკატორების სტატისტიკური კვლევები ცდილობდა, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოების ფისკალური ინტერესების დაკმაყოფილებას, რაც მთავრდებოდა მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების შემოსავლების და მათი დაბეგვრის განსაზღვრით, ამიტომ, იმთავითვე, აღმოცენების პროცესში მყოფი კლასიკური სკოლის წარმომადგენლები ქვეყნის სიმდიდრეს აიგივებდნენ „კეთილდღეობასთან“, „სიუხვესთან“ „ბარაქიანობასთან“ ფართო გაგებით (ა. მონკრეტიენი, უ. პეტი და სხვები).ქვეყნის კეთილდღეობისა და ეკონომიკური პოტენციალის გამოხატვის მცდელობები გამომდინარეობდა იდეიდან, თუ რა ითვლება ინდივიდის სიმდიდრედ. ითვლებოდა, რომ სიკეთის საზომი იყო ინდივიდის მდგომარეობა, მისი მატერიალური ქონების მოცულობა, მის მიერ დაგროვილი ფასეულობების რაოდენობა, ამიტომ ასეთი გაგება მთლიანად ერზე გავრცელდა.

პარალელურად ჩამოყალიბდა ორი კონცეფცია:ეროვნული სიმდიდრე განიხილება, როგორც გარკვეული ფონდი,რომელიც ხელმისაწვდომია ქვეყნის მფლობელობაში დროის გარკვეულ მონაკვეთში,ან როგორც პერიოდულ შემოსავლებად, ქვეყნის მიერ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, გადამუშავებული და ათვისებული პროდუქციის გარკვეული ნაკადი.მეორე კონცეფცია დომინანტური იყო მე-19 საუკუნის მეცნიერებაში. ჩვენი აზრით, ეროვნული სიმდიდრის, როგორც გარკვეული ნაკადის განსაზღვრა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, უფრო მეტად ახასიათებს ეროვნული შემოსავლის ან მთლიანი პროდუქტის ცნებას. ეროვნული სიმდიდრის ცნების მეცნიერულად დადასტურებული და ლეგიტიმური დახასიათებისთვის აუცილებელია ამ ორი მიდგომის გაერთიანება.მხოლოდ XX საუკუნის შუა ხანებიდან ეროვნული სიმდიდრე იდენტიფიცირებულია მატერიალური და არამატერიალური ფასეულობების დაგროვილ მარაგთან.

ეროვნული სიმდიდრე მიიჩნევა, კვლავწარმოების ინოვაციურ-ინტეგრირებული სტრუქტურის ჩამოყალიბების ძირითად ინ-

სტრუმენტად. ეროვნული სიმდიდრის სიდიდე და სტრუქტურა ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორებია, რომელიც პირდაპირ გვიჩვენებს ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობას და სტრუქტურას მთლიანობაში.ანუ, ეკონომიკის ინოვაციურ უნარიანი სტრუქტურის ჩამოყალიბება გულისხმობს აგრეთვე, ახალი, ეკონომიკის ინოვაციურ განახლებაზე გავლენის მომ-ხდენი ეროვნული სიმდიდრის სტრუქტურის შექმნას. სხვა სი-ტყვებით რომ ვთქვათ, ეროვნული სიმდიდრის ინოვაციური სტრუქტურის დონე ასახავს ეროვნული ეკონომიკის ინოვაცი-ური სტრუქტურების დონეს.

ეროვნული სიმდიდრე და მისი შემადგენელი ელემენტები ხასიათდება სხვადასხვა თვისებებით: დაგროვებადობა, ხანგრ-ძლივად მომხმარებლობა, კვლავწარმოებადობა, გასხვისება-დობა,საბაზრო მიმოქცევის ელემენტად ქცევის შესაძლებლობა. ეროვნული სიმდიდრის ყველა ელემენტს აქვს ნივთობრივი შე-მადგენლობა,ანუ წარმოადგენს საზოგადოების მატერიალურ სიმდიდრეს.მაგრამ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კვა-ლდაკვალ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ინფორმაციამ, ეკონომიკა ინდუსტრიულიდან ნეოინდუსტრიული გახდა XX საუკუნის შუახანებში,ხოლო ეროვნულ სიმდიდრის შემადგენ-ლობაში შეტანილ იქნა არამატერიალური ელემენტები: ადამი-ანური კაპიტალი და ინფორმაცია.

თანამედროვე პერიოდში ეკონომიკურ მეცნიერებაში არსე-ბობს შეხედულება იმის შესახებ,რომ ქვეყნის ნამდვილ სიმდი-დრედ უნდა იქცეს მოსახლეობის სულიერი და ინტელექტუა-ლური პოტენციალი,რომ სწორედ ის შეძლებს განვითარდეს ეკონომიკა,პოლიტიკა. შეიცვალოს სოციალური და წარმოე-ბითი ურთიერთობების ხასიათი და მთელი ქვეყნის იერსახე. ამიტომ, ეროვნული სიმდიდრის შემადგენლობაში შეტანილ იქნა, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების შემ-თვისებელი -ადამიანური კაპიტალი.

ეროვნულ სიმდიდრედ იქცა ინფორმაცია,რომელიც თანა-მედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიის გამოჩენით დაფუძ-ნებულია კომპიუტერულ ტექნიკაზე.მაგრამ მისი ღირებულება

მიმღებისათვის განსხვავებულია: ვიღაც მზად არის მასში გადაიხადოს მილიონები,ხოლო სხვისთვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს.ადამიანური საზოგადოების და ეკონომიკური პროგრესის დაჩქარების მიზნით იყო მცდელობა ეროვნულ სიმდიდრის შემადგენლობაში ჩაერთოთ ისეთი ელემენტები,როგორიცაა ქვეყნის ეკოლოგიური მდგომარეობა,მოსახლეობის უსაფრთხოება და სხვა.მაგრამ მათ უნდა ახასიათებდეთ ეროვნული სიმდიდრის ძირითადი თვისებები.

ამგვარად, ცნება ეროვნული სიმდიდრე შეიძლება განისაზღვროს,როგორც ადამიანური შრომით შექმნილი და საზოგადოების მიერ დაგროვილი მატერიალური და სულიერი ღირებულებანი, როგორც მომავალი განვითარების საფუძვლები.ეროვნული სიმდიდრის ელემენტებია:ძირითადი საწარმოო კაპიტალი,საბრუნავი კაპიტალი,რეზერვები და მარაგები, არასაწარმოო სფეროში ფუნქციონერი ძირითადი კაპიტალი,მოსახლეობის საკუთრება, გამოყენებადი ბუნებრივი სიმდიდრე,ადამიანური კაპიტალი,ინფორმაცია, მოსახლეობის ინტელექტუალური და სულიერი პოტენციალი. მოკლედ რომ ვთქვათ ეროვნული სიმდიდრეა ყველაფერი, რაც გაგვაჩნია და შეგვიქმნია.ხოლო სიმდიდრის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ყველაფერი რაც აკმაყოფილებს ადამიანთა მოთხოვნილებებს,პასუხობს მათ მიზნებს და მისწრაფებებს. მოსახლეობის მოხმარების საგანთა მოცულობით,მათი მრავალფეროვნებით, ხარისხით და მათი დაკმაყოფილების დონით მსჯელობენ, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებაზე.იმისათვის რომ მივიღოთ მოხმარების საგნები, საჭიროა წარმოების საშუალებების შექმნა (ნავთობი,ლითონი,ხის მასალა,დაზგები და ა.შ) ანუ, რაც შეეხება, ეროვნული სიმდიდრის სტრუქტურირების და ინსტრუმენტების განსაზღვრის საკითხს,რომელიც აუცილებელია ეროვნული სიმდიდრის ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირებისათვის, დაკავშირებულია კეთილდღეობის წარმოების სტრუქტურის საკითხთან,ამ შემთხვევაში ეროვნული სიმდიდრის ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირების ინსტრუმენტებს მივაკუთვნებთ შემდეგს:შიდა მოთხოვნის სტიმულირება;სა-

წარმოების მიერ სახელმწიფოსთან ანგარიშგება პრინციპით მოხმარების ფაქტთან და მოგების მიღების ფაქტთან მიმართებაში; სახელმწიფოს მიერ ინსტიტუციური დაგეგმვის და პროექტირების რეგულირება; სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების და პროექტების სტიმულირება;ინვესტიციების სტიმულირება. ჩვენ მიერ ჩამოთვლილი ეროვნული სიმდიდრის ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირების ისტრუმენტები არა მარტო კეთილდღეობის წარმოების დონეზე მოქმედებს. ეკონომიკას ახასიათებს კვლავწარმოების პროცესები, რამდენადაც ყველა შემქმნილი მატერიალური კეთილდღეობა ადრე, თუ გვიან, გაქრება, მისი გამოყენების და მოხმარების შედეგად.ამისათვის აუცილებელია მათი კვლავწარმოება-ახალი მოხმარების საგნების და წარმოების საშუალების შესაქმნელად,გამოლეულის შესავსებად.ნებისმიერმა საზოგადოებამ განვითარების ინოვაციურ გზაზე აქტივირებისთვის აუცილებლად უნდა მოახდინოს ზუსტი არჩევანი მიმდინარე და მომავალ მოხმარებასა და კეთილდღეობის დონეებს შორის.ამასთან აუცილებელია გავითვალისწინოთ:

1. სამეურნეო საქმიანობის არსებული და ჩამოყალიბებადი ფორმები;
2. შექმნილი პროპორციები: ეკონომიკის სექტორებს შორის;მეურნეობის დარგებს შორის; ეროვნული სიმდიდრის ელემენტებს შორის;კაპიტალის შემადგენელ ნაწილებს შორის; კვლავწარმოების პროცესში მოხმარების საგნების წარმოებასა და წარმოების საშუალებათა წარმოებას შორის.

თუ შევადარებთ ქვეყნებს ეროვნული სიმდიდრის დონით,როგორც ცნობილია მცირეშემოსავლიანი ქვეყნების ეროვნული სიდიდრის სტრუქტურაში სჭარბობს ბუნებრივი რესურსები, ხოლო მაღალშემოსავლიანი ქვეყნებში ადამიანური პოტენციალი. ყველაზე მდიდარ ქვეყნებთან შედარებით ღარიბი ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული სიმდიდრე 61-ჯერ, სამრეწველო კაპიტალის მიხედვით 66- ჯერ,ადამიანური პოტენციალის დონის მიხედვით 88 ჯერ ნაკლებია.თუ ავილებთ 10 ყველაზე უფრო მდიდარ ქვეყანას მსოფლიოში (შვეიცარი-

ა,შვედეთი, დანია,აშშ, გერმანია, ავსტრია,ნორვეგია, ,საფრანგეთი, ბელგია,ლუქსემბურგი) ერთ სულ მოსახლეზე სიმდიდრის დონის მიხედვით და ასევე 10 ყველაზე ღარიბ ქვეყანას (მადაგასკარი, ჩადი, მოზამბიკი, გვინეა-ბესაუ, ნეპალი, ნიგერი, კონგო, ბურუნდი,ნიგერია, ეთიოპია) ამ ორ ჯგუფს შორის ეროვნული სიმდიდრის საშუალო სიდიდე 143 -ჯერ უფრო მეტია მსოფლიოს მდიდარ ქვეყნებში.იმისათვის რომ მიღწეულ იქნეს სოციალ-ეკონომიკური კეთილდღეობის გარკვეული დონე, აუცილებელია ,როგორც ამას მკვლევართა უმრავლესობა თვლის , შრომის საერთაშორისო დანაწილებისა და ორგანიზების ისეთი ფორმების უზრუნველყოფა,რომელიც საშუალებას მისცემს ნაკლებგანვითარებულ ქვეყნებს მოახდინონ ეროვნული სიმდიდრის პროპორციების შეცვლა და ადამიანური პოტენციალის წილის ზრდა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. სილაგაძე ა. ეკონომიკური დოქტრინები,თბ.2010
2. ფრანსუა ლოკიე,დერეკ ბლეილსი,ეროვნულ ანგარიშთა სისტემა: როგორ ვისწავლოთ და გავიგოთ,თსუ 2015
3. When is Wealth of Nations? Measuring Capital for the 21 Century. World Bank. Washington D.C ,2006

**REFERENCES:**

1. Silagadze A. Economic doctrines, Vol. 2010
2. Francois Lequiller, Derek Blades, Understanding of National Accounts. Second Edition, TSU 2015
3.When is Wealth of Nations? Measuring Capital for the 21 Century. World Bank. Washington D.C ,2006

## NATIONAL WEALTH AS AN ECONOMIC CATEGORY

**Nato Chikviladze,**
professor of GTU
natochikviladze34@gmail.com

### RESUME

National wealth is one of the most general economic categories and an integral indicator for assessing and comparing the economic potential and capabilities of different countries. The calculation of such important macroeconomic quantities is based on the system of national accounts. In the economic literature, the term wealth refers to the sum of certain elements. In the economic literature, the term "wealth" refers to the sum of certain elements. In this sense, "wealth" is the object of economic science and statistical research. Country, nation, people, social wealth - these categories emerged with the formation of economic science. The first mention of the category "national wealth" in foreign literature is associated with the works of the classical economist W. Petty. In his search for the source of wealth, the author quantified the economic events of his time. In 1664 the scholar calculated the national wealth of England.

Two concepts have emerged: national wealth is regarded as a certain fund held by a country in a certain period of time, or as recurrent income, a certain flow of products processed and used by the state, of the country over a certain period of time. The second concept dominated 19th century science. In our view, the definition of national wealth as a certain flow over a certain period of time is more characteristic of the concept of national income or gross product. For a scientifically sound and legitimate characterization of the concept of national wealth it is necessary to combine these two approaches. Only from the middle of the 20th century onwards. National wealth is identified with the accumulated stock of tangible and intangible assets. All elements of national wealth have a mate-

rial composition, i.e. represent the material wealth of society. But on the wave of scientific and technological progress, information played a big role, in the mid-twentieth century the economy transformed from industrial to neo-industrial, and intangible elements were included in national wealth: human capital and information. If we compare countries by the level of national wealth, it is known that natural resources prevail in the structure of national wealth of low-income countries, and human potential prevails in high-income ones. In order to achieve a certain level of socio-economic well-being, most researchers believe that forms of international division of labor and organization are necessary to enable less developed countries to change the proportions of national wealth. and increase the proportion of human potential.

**Key words:** Wealth, national wealth, national wealth as an economic category.

# მიწის საკადასტრო მონაცემთა კვლევის შედეგები სოფელ მზისგულის მაგალითზე

DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-84

**ელენე ბლიაძე**
სტუ დოქტორანტი
**ebliadze@gmail.com**

**რეზიუმე**

ნაჩვენებია საქართველოს მიწის საკადასტრო სისტემაში არსებულ ინფორმაციაზე, კერძოდ, იუსტიციის სამინისტროს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში არსებული მიწაზე საკუთრების რეგისტრაციის რეფორმების პროცესში შექმნილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სივრცული ანალიზის შესაძლებლობები გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების დახმარებით; ნაჩვენებია მიწის საკადასტრო-საბაზისო მონაცემის მნიშვნელობა. კვლევის შედეგებში გამოვლენილია პრობლემური საკითხები და დასახულია მათი გადაჭრის გზები.

დასაბუთებულია მოსაზრება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია არქივებში დაცული ძველი მიწათსარგებლობის და ნიადაგურ რუკებზე ასახული ინფორმაციის ციფრულ ფორმატში გადაყვანა. კერძოდ, სივრცით (გეოგრაფიულ) ინფორმაციაში გადაყვანა, ძველი და თანამედროვე მდგომარეობის შედარებისათვის, მომავალი საქმიანობების დაგეგმვისათვის. კვლევისათვის შერჩეულია კახეთში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მდებარე სოფელი მზისგული, სადაც დასრულებულია სისტემური რეგისტრაციის საპილოტე პროექტი.

საკვლევი ტერიტორიის საზღვრად გამოყენებულია მზისგულის სარეგისტრაციო სექტორის საზღვარი (55.02). არსებული

საკადასტრო და კვლევის პროცესში შექმნილი სივრცითი მონაცემებით გაანალიზდა ყველა შესაძლო რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლები. შეიქმნა გემონაცემთა ბაზები ყველა მნიშვნელოვანი გეოსივრცული ფენით, მომზადდა თემატური რუკები და რეკომენდაციები.

**საკვანძო სიტყვები:** კადასტრი, მიწის საკადასტრო სისტემა, საკუთრების რეგისტრაცია, მიწის რესურსები, გეომონაცემები, გის, სივრცული ანალიზი.

## შესავალი

მიწის ელექტრონული საკადასტრო მონაცემები კონკრეტული თარიღის მდგომარეობით ფაქტიურად არსებული მიწის ნაკვეთების აგეგმვისას ან აღწერისას შეგროვებული სივრცითი (გეოგრაფიული) მონაცემებია. ის აუცილებლად წარმოდგენილია ფართობის მქონე (ე.წ. პოლიგონალური) ობიექტის სახით და თან ახლავს კონკრეტული სტანტარდით განსაზღვრული ატრიბუტული ინფორმაცია. საქართველოში მიწის ელექტრონული საკადასტრო მონაცემების შეგროვების ტექნიკური და სამართლებრივი შესაძლებლობა 2004 წლიდან შეიქმნა და დღემდე მიმდინარეობს. აღსანიშნავია ის, რომ კონკრეტული საკანონმდებლო ცვლილებებისას გათვალისწინებული იყო იმდროინდელი ტექნოლოგიური მიღწევები.

მიწის საკადასტრო მონაცემთა თანამედროვე მდგომარეობის შესწავლისათვის შერჩეული იქნა კახეთში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მდებარე სოფელი მზისგული, სადაც დასრულებულია სისტემური რეგისტრაციის საპილოტე პროექტი. საზღვარად აღებულია სარეგისტრაციო სექტორის საზღვარი (55.02). საკვლევი ტერიტორია მდებარეობს საქართველოში, კახეთის რეგიონში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ მზისგულში (ყოფილი ბოგდანოვკა), კაჭრეთის ვაკის ჩრდილოეთ კიდეზე. თემის ცენტრი მდებარეობს ზღვის დონიდან 460 მეტრზე. საგარეჯოდან 28 კილომეტრის მანძილზე. 2014 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში ცხოვრობს 578 კაცი (მამაკაცი-286, ქალი-292)

## სურათი N 1. საკვლევი ტერიტორიის მდებარეობა

ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲛᲖᲘᲡᲒᲣᲚᲘ
ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲡᲐᲙᲕᲚᲔᲕᲘ ᲐᲠᲔᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘ
ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲘ: 12260069 ᲙᲕ.Მ




ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘ: 1:50,000

ᲛᲔᲢᲠᲘ
670 335 0 670 1,340 2,010

ᲬᲧᲐᲠᲝ: ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲠᲔᲔᲡᲢᲠᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ

ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ: ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲐᲜᲢᲘ ᲔᲚᲔᲜᲔ ᲑᲚᲘᲐᲫᲔ

**1. გამოყენებული ინფორმაციის წყარო საკვლევ ტერიტორიაზე**

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან საკვლევი ტერიტორიის საზღვრებში გამოთხოვილი იქნა შემდეგი ინფორმაცია:

- სისტემური აზომვების ელექტრონული მონაცემები;
- არქივში დაცული მიწათსარგებლობის რუკები;
- ნიადაგების რუკები.

არსებული საკადასტრო მონაცემების სრულფასოვანი ანალიზისათვის შეგროვდა ასევე ინფორმაცია საჯარო რეესტრის ელექტრონულ საკადასტრო რუკაზე (https://maps.gov.ge/map/portal) გამოქვეყნებული გრაფიკული და ამონაწერებში დოკუმენტირებული ინფორმაციდან. დაურეგისტრირებელ ნაკვეთებზე კი, მოძიებულ იქნა სარეგისტრაციო განცხადებებში არსებული ჩანაწერები (https://www.my.gov.ge/ka-ge/services/5/service/176).

მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის შედეგად მივიღეთ საკვლევ არეალზე ყველა შესაძლო საკადასტრო ინფორმაციის ტიპი. საკვლევი არეალის ფართობია 1226 ჰა, საიდანაც აზომვა/აგეგმვით დაფარული ფართობია 1077 ჰა, აღუწერელი ფართობია 149 ჰა.




**სურათი N2. დიაგრამა სისტემური საკადასტრო აღწერებით დაფარული და დაუფარაფი ტერიტორიების პროცენტული მაჩვენებელი**

**სურათი N 3. სისტემური საკადასტრო აღწერების შედეგები:**

სოფელი მზისგული
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი
საქართველო

სისტემური საკადასტრო აღწერები
2016-2019 წლები




მასშტაბი: 1:50,000

670 335 0 670 1,340 2,010 მეტრი

წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, დეკემბერი, 2022წ

შემსრულებელი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი ელენე ბლიაძე

აზომილი ნაკვეთების მონაცემების გაანალიზებამ გვიჩვენა, რომ ბევრია ტოპოლოგიური შეცდომები (გადაფარვები და სიცარიელეები). რაც შეეხება მიწაზე სხვა საკადასტრო მონაცემებს შემდეგნაირია:

## 2. ნაკვეთების რაოდენობა და ფართობები საკვლევ საზღვარში

**ცხრილი N 1**

| სისტემურად აზომილი ნაკვეთების მდგომარეობა | რაოდენობა | ფართობი (კვ.მ) |
|---|---|---|
| დაკორექტირებული სისტემური აზომვა | 50 | 180388 |
| სისტემური აზომვა | 1221 | 9579484 |
| სპორადული აზომვა | 62 | 1124296 |
| სულ | **1333** | **10884168** |

**სურათი N 4. დიაგრამები აზომილი ნაკვეთების მონაცემების საბოლოო მდგომარეობის შესახებ რაოდენობისა და ფართობების მიხედვით**



## 3. რეგისტრაციის შედეგები

**ცხრილი N 2**

| ნაკვეთების რეგისტრაციების შესახებ | რაოდენობა | ფართობი (კვ.მ) |
|---|---|---|
| არარეგისტრირებული | 164 | 495416 |
| რეგისტრირებული | 1169 | 10388752 |
| სულ | 1333 | 10884168 |

**სურათი N 5. დიაგრამები აზომილი ნაკვეთების რეგისტრაციების შესახებ რაოდენობისა და ფართობების მიხედვით**




## 4. უფლებრივი მდგომარეობა

**ცხრილი N3 საკუთრების ფორმები რეგისტრირებულ ნაკვეთებში:**

| საკუთრების ფორმები | რაოდენობა | ფართობი (კვ.მ) |
|---|---|---|
| უცნობი თანამესაკუთრით და უფლებამონაცვლე | 392 | 1475513 |
| მუნიციპალური | 6 | 45997 |
| სახელმწიფო | 169 | 4901156 |

| | | |
|---|---|---|
| იურიდიული პირი | 20 | 1126146 |
| კერძო | 746 | 3335356 |

**სურათი N6. დიაგრამები - რეგისტრირებული ნაკვეთებში საკუთრების ფორმების პროცენტული მაჩვენებელი რაოდენობისა და ფართობების მიხედვით**







შეზღუდული უფლება (იჯარა, იპოთეკა, სერვიტუტი და ა.შ სხვა ვალდებულება) რეგისტრირებულია 158 ნაკვეთზე.

**სურათი N7. რუკა საკუთრების ფორმების გეოგრაფიული განაწილების შესახებ**

ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲛᲖᲘᲡᲒᲣᲚᲘ
ᲡᲐᲑᲐᲠᲔᲯᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲛᲘᲬᲘᲡ ᲜᲐᲙᲕᲔᲗᲘᲡ
ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲢᲘᲞᲘ




ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘ: 1:50,000

670 335 0 670 1,340 2,010 ᲛᲔᲢᲠᲘ

ᲬᲧᲐᲠᲝ: ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲠᲔᲔᲡᲢᲠᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ, ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 2022Წ

ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ: ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲐᲜᲢᲘ ᲔᲚᲔᲜᲔ ᲑᲚᲘᲐᲫᲔ

## 5. მიწის მიზნობრივი დანიშნულების ტიპები

ცხრილი N 4. დანიშნულების ტიპების მდგომარეობა

| მიწის დანიშნულების ტიპი | რაოდენობა | ფართობი (კვ.მ) |
|---|---|---|
| არ არის ინფორმაცია | 164 | 495416 |
| არასასოფლო-სამეურნეო | 37 | 1221775 |
| სასოფლო-სამეურნეო | 1132 | 9166976 |
| სულ | 1333 | 10884168 |

სურათი N 8. დიაგრამები - მიწის მიზნობრივი დანიშნულების ტიპების პროცენტული მაჩვენებლები რაოდენობისა და ფართობების მიხედვით







## 6. მიწის გამოყენების ტიპი

ცხრილი N5. მიწის გამოყენების (კატეგორიების) ტიპების მდგომარეობა

| მიწის გამოყენების ტიპი | რაოდენობა | ფართობი (კვ.მ) |
|---|---|---|
| არ არის ინფორმაცია | 1108 | 7477498 |
| საკარმიდამო | 64 | 217363 |
| საძოვარი | 3 | 88736 |
| სახნავი | 158 | 3100570 |
| სულ | 1333 | 10884168 |

**სურათი N 9. დიაგრამები - მიწის გამოყენების ტიპების პროცენტული მაჩვენებლები რაოდენობისა და ფართობების მიხედვით**




**სურათი N10. რუკა მიწის მიზნობრივი დანიშნულებისა და კატეგორიების გეოგრაფიული განაწილების შესახებ**



## 7. ინფორმაცია მიწის საფარის შესახებ

შენობა ნაგებობებით დაფარული ტერიტორიის (განაშენიანების) ფართობია 65826 კვ.მ, ხოლო საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობა/ნაგებობების რაოდენობა ჯამში 982. გზებით და წყლით დაფარული ტერიტორიების შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ აღირიცხება.

რეგისტრირებული დაცული ტერიტორიის ნაკვეთის ფარგლებში მოქცეულია ტყის ფონდის შესახებ ინფორმაცია და არ ხდება მისი განცალკევება სხვა ტიპის საფარებისაგან.

## 8. ისტორიული მონაცემები

### 8.1 არქივში დაცული ინფორმაციის შესახებ

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს არქივში დაცულია საბჭოთა კავშირის დროინდელი მეთოდოლოგიით შესრულებული მიწათსარგებლობისა და ნიადაგის ბონიტირების ძველი რუკები და ანგარიშები, რომელიც გამოიყენებოდა მიწის რესურსების მართვისათვის.

კვლევის ფარგლებში გადმოცემული რუკები რეფერენსირებულია და მოხდა მათზე ალბეჭდილი მონაცემების ვექტორიზაცია, რათა გაადვილებულიყო მიწათსარგებლობის და ნიადაგების ტიპების ფართობების დათვლა საკვლევ ტერიტორიაზე.

როგორც აღვნიშნეთ, სამეცნიერო წრეებში „საბანკო რეგულირებისა“ და „საბანკო ზედამხედველობის“ ცნებების ურთიერთმიმართების საკითხი ჯერ კიდევ სადავოს წარმოადგენს. მეცნიერები და სპეციალისტები აღნიშნული ცნებების

გამოყენებისას გამოხატავენ თავიანთ მოსაზრებებს, რომლებიც საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან. ერთნი მათ განმარტავენ, როგორც ურთიერთშემცვლელ (იდენტურ) ცნებებს, მეორენი განსაზღვრავენ, როგორც დაქვემდებარებულ ან ურთიერთშემავსებელ ცნებებს (აქცენტი გადააქვთ ამა თუ იმ ცნების სასარგებლოდ), ხოლო მესამენი თვლიან, რომ ეს არის ორი დამოუკიდებელი, მაგრამ ურთიერთდაკავშირებული ცნება. [5]

ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული თვალსაზრისით, საბანკო ზედამხედველობა უფრო ვიწრო ცნებაა, ვიდრე საბანკო რეგულირება, ვინაიდან წარმოადგენს საბანკო რეგულირების შემადგენელ ელემენტს, რომელიც დაფუძნებულია რეგულირების ამ სფეროს სპეციფიკურ ტექნოლოგიებზე, ინსტრუმენტებსა და პროცედურებზე. მეორე თვალსაზრისი მოიაზრებს ზედამხედველობის არსებობას ფართო გაგებით, რომლის ერთ-ერთი ობიექტი საბანკო სისტემაა, ხოლო საბანკო რეგულირება მხოლოდ ეკონომიკის ამ სფეროზე ზედამხედველობის საშუალებაა. ამ შემთხვევაში, ზედამხედველობა ვიწრო გაგებით არის პრუდენციული რეგულირების უზრუნველყოფის საშუალება, რომლის ობიექტს წარმოადგენენ ბანკები.

საფინანსო-საბირჟო საკითხთა გერმანული ლექსიკონი „Finanz und Borsenlexikon" იძლევა საბანკო ზედამხედველობის შემდეგ განმარტებას: „ეს არის ბაზარზე შესვლის ნებართვის გაცემის პროცესი (ლიცენზირება) და ბანკების მიმდინარე ბიზნეს საქმიანობის მონიტორინგი ბანკების მეანაბრეთა მოთხოვნების დაცვის და დაკრედიტების და სავალუტო პოლიტიკის ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით". [6]

ამერიკულ ლექსიკონში „The New Palgrave Dictionary of Money & Finance" მითითებულია, რომ „საბანკო ზედამხედველობა მოწოდებულია უზრუნველყოს საბანკო უსაფრთხოება და მეანაბრეების დაცვა და მოიცავს მარეგულირებელ (პრუდენციალურ) და მონიტორინგის კომპლექსს, რომელიც მიმართულია ბანკების ფინანსური სიჯანსაღისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე". [7]

ვთვლით, რომ საბანკო ზედამხედველობის არსის ყველაზე სრული ინტერპრეტაცია მოცემულია „საბანკო ენციკლოპედიაში", სადაც საბანკო ზედამხედველობა განისაზღვრება, როგორც „ცენტრალური ბანკის აქტიური მოწესრიგებული ქმედებების სისტემა და კონტროლის ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია მათი საქმიანობის პროცესში ბანკებისა და სხვა საკრედიტო-საფინანსო ორგანიზაციების მიერ კანონმდებლობის დაცვის უზრუნველყოფაზე და ნორმატივების დადგენაზე საბანკო სისტემის სტაბილურობისა და მეანაბრეების ინტერესების დაცვის მიზნით". [8]

აშკარაა, რომ საბანკო ზედამხედველობა მეორეულია საბანკო რეგულირებასთან მიმართებაში, რომელიც წარმოადგენს ბანკებისა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობის მარეგულირებელი ორგანოების მიერ დადგენილ ნორმებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას და საბანკო სექტორში დარღვევების შემთხვევაში აღსრულების ღონისძიებების გამოყენებას. [9]

ხშირად ცნებები „რეგულირება" და „ზედამხედველობა" აღრეულია ეკონომიკურ ლიტერატურასა და ცენტრალური ბანკების ოფიციალურ რეგულაციებშიც და ტერმინი „ზედამხედველობა" გამოიყენება მასზე დაფუძნებული რეგულაციის აღნიშვნის მიზნითაც; ასევე „საბანკო რეგულირება" ხშირად განისაზღვრება, როგორც სახელმწიფოს ჩარევა საბანკო სექტორის საქმიანობაში; ხოლო დასავლეთის სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, ზოგადად, არ განასხვავებენ ამ ცნებებს, აერთიანებენ რა მათ ერთიანი ტერმინით „საბანკო ზედამხედველობა". ამას მოწმობს საბანკო თანამშრომლობის სფეროში მთავარი საერთაშორისო ორგანოს დასახელებაც - „საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი".

საბანკო ზედამხედველობის არსის შესახებ ზემოთ მოტანილი დებულებების განზოგადება შესაძლებელს ხდის ამ განმარტების დაზუსტებას. მიგვაჩნია, რომ საბანკო ზედამხედველობა არის უფლებამოსილი საზედამხედველო ორგანოს (ცენტრალური ბანკის ან/და სხვა სახელმწიფო ორგანოების)

საქმიანობა ეროვნული ეკონომიკის საერთოსახელმწიფოებრივი მონიტორინგის ფარგლებში იმ ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის მიმდინარე კონტროლის მიზნით, რომლებსაც ბანკები ახორციელებენ დაარსების დღიდან და, საჭიროების შემთხვევაში, მათზე ზეგავლენის ზომების გამოყენებისთვის.

საბანკო ზედამხედველობის მიზანია საბანკო სექტორში წარმოშობილ პრობლემებზე დროული და სწრაფი რეაგირება, მათი აღმოფხვრა. ეფექტიანი ზედამხედველობის სათანადო დონის მისაღწევად გამოიყენება შესაბამისი მეთოდები და პროცედურები, რომლებიც ხელს უწყობენ დასახული მიზნების მიღწევას იმისდა მიხედვით, ზედამხედველობის რა ფორმა ხორციელდება.

საბანკო ზედამხედველობის ძირითადი პრინციპებია: კანონიერება; მუდმივობა; შემმოწმებელი პირების მიუკერძოებლობა ზედამხედველობის ობიექტთან მიმართებაში; საკრედიტო ინსტიტუტებზე ზედამხედველობის განხორციელება უშუალოდ ზედამხედველის მიერ.

საბანკო ზედამხედველობის ფუნქციებია: ბაზარზე დაშვება: სპეციალური ნებართვების გაცემა საბანკო ან სხვა საფინანსო საშუამავლო საქმიანობის განხორციელებისათვის; ოპერაციების რეგლამენტირება და რისკების შეზღუდვა (ტრანზაქციების განხორციელების და ბუღალტრული აღრიცხვის წესების, საბანკო საქმიანობის სხვადასხვა პრუდენციული ნორმებისა და სტანდარტების დაწესება); საკრედიტო დაწესებულებების მიერ განხორციელებული ოპერაციების უსაფრთხოებისა და მართებულობის კონტროლი; ფინანსური სირთულეების მქონე საკრედიტო დაწესებულებებთან მუშაობა: რეორგანიზაცია, სანაცია და სხვა.

ვინაიდან ზედამხედველობას ახორციელებენ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოები, მათ შეიძლება კონკრეტული ბანკის მიმართ გამოიყენონ სანქციები ლიცენზიის გაუქმების ჩათვლით (გარე კონტროლისგან განსხვავებით, რომელსაც ახორციელებენ სხვა ორგანოები ან ორგანიზაციები და

რომელიც ძირითადად სრულდება რეკომენდაციებისა და რჩევების მიცემით).

ამრიგად, საბანკო ზედამხედველობა არის კომპლექსური, უნივერსალური პროცესი, რომელიც მოიცავს საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობის ყველა სფეროს და აერთიანებს მისი საქმიანობის მონიტორინგის ყველა შესაძლო მეთოდს და ხერხს - დაწყებული ანგარიშგების დოკუმენტების შემოწმებით და ანალიზით, სხვადასხვა პერიოდულობით ადგილზე ჩატარებული ინსპექტირებით, დამთავრებული რეგულარული პირადი კონტაქტებით ბანკის ხელმძღვანელებთან (განსხვავებით, მაგალითად, აუდიტორული შემოწმებისგან, რომელიც ჩვეულებრივ ტარდება წელიწადში ერთხელ და გააჩნია საკმაოდ შეზღუდული ამოცანები).

## დასკვნა

საბანკო რეგულირება არის უფლებამოსილი ორგანოს გაცნობიერებული გარე ზემოქმედება საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობაზე, რომლის აუცილებლობაც გამომდინარეობს საბანკო ოპერაციების სპეციფიკიდან. საბანკო ზედამხედველობა - კომპლექსური, უნივერსალური პროცესია, რომელიც მოიცავს საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობის ყველა სფეროს და აერთიანებს მისი საქმიანობის მონიტორინგის ყველა შესაძლო მეთოდს და ხერხს - დაწყებული ანგარიშგების დოკუმენტების ფორმების შემოწმებით და ანალიზით, სხვადასხვა პერიოდულობით ადგილზე ჩატარებული ინსპექტირებით და დამთავრებული რეგულარული პირადი კონტაქტებით ბანკის ხელმძღვანელებთან.

ვთვლით, რომ ცნება „საბანკო რეგულირება" უფრო ფართოა და მოიცავს საბანკო ზედამხედველობას. აქედან გამომდინარე, ისინი არ უნდა იყოს იდენტიფიცირებული, გაიგივებული, ვინაიდან ავსებენ ერთმანეთს და იერარქიულ კავშირში იმყოფებიან.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Гудзь, Т. П. (2008). Банковский надзор. Киев : Ліра-К.

2. Банковское регулирование. (n.d.). Retrieved from Большой экономический словарь: https://clck.ru/33MTXo

3. IDnow. (n.d.). Retrieved from Bank regulation: https://clck.ru/33N6j4

4. Why Regulate Banks? (2006, July 11-12). Retrieved from The Organisation for Economic Co-operation and Development (OECD): https://www.oecd.org/daf/competition/prosecutionandlawenforcement/38821319.pdf

5. Hussain, B. (2009). Integrated Financial Supervision and its Implications for Banking Sector Stability. Leonard N. Stern School of Business, New York : New York University.

6. Bestmann, U. (2000). Finanz und Borsenlexikon. Auflage. Munchen: Deutscher Taschenbuch Verlag.

7. Newman, N., Milgate, M., & Eatwell, J. (1992). The New Palgrave Dictionary of Money & Finance (in 3 volumes). Vol. 1. London: Macmillan Press Limited.

8. Арбузов, С. Г., Колобов, Ю. В., Міщенко, В. І., & Науменкова, С. В. (2011). Банківська енциклопедія. Київ: Центр наукових досліджень Національного банку України, Знання.

9. Абрамкин, С. А., Карпова, Н. В., & Хаялеева, Ч. С. (2015). Мегарегулятор в поиске конвергентной модели от баланса финансовой политики и регулирования на финансовых рынках к стимулированию экономики. Вестник Казанского ГАУ, № 3(37), 61-66.

10. საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი - https://www.bis.org/


**REFERENCES:**


1. Goodz, T. P. (2008). Banking supervision. Kyiv: Lira-K. (in Russian)

2. Banking regulation. (n.d.). Retrieved from Big Dictionary of Economics: https://clck.ru/33MTXo (in Russian)

3. IDnow. (n.d.). Retrieved from Bank regulation: https://clck.ru/33N6j4

4. Why Regulate Banks? (2006, July 11-12). Retrieved from The Organisation for Economic Co-operation and Development (OECD): https://www.oecd.org/daf/competition/prosecutionandlawenforcement/38821319.pdf

5. Hussain, B. (2009). Integrated Financial Supervision and its Implications for Banking Sector Stability. Leonard N. Stern School of Business, New York : New York University.

6. Bestmann, U. (2000). Finanz und Borsenlexikon. Auflage. Munchen: Deutscher Taschenbuch Verlag.

7. Newman, N., Milgate, M., & Eatwell, J. (1992). The New Palgrave Dictionary of Money & Finance (in 3 volumes). Vol. 1. London: Macmillan Press Limited.

8. Arbuzov, S. G., Kolobov, Yu. V., Mishchenko, B. I., & Naumenkova, S. V. (2011). Banking encyclopedia. Kyiv: Center for Scientific Research of the National Bank of Ukraine, Znannia. (in Ukrainian)

9. Abramkin, S. A., Karpova, N. V., & Khayaleeva, Ch. S. (2015). The mega-regulator is in search of a convergent model from the balance of financial policy and regulation in financial markets to stimulating the economy. Bulletin of the Kazan State Agrarian University, No. 3 (37), 61-66. (in Russian)

10. The Bank for International Settlements - https://www.bis.org/

# DISCUSSION ISSUES ON THE ESSENCE OF BANKING REGULATION AND SUPERVISION

**Gelitashvili Goga**
PhD Student
Faculty of Business Technologies
Georgian Technical University
g.gelitashvili@gtu.ge

**Burdiashvili Rati**
Professor
Faculty of Business Technologies
Georgian Technical University
r.burdiashvili@gmail.com

**Chelidze Medea**
Professor
Faculty of Business Technologies
Georgian Technical University
m.chelidze@gtu.ge

## RESUME

One of the strictest regulations in the financial market is applied to banking activities, which is due to the specific characteristics of banks, such as a high degree of dependence on attracted financial resources, implementation of the function of a financial intermediary, insufficient transparency and openness of activities, money laundering problems, etc.

This is often the cause of imbalance and a source of instability in the banking system. Added to this are interbank lending, affiliation of banks and connections between their founders, tendency to high-risk operations, which can lead to successive bank bankruptcies in unstable situations. Therefore, a system of restraining, restrictive

measures is needed, which will establish mandatory "rules of the game" for all participants in the banking system.

At the same time, the establishment of an effective mechanism of banking regulation and supervision is hindered to some extent by the lack of a unified understanding of the essence of the main banking concepts, including inconsistencies in the interpretation of such definitions as «banking regulation» and «banking supervision».

The article analyzes the widespread definitions of the mentioned concepts, brings the author's opinions and summarizes the obtained results.

**Key words:** Bank, Banking activity, Banking regulation, Banking supervision, Supervisory authority.

# აგრო ზარალების შეფასების მეთოდოლოგიის სრულყოფის საკითხები

DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-134

**აკაკი ნიკოლაიშვილი**
სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი"-ის
აგრო სადაზღვევო შემთხვევების
რეგულირების მენეჯერი.
სტუ - ს დოქტორანტი
Nikolaishviliakaki8@gmail.com

**არჩილ ცერცვაძე,**
პროფესორი
atsertsvadze@yahoo.com

**რეზიუმე**

დაზღვევა წარმოადგენს რისკის მართვის ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელიც გულისხმობს რისკის მთლიანად ან ნაწილობრივ გადაცემას სადაზღვევო ორგანიზაციაზე.

აგროდაზღვევა წარმოადგენს დაზღვევის სპეციალიზებულ და კომპლექსურ ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოსავლის, პირუტყვის, აკვაკულტურებისა და სათბურების დაზღვევას. აგროდაზღვევის წარმოშობას ხელი შეუწყო არახელსაყრელი კლიმატური პირობების მიერ სასოფლო - სამეურნეო საქმიანობის შეფერხებამ.

აგროდაზღვევის ძირითადი მიზანია დაიცვას ფერმერები და მოახდინოს მათი შემოსავლის სტაბილიზაცია, ისე რომ მათი აქტივობები შეუწყვეტლად გრძელდებოდეს წლების განმავლობაში.

სოფლის მეურნეობაში მოსავლის დაზღვევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამდენად აგროდაზღვევის პროგრამის განხორციელება ფერმერისათვის ძალზედ აქტუალური და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სწორად წარმართული სოფლის მეურნეობის სფეროს რეფორმა და აგროდაზღვევის განვითარება ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას და ქვეყნის განვითარებას, მოსახლეობის კეთილდღეობას.

აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამით ფერმერს შეუძლია დააზღვიოს მოსავალი შემდეგ ბუნებრივ მოვლენებზე: სეტყვა, ქარიშხალი, წყალდიდობა და საშემოდგომო ყინვა მხოლოდ ციტრუსზე.

**საკვანძო სიტყვები:** დაზღვევა, ფერმერი, ზიანი, შეფასება, ექსპერტი, სოფლის მეურნეობა.

## ძირითადი ტექსტი

აგროდაზღვევის პროგრამაში მთავარ როლს ასრულებს ზიანის შეფასება, რომელიც თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე ძალზედ თავისებურია.

ზიანის შეფასება წარმოებს სადაზღვევო რისკებით დაზიანებული მცენარის დაზღვევის პირობების შესაბამისი დანაკარგის დადგენის პროცენტული მაჩვენებლების, საბოლოო რეალური პროდუქციის და მოსალოდნელი რეალური პროდუქციის განსაზღვრის გზით, ამ პროცეს ახორციელებს აგრო ექსპერტი.

ზიანის შემფასებელი აფასებს დაზღვეული რისკის მიერ გამოწვეული დაზიანებების შედეგად მცენარის ვეგეტატიური და გენერაციული ნაწილების, ნაყოფების მდგომარეობის გადახრას სტანდარტული/საწყისი მდგომარეობიდან. შეფასება ხდება მხოლოდ **რაოდენობრივი** და არა ხარისხობრივი დანაკარგების პროცენტული მაჩვენებლის დადგენის მიზნით. ზიანის პროცენტის დადგენის მიზანია განისაზღვროს თუ რამდენი პროცენტით მოხდა/მოხდება დაზღვეული რისკის ხდომილებით მანამდე არსებული მოსავლის/მცენარეების შემცირება, იმასთან შედარებით რაც იყო რისკის დადგომამდე.

ზიანის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ისეთი

აუცილებელი ფაქტორები, როგორიცაა: კულტურის ტიპი; მცენარის განვითარების ფაზა; დამაზიანებელი მოვლენა/ინტენსივობა; უკვე არსებული ზიანი; უშუალოდ დაზღვეული რისკის ხდომილებით განადგურებული მცენარეების/ნაყოფების/კვირტების/ ყვავლილების/ნასკვების/ფოთლების/ვეგეტატიური ნაწილების რაოდენობა და ნაწილობრივ დაზიანებული მცენარეების/ ნაყოფების რაოდენობა; დაუზღვეველი რისკის ხდომილებით განადგურებული მცენარეების/ნაყოფების/კვირტების/ყვავლილების/ ნასკვების/ფოთლების/ვეგეტატიური ნაწილების რაოდენობა და ნაწილობრივ დაზიანებული მცენარეების/ნაყოფების რაოდენობა.

საქართველოს მთვარობის დადგენილებაში **„აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“**, (თბილისი, 2018 წ. დანართი #6) მოცემულია **საზამთროს, თხილის, ვაშლის, ვაზის, ხორბლის, კარტოფილის** კულტურების მოსავლის დანაკარგის შეფასების მეთოდოლოგია.

პრაქტიკულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ძალზედ ბევრია სამუშაო ზიანის რეგულირების სრულყოფის მიზნით. მაგალითად **ვაზის** ზიანის შეფასება ადრეულ ფაზებში, კერძოდ 5 - 7 ფოთლის ფაზიდან ყვავილობის ფაზის დასრულებამდე. ეს მონაკვეთი საერთოდ არ გვაქვს მოცემულ გაიდლაინში. არადა მეტად აქტუალური ფაზებია, ხშიარად ზუსტად ამ ფაზებში მოდის სეტყვა და ქარიშხალი.

საქართველო აგრარული ქვეყანაა და სოფლის - მეურენობის თითქმის ყველა პროდუქტს აწარმოებს ქართველი ფერმერი. ხახვის კულტურის წარმოება უფრო და უფრო იზრდება, ბუნებრივი სტიქიისგან ხშირად ზიანდება და სამწუხაროდ დიდ ფინანსურ დნაკარგს აძლევს ფერმერს. აუცილებელია ამ კულტურის ზიანის შეფასების გაიდლაინის შექმნა, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს ზიანის დარეგულირების პროცესს და აამაღლებს ზიანის შეფასების ხარისხს.

ასევე კვლევებმა აჩვენა, რომ საჭიროა ჭარხლის, სტაფილოს, პომიდვრის მოსავლის ზიანის შეფასების მეთოდიკის შემუშავება, რადგან ძირითადად ღია გრუნტში ხდება ამ კულტურების

წარმოება და სამწუხაროდ ბუნებრივი სტიქიური მოვლენები საგრძნობლად აზიანებს.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ სიმინდის კულტურა საქართველოს ყველა რეგიონში მოყავთ და შესაბამისადაც ბუნებრივი სტიქია სეტყვა, ქარიშხალი და წყალდიდობა საკმაოდ აზიანებს და ანადგურებს. აუცილებელია ამ კულტურის ზიანის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება, რაც საგრძნობლად გაამარტივებს და გამჭვირვალეს გახდის ზიანის დარეგულირების პროცესს.

ასევე საჭიროა შემუშავდეს კენკროვანი კულტურების ჟოლოს, მაყვლის, მოცვის ზიანის შეფასების მეთოდიკა, რადგანაც ბოლო წლებია ინტენსიურად მიმდინარეობს ამ კულტურების წარმოება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

გვინდა ავღნიშნოთ, რომ მოცემულ გაიდლაინში (**„აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“**, (თბილისი, 2018 წ. დანართი N6) საზამთროს ზიანის შეფასების მეთოდოლოგია მოითხოვს გადახედვას და სრულყოფას. ასევე ვაშლის ზიანის შეფასების მეთოდიკაც საჭიროებს სრულყოფას.

## დასკვნა

როგორც კვლევებიდან ჩანს, საკმაოდ დიდი მუშაობაა საჭირო აგრო ზარალების დარეგულირების მიზნით. ზარალის შეფასების მეთოდიკის სრულყოფისთვის აუცილებელია პრაქტიკული კვლევების ჩატარება და აგრო ექსპერტთა სერთიფიცირება.

ამრიგად აგროდაზღვევის პროგრამაში ზიანის შეფასების მეთოდიკის სრულყოფა ფერმერისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სწორად წარმართული აგრო ზარალების შეფასების სპეციფიკა, სოფლის მეურნეობის სფეროს და აგროდაზღვევის განვითარებას შეუწყობს ხელს.

განხორციელებული კვლევის შედეგად მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- საქართველოში აგროდაზღვევის განვითარებისათვის საჭიროა მსოფლიო გამოცდილების გაზიარება ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით;

● აგროდაზღვევის განვითარებისათვის საჭიროა ფერმერთა მეტი ინფორმირებულობა და მათი ცნობიერების ამაღლება;

● საჭიროა აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის სრულყოფა რისკის სწორად შეფასების, სადაზღვევო პრემიის ადეკვატურად განსაზღვრის და ფერმერთა ფინანსური ზარალის სრულფასოვნად ანაზღაურებისათვის;

● მნიშვნელოვანია ზარალების შეფასების მეთოდიკების შექმნა და სრულყოფა სხვადასხვა კულტურებისათვის;

● აუცილებელია აგროდაზღვევის სფეროში სერტიფიცირებული სპეციალისტების მომზადება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. კოღუაშვილი პ. „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროგნოზი“ (თანაავტორი ო. ქეშელაშვილი), „საარი“, თბილისი, 2017 წ.

2. კოღუაშვილი პ., თეთრაძე გ. „აგრარული რისკები, აგრო დაზღვევისა და აგრო დაკრედიტების პრობლემები“, ჟურნალი „ეკონომიკა“, № 1, თბილისი, 2017 წ.

3. ცერცვაძე ა., ხანთაძე გ., ვეკუა დ. „სადაზღვევო საქმე“, თბილისი გამომცემლობა „დანი“, 2015 წ.

4. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის ანგარიში, თბილისი, 2021 წ.

5. საქართველოს მთვარობის N 236 დადგენილება „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, თბილისი, 2020 წ.

6. R.E.J. Roberts “Insurance of crops in developing countries.” FAO AGRICULTURAL SERVICES BULLETIN 159 2005

7. Ramiro Iturrioz “Agricultural Insurance” PRIMER SERIES ON INSURANCE ISSUE 12, NOVEMBER 2009

8. www.rda.gov.ge

9. www.insurance.gov.ge

10. www.worldbank.org

**REFERENCES:**


1. Koghuashvili P. "Georgian Agriculture Development Forecast" (co-author O. Keshelashvili), "Saari", Tbilisi, 2017.

2. Koghuashvili P., Tetradze G. "Agrarian risks, problems of agricultural insurance and agricultural lending", "Economics" magazine, No. 1, Tbilisi, 2017.

3. Tsertsvadze A., Khantadze G., Vekua D. "Insurance Case", Tbilisi Publishing House "Dani", 2015.

4. 2021 report of the Ministry of Environment Protection and Agriculture of Georgia, Tbilisi, 2021.

5. Resolution No. 236 of the Government of Georgia "On approval of the agricultural insurance program", Tbilisi, 2020.

6. R.E.J. Roberts "Insurance of crops in developing countries." FAO AGRICULTURAL SERVICES BULLETIN 159 2005

7. Ramiro Iturrioz "Agricultural Insurance" PRIMER SERIES ON INSURANCE ISSUE 12, NOVEMBER 2009

8. www.rda.gov.ge

9. www.insurance.gov.ge

10. www.worldbank.org

# ISSUES OF IMPROVING THE METHODOLOGY OF AGRICULTURAL DAMAGE ASSESSMENT

**Nikolaishvili Akaki**
JSC "Insurance Company Aldagi"
Manager of regulation of agricultural insurance cases,
Doctoral student of GTU
Nikolaishviliakaki8@gmail.com

**Archil Tsertsvadze**
Professor
atsertsvadze@yahoo.com

## RESUME

The main role in the agricultural insurance program is damage assessment, which is very peculiar due to its specificity.

Damage assessment is carried out by determining the percentages of loss, final real production and expected real production according to the insurance conditions of the plant damaged by insurance risks, this process is carried out by an agro expert.

The damage assessor evaluates the deviation of the condition of the vegetative and generative parts of the plant, fruits from the standard/initial condition as a result of injuries caused by the insured risk. The assessment is done only to determine the percentage of quantitative and not qualitative losses. The purpose of determining the percentage of damage is to determine by how much the percentage of the crop/plants that existed before the occurrence of the insured risk occurred/will occur, compared to what it was before the occurrence of the risk.

Perfection of damage assessment methodology in the agricultural insurance program is vital for the farmer. The specifics of properly conducted agro loss assessment will contribute to the development of agriculture and agro-insurance.

As the research shows, a lot of work is needed to regulate agricultural losses. In order to perfect the methodology of damage assessment, it is necessary to conduct practical studies and to certify agricultural experts. Furthermore, it is necessary to share the world experience for the development of agro-insurance, taking into account the local specifics;

Moreover, the perfection of the necessary agricultural insurance state program for correct assessment of risks, adequate determination of insurance premium and full compensation of financial losses of farmers are necessary; It is quite important to create and to improve damage assessment methods for different cultures individually.

**Keywords:** Insurance, farmer, damage, appraisal, expert, agriculture.

# ყაზახური ნავთობის ე.წ „შუა დერეფნის“ გამოყენებით ტრანსპორტირების პერსპექტივები

**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-142**

**გიორგი გარაყანიძე**
სამართლის მაგისტრი,
ენერგოუსაფრთხოების მკვლევარი, LL.M,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ORCID ID: 0000-0002-5166-7257
ელ.ფოსტა: Garakanidze.Giorgi@yahoo.com

**რეზიუმე**

2023 წლის იანვარში ყაზახეთის პრეზიდენტ ყ. თოყაევის განცხადებით, არაბთა გაერთიანებული საემიროების სახელმწიფო კომპანიამ *Abu Dhabi Ports Group* და ყაზახეთის ნავთობისა და გაზის ეროვნული კომპანიამ *KazMunaiGas* გააფორმეს სტრატეგიული პარტნიორობის დოკუმენტი.

ყაზახეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ოფიციალური ასტანა აპირებს გახდეს ცენტრალური აზიისა და კასპიის ზღვის აუზის სატრანსპორტო ჰაბი. ამ მიზნის მისაღწევად, აქტიურად მუშაობს საკუთარი სატრონსპორტო კორიდორების დივერსიფიკაციაზე და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ტრანს-კასპიურ საერთაშორისო სატრონსპორტო გზის, ასევე ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანსპორტო კორიდორის პროექტებს.

თავის მხრივ, არაბთა გაერთიანებული საემიროების ფედერალური მთავრობა მიზნად ისახავს ორივე მხარისთვის ხელსაყრელი ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებას და საპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას ცენტრალური აზიისა და კასპიის ზღვის რეგიონში. ზემოხსენებული საემიროების სახელმწიფო კომპანია სპეციალიზირებულია პორტებისა და ეკონომიკური ზონების მშენებლობაში, ასევე ლოჯისტიკისა

და ციფრული ბიზნესების განვითარებაში საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრმლობით.

დუბაის საემიროში რეგისტრირებული კიდევ ერთი სახელმწიფო კომპანია *DP World* გეგმავს განახორციელოს 1 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიცია ყაზახეთის საბანკო-საფინანსო სისტემაში, აგრეთვე სურს მონაწილეობა მიიღოს ახალი თავისუფალი ეკონომიკური ზონის მოწყობის პროექტში.

მომავალში იგეგმება საპორტო/საზღვაოსნო სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის კიდევ უფრო გაძლიერება, რათა გაძლიერდეს ეკონომიკური კავშირები არაბთა გაერთიანებულ საემიროებსა და ყაზახეთს შორის. ზემოხსენებული ფაქტები გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ყაზახეთი შეეცდება სამხრეთ კავასიაზე გამავალი ე.წ „შუა კორიდორის" გამოყენებას საკუთარი ბუნებრივი რესურსებისა და სხვა პროდუქტების ტრანსპორტირების მიზნით.

**საკვანძო სიტყვები:** ყაზახეთი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, ნავთობი, გაზი, „შუა დერეფანი", ენერგოუსაფრთხოება, ენერგეტიკა, საპორტო ინფრასტრუქტურა.

## ყაზახეთისა და არაბთა გაერთიანებული საემიროების მზარდი თანამშრომლობა საპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროში:

ყაზახეთის ნავთობისა და გაზის სახელმწიფო კომპანია „ყაზმუნაიგაზი" (*KMG*) არაბთა გაერთიანებული საემიროების სახელმწიფო საპორტო კომპანია *Abu Dhabi Ports Group (ADP)*-თან შეთანხმდა ერთობლივად კონტროლირებადი ტანკერების ფლოტის გაფართოებაზე, რათა შემცირდეს ცენტრალური აზიის ქვეყნის დამოკიდებულება რუსეთზე, როგორც მისი ნედლი ნავთობის საექსპორტო გზაზე.

*KMG*-ის 2023 წლის 30 მარტს გამოქვეყნებული ოფიციალური ინფორმაციით, აღმასრულებელმა დირექტორმა მაგზუმ მირზაგალიევმა მოლაპარაკებები გამართა *ADP*-ის აღმასრულებელ დირექტორ მოჰამედ ჯუმა ალ შამისისთან *Caspian Integrated Maritime Solutions (CIMS)*-ის საერთო წამოწყების ფა-

რგლებში ტანკერების საერთო ფლოტის გაფართოებასთან დაკავშირებით. ამას გარდა, *Caspian Integrated Maritime Solutions (CIMS)* ორმხრივი პროექტის ფარგლებში მხარეები გეგმავენ განავითარონ ყაზახეთის შიდა წყლების სანაოსნო მიმოსვლა, რაც თავის მხრივ, შესაძლებელს ხდის დაიწყოს გიგანტური ქაშაგანის ნავთობსაბადოს მოპოვებითი სამუშაოები. ზემოხსენებულ ერთობლივ პროექტს საფუძველი ჩაეყარა მიმდინარე წლის თებერვალში და იგი მიზნად ისახავს კასპიისა და შავი ზღვის რეგიონებში ნავთობის ტრანსპორტირების ხელშეწყობას. მხარეები შეთანხმდნენ დამატებითი ტანკერების (8000-დან 12000 ტონამდე ტევადობით) შეძენასთან დაკავშირებით, თუმცა არ დაკონკრეტებულა რაოდენობა ან შეძენის ზუსტი დრო. მოლაპარაკებებში აგრეთვე მონაწილეობდა *KMG*-ის შვილობილი კომპანია *Kazmortransflot (KMTF)*, რომელმაც განიხილა ღია ზღვაში ცურვისთვის განკუთვნილი Aframax/Suezmax ტიპის ნავთობტანკერების ფლოტის შესაძლებლობების განვითარების საკითხი. ამჟამად *KMTF*-ს გააჩნია ტანკერების საკუთარი ფლოტი, კერძოდ ორი Aframax (ტევადობა 115,896 ტონა) და სამი Caspian max (ტევადობა 24,733 ტონა) ტიპის ტანკერი.

ამას გარდა, მხარეებმა განიხილეს კასპიის ზღვაში ყაზახეთის კუთვნილ წყლებში პორტების მომსახურების (ლოჯისტიკური) ფლოტის განახლების საკითხიც. KMTF და ADP 2022 წლის დეკემბერში შეთანხმდნენ შვიდწლიან ვადაში ტანკერების ფლოტის სრულ გაერთიანებაზე, რათა საშუალოვადიან პერსპექტივაში განახორციელონ 8-10 მილიონი ტონა (160 000-200 000 ბარელი დღეში) ნავთობის ერთობლივი ტრანზიტი.

2022 წელს „კასპიის მილსადენის კონსორციუმის" (*CPC*) ირგვლივ არსებული ტექნიკური/პოლიტიკური შეფერხებების, ასევე უკრაინაში მიმდინარე ომის გამო ყაზახეთ-რუსეთს შორის მზარდი დაძაბული ურთიერთობების გათვალისწინებით, ოფიციალური ასტანა მიზნად ისახავს შეამციროს ენერგო-სატრანზიტო დამოკიდებულება რუსეთზე.

ამასთან, ნავთობტანკერებისა და საპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება საშუალებას იძლევა „ბაქო-თბილისი-ჯეი-

ჰანის“ ნავთობსადენის გამოყენებით მოხდეს ყაზახური ნავთობის ექსპორტი ევროპაში. ოფიციალური ასტანა გეგმავს მეტი უცხოური ინვესტიციის მოზიდვას საპორტო ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და სხვა ლოჯისტიკურ სექტორებში, ასევე განავითაროს არსებული მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები *ADP*-სთან.

### არაბთა გაერთიანებული საემიროების მზარდი ეკონომიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონში:

2023 წლის დასაწყისში აბუ დაბის საემიროში რეგისტრირებული სახელმწიფო კომპანია *AD Ports* და დუბაის საემიროში რეგისტრირებული სახელმწიფო კომპანია *DP World* ოფიციალურად შეთანხმდნენ ინდოეთში, კასპიის ზღვის აუზსა და სამხრეთ დასავლეთ აფრიკის საპორტო ინფრასტრუქტურაში ერთობლივი ინვესტიციების გაზრდის თაობაზე.

2005 წელს დუბაის საემიროში სახელმწიფო კომპანია *DP World*-ის შექმნასთან ერთად საფუძველი ჩაეყარა არაბთა გაერთიანებული საემიროების ფედერალური მთავრობის აქტიურ საგარეო-სავაჭრო პოლიტიკას, რაც თვალსაჩინოა *DP World*-ის რეგიონალურ ეკონომიკურ მეტოქეობაში თურქულ და ყატარულ ფირმებთან განსაკუთრებით აღმოსავლეთ აფრიკის რეგიონის ქვეყნებში, აგრეთვე საემიროების დაძაბულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან. ახლო აღმოსავლეთის რეგიონში არსებული უდიდესი პორტის - ჯებელ ალის საერთაშორისო მენეჯმენტიდან მიღებული გამოცდილების წყალობით, საზღვარგარეთ სავაჭრო გავლენების მოპოვების გზით, არაბთა გაერთიანებული საემიროები ცდილობენ მიაღწიონ ქვეყნის ეკონომიკური დივერსიფიკაციას, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში კომერციული ექსპანსიის მეშვეობით.

2020 წლიდან *DP World* დაუბრუნდა სრულ სახელმწიფო კონტროლს, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს ძალისხმევის კონცენტრირება გრძელვადიან სტრატეგიულ-პოლიტიკურ გეგმებზე

და არა მოკლევადიან კერძო მეწილეთა ინტერესებზე ორიენტირებულ ქმედებებზე.

ბოლო ორი წლის განმავლობაში *AD Ports*-ის ექსკლუზიურად ლოკალური ბიზნესიდან საერთაშორისო ინვესტორად ტრანსფორმაცია თვალნათლივ ილუსტრირებს არაბთა გაერთიანებული საემიროების მზარდ ეროვნულ-სტრატეგიულ ინტერესებს.

წინა ათწლეულის განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა საზღვარგარეთ არსებულ პორტებსა და ლოჯისტიკურ ცენტრებში ზემოხსენებული კომპანიების მხრიდან ინვესტირება. მაგალითად, 2023 წლის იანვარში *AD Ports*-მა გააფორმა ლოჯისტიკური და სატრანსპორტო უზრუნველყოფის შეთანხმება თურქულ ფოლადის მწარმოებელ კომპანია *Tosyali Holding*-თან.

აღნიშნული ინვესტიციების მეშვეობით არაბთა გაერთიანებული საემიროების ფედერალური მთავრობა მიზნად ისახავს:

1. ფინანსური ინვესტირების გზით გაზარდოს საკუთარი პოლიტიკური გავლენები.
2. განახორციელოს ეკონომიკის დივერსიფიკაცია.

ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალურ აზიაში ინვესტირება დამატებით მიზნად ისახავს ირანის მზარდი გავლენების შემცირებასა და ყატარული/თურქული ეკონომიკური გავლენებისთვის მეტოქეობის გაწევას.

ცენტრალური აზიის პორტებში ეკონომიკური გავლენების მოპოვება არაბთა გაერთიანებულ საემიროებს საშუალებას აძლევს გააკონტროლონ მზარდი მნიშვნელობის მქონე ე.წ „შუა დერეფანი“ (Middle Corridor), რომელიც რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების (საქართველო, აზერბაიჯანი) სატრანზიტო შესაძლებლობების გამოყენებით აკავშირებს აღმოსავლეთ აზიისა და ევროპის ეკონომიკურ ბაზრებს.

ოფიციალურ ასტანასთან საპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებასთან ერთად, 2023 წლის ივლისში, *AD Ports*-მა გააფორმა მემორანდუმი უზბეკეთის ნავთობკომპანია *Sanoat Energetika Guruhi*-ს-

თან, უზბეკეთში სურსათის ვაჭრობის ცენტრის განვითარების მიზნით. 2022 წლის ნოემბერში არაბთა გაერთიანებული საემიროების ოფიციალური დელეგაცია იმყოფებოდა თურქმენეთის დედაქალაქ აშხაბადში, სადაც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ხელი მოეწერა თურქმენეთის საპორტო ინფრასტრუქტურის განახლების ხელშეკრულებას.

სავარაუდოა, რომ საკუთარი ეკონომიკის დივერსიფიკაციისა და პოლიტიკური გავლენების გაძლიერების მიზნით, არაბეთის გაერთიანებული საემიროები მომავალშიც გააგრძელებენ ინვესტიციციების განხორციელებას საზღვარგარეთ არსებულ საზღვაო აქტივებში. წითელი ზღვის მთავარი სავაჭრო არტერიის პარალელურად ცენტრალური აზია გვევლინება, როგორც მზარდი პრიორიტეტი არაბთა გაერთიანებული საემიროების საგარეო პოლიტიკაში. აზიისა და ევროპის უმოკლეს სავაჭრო არტერიებზე ეკონომიკური გავლენის მოპოვებით შემცირდება ირანის შიიტური ისლამური რესპუბლიკის მზარდი ეკონომიკური გავლენები რეგიონში, ასევე ოფიციალურ აბუ დაბის საშუალება ეძლევა კონკურენცია გაუწიოს თურქულ/ყატარულ სავაჭრო-ეკონომიკურ გავლენებს.

## საკითხის მნიშვნელობა საქართველოსა და სრულიად სამხრეთ კავკასიის ენერგოუსაფრთხოებისთვის:

საქართველოს ენერგოუსაფრთხოებისა და ბუნებრივი რესურსების სატრანზიტო შესაძლებლობების კონტექსტში განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ 2022 წლის განმავლობაში ყაზახეთი იკვლევდა ხელსაყრელ მარშრუტებს რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით ევროპის ბაზარზე საკუთარი ნავთობისა და გაზის ექსპორტირებისათვის. ამ მიმართულებით გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა პროექტს, რომლითაც 2017 წლის მარტიდან დაიწყო მუშაობა საბორნე გადასასვლელმა „ალატი-აქტაუ-პორტი“,[1] რომლითაც ყაზახეთის ქ. აქთაუს პორტიდან ტანკერებით ნედლი ყაზახური ნავთობის ტრანპ-

**1 Паром Курык (Казахстан) – Алят (Баку, Азербайджан). http://www.simplextrans.com/ru/parom-kuryk-alyat-baku**

სორტირება ხდება ჯერ აზერბაიჯანში, ხოლო შემდგომ, საქართველოსა და თურქეთის ტერიტორიაზე გამავალი მილსადენების გამოყენებით - ევროპის ქვეყნებში. ზემოაღნიშნულ პროექტში ცენტრალური აზიური ქვეყნების შესაძლო ჩართულობა გაზრდის საქართველოს, როგორც ენერგორესურსების სატრანზიტო ქვეყნის მიმზიდველობას, აგრეთვე ხელს შეუწყობს დამატებითი ენერგო-ინვესიტიციების მოზიდვას საქართველოში, რაც მომავალში დადებითად აისახება ქვეყნის უსაფრთხოების სეგმენტზე.

„შუა დერეფნის" პროექტის ირგვლივ არსებულ გამოწვევებზე საუბრისას გასათვალისწინებელია, რომ ამ ეტაპზე რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით ყაზახური ნავთობის ტრანსპორტირება, გაცილებით მეტ ხარჯებთან არის დაკავშირებული, ვიდრე რუსეთის ტერიტორიაზე უკვე არსებული მილსადენების სისტემის სატრანზიტოდ გამოყენება. გასათვალისწინებელია, რომ სომხეთ-აზერბაიჯანს შორის ყარაბაღის ირგვლივ მიმდინარე კონფლიქტმა სამომავლოდ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ნავთობსადენების უსაფრთხოებას კავკასიის რეგიონში. ამასთან, დამატებითი საფრთხის შემცველია რუსული საოკუპაციო ჯარების სიახლოვე საქართველოს ტერიტორიაზე გამავალ ნავთობსადენებთან, რაც ოფიციალური მოსკოვის მხრიდან შესაძლოა გამოყენებულ იქნას ალტერნატიული სატრანზიტო მარშრუტის საბოტაჟისთვის. დამატებითი ფინანსური ხარჯების გარდა, კასპიის ზღვის მონაკვეთის ტანკერებით გადალახვა საგრძნობლად ზღუდავს ტრანსპორტირებადი ნავთობის საერთო მოცულობას, ხოლო ირანის ისლამური რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის თანხმობის გარეშე გამორიცხულია ახალი დამაკავშირებელი მილსადენის გაყვანა ყაზახეთსა და აზერბაიჯანს შორის.

არაბთა გაერთიანებული საემიროების ჩართულობა ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების საპორტო ინფრასტრუქტურის განახლების პროცესში იძლევა შესაძლებლობას, რომ განახლებული პორტები გამოყენებულ იქნეს არა მხოლოდ ნავთობის, არამედ ბუნებრივი აირის ექსპორტის მიზნით. ამას

გარდა, საერთაშორისო ინვესტიციების (მაგ. არაბთა გაერთიანებული საემიროების ჩართულობის) ზრდა ერთგვარად ამცირებს სამხრეთ კავკასიის გავლით ტვირთების ტრანზიტთან დაკავშირებულ რისკებს. თავის მხრივ, ე.წ „შუა დერეფანი“ სავაჭრო გზის მნიშვნელობის ზრდა წაახალისებს საქართველოს ანაკლიის პორტის პროექტში ინვესტიციის განხორციელების მსურველ საერთაშორისო კომპანიებს, რაც საგრძნობლად გააძლიერებს საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ მნიშვნელობასა და ტრანზიტისგან მიღებულ შემოსავლებს.

## დასკვნა

ამრიგად, რუსეთ-უკრაინის ომმა კიდევ უფრო რელიეფურად წარმოაჩინა სამხრეთ კავკასიის გეოეკონომიკური მნიშვნელობა ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფაში. კერძოდ,

- ომი კასპიისპირეთის ქვეყნებს ენერგო რესურსების მსოფლიო ბაზარზე გატანის ახალ, ალტერნატიულ შესაძლებლობებს აძლევს და მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ჩვენი რეგიონის უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე;
- სამხრეთ კავკასიაში არსებული გეოპოლიტიკური რისკების გათვალისწინებით სასურველია განხორციელდეს უცხოელი ინვესტორების (მაგ. არაბთა გაერთიანებული საემიროების) ჩართულობის გაზრდა საქართველოსა და აზერბაიჯანის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სექტორის განვითარებაში.
- კარგი იქნება ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირებაში ჩართულ აზერბაიჯანულ და ქართულ რკინიგზებთან, საბორნე გადასასვლელებთან და პორტებთან “ლოგისტიკური ჯაჭვის” შექმნა და ყაზახური მხარისათვის შეთავაზება. ამ პროცესში აქტიურად უნდა ჩაერთვნენ საქართველოს დიასპორის და დიპლომატიის წარმომადგენლები ცენტრალურ აზიაში. უნდა მოხდეს წარმოების და გადაზიდვების მიმართულებების კომპლექსური ანალიზი და ამით პოტენციური მოსაზიდი ტვირთის, განსაკუთრებით ენერგო რესურსების, დადგენა;

- აზერბაიჯანის და საქართველოს პორტებმა ტვირთბრუნვის უფრო მეტად დივერსიფიცირება უნდა მოახდინონ, რათა მათ პერსპექტივაში შეძლონ ნავთობის და ნავთობპროდუქტების მზარდი გადაზიდვების ჰარმონიზაცია "ნაყარი ტვირთებისა" და კონტეინერების გადაზიდვებთან.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. AD Ports Group, *AD Ports Group Signs Strategic Agreements with KazMunayGas and Kazakhstan's Ministry of Industry & Infrastructural Development*, adportsgroup.com, January 18, 2023, https://tinyurl.com/33az2jpp

2. The Astana Times, *Abu Dhabi Ports Group to Develop Maritime Cooperation With Kazakhstan,* January 17, 2023, https://tinyurl.com/mv2ba6p9

3. FSU Oil & Gas Monitor (FSUOGM), April 5, 2023, Issue 1221, Week 14, p. 16-17.

4. DP World, *Abu Dhabi Ports Group to Develop Maritime Cooperation with Kazakhstan*

*5. Kazakhstan joins World Logistics Passport as hub for Central Asia*, DPworld.com, December 21, 2020, https://tinyurl.com/mujb6h8k

6. Felix K. Chang, *The Middle Corridor through Central Asia Trade and Influence Ambitions*, Foreign Policy Research Institute (FPRI), February 21, 2023, https://tinyurl.com/47z85azt

7. SWP: Stiftung Wissenschaft und Politik, *Russia's War on Ukraine and the Rise of the Middle Corridor as a Third Vector of Eurasian Connectivity*, SWP Comment 2022/C 64, 28 October 2022. https://www.swp-berlin.org/10.18449/2022C64/

8. James Jay Carafano, *Central Asia's Middle Corridor gains traction at Russia's expens*e, Geopolitical Intelligence Services, August 29, 2022, https://tinyurl.com/56snwmxf

9. Kadyrova, Elvira, Energy, Newcentralasia.net, *Investment and port cooperation are at the top of Turkmen–Emirati summit talks*, November 22, 2022, https://tinyurl.com/rmwp86v2

10. გარაყანიძე, ზურაბ, „ევროკავშირში კასპიის ნავთობის ტრანსპორტირების ზოგიერთი პრობლემის შესახებ“, For.ge, 3 დეკემბერი, 2022.

11. გარაყანიძე, ზურაბ, „რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა ევროპის გაზის ბაზრის ფორმირებაზე“, For.ge, 27 ივნისი, 2022.

**REFERENCES**:

1. AD Ports Group, *AD Ports Group Signs Strategic Agreements with KazMunayGas and Kazakhstan's Ministry of Industry & Infrastructural Development*, adportsgroup.com, January 18, 2023, https://tinyurl.com/33az2jpp

2. The Astana Times, *Abu Dhabi Ports Group to Develop Maritime Cooperation With Kazakhstan,* January 17, 2023, https://tinyurl.com/mv2ba6p9

3. FSU Oil & Gas Monitor (FSUOGM), April 5, 2023, Issue 1221, Week 14, p. 16-17.

4. DP World, *Abu Dhabi Ports Group to Develop Maritime Cooperation with Kazakhstan*

*5. Kazakhstan joins World Logistics Passport as hub for Central Asia*, DPworld.com, December 21, 2020, https://tinyurl.com/mujb6h8k

6. Felix K. Chang, *The Middle Corridor through Central Asia Trade and Influence Ambitions*, Foreign Policy Research Institute (FPRI), February 21, 2023, https://tinyurl.com/47z85azt

7. SWP: Stiftung Wissenschaft und Politik, *Russia's War on Ukraine and the Rise of the Middle Corridor as a Third Vector of Eurasian Connectivity*, SWP Comment 2022/C 64, 28 October 2022. https://www.swp-berlin.org/10.18449/2022C64/

8. James Jay Carafano, *Central Asia's Middle Corridor gains traction at Russia's expens*e, Geopolitical Intelligence Services, August 29, 2022, https://tinyurl.com/56snwmxf

9. Garakanidze, Zurab, "On Some Problems of Caspian Oil Transportation in the European Union," For.ge, December 3, 2022.

10. Garakanidze, Zurab, "Impact of the Russia-Ukraine War on

the Formation of the European Gas Market," for.ge, June 27, 2022.

11. Kadyrova, Elvira, Energy, Newcentralasia.net, *Investment and port cooperation are at the top of Turkmen–Emirati summit talks*, November 22, 2022, https://tinyurl.com/rmwp86v2

## PROSPECTS OF TRANSPORTING KAZAKHSTAN'S OIL USING THE SO-CALLED "MIDDLE CORRIDOR"

**Giorgi Garakanidze**,
The South Caucasus Energy
Security researcher, LL.M,
Tbilisi State University
ORCID ID: 0000-0002-5166-7257
*E-Mail: Garakanidze.Giorgi@yahoo.com*

### RESUME

In January, 2023 the President of Kazakhstan welcomed the signing of an agreement between the Abu Dhabi Ports Group and KazMunaiGas National Company on a strategic partnership.

Tokayev noted that the country intends to become a full-fledged transport hub in Central Asia and in the Caspian Sea region. Kazakhstan is working on the diversification of transport corridors, paying particular attention to the Trans-Caspian International Transport Route and the International North-South Transport Corridor.

Meanwhile, UAE aims at establishing a mutually beneficial partnership and providing various maritime services and solutions in the Caspian Sea and Central Asian region. The organization specializes in building ports, economic zones, and the development of logistics and digital businesses for their international partners.

Dubai-based port operator DP World is reportedly also planning

investment in freezone project and is said to invest $1bn in Kazakhstan Banking & Finance.

There are plans to carry out joint projects with Abu Dhabi Ports/ DP World to develop the infrastructure of seaports in order to strengthen economic ties between Kazakhstan and the UAE, including partnerships in the transport and logistics sector.

**Keywords**: Kazakhstan, UAE, Oil, Gas, “Middle Corridor”, Energy Security, Energy, Port Infrastructure.

# საქართველოზე გამავალი შუა კორიდორის სატრანზიტო დერეფნის განვითარების პერსპექტივები

**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-154**

**გიგა ხარაზი**
სტუ დოქტორანტი,
gigakharazi@jmail.com

მეცნიერ-ხელმძღვანელი -
**ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია,**
ემდ, სტუ პროფესორი,
ih_jujuna@yahoo.com

**რეზიუმე**

გაანალიზებულია საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის შესაბამისად, საქართველოს აქვს შესაძლებლობა ნახსენებ სატრანზიტო დერეფანში შეასრულოს საკვანძო ფუნქცია, მოახდინოს საკუთარი სატრანსპორტო-ლოჯისტიკური სისტემის სიღრმისეული ინტეგრაცია საერთაშორისო ლოჯისტიკურ სისტემებში და ამით ხელი შეუწყოს ქვეყნის საერთო ეკონომიკურ განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკა, მენეჯმენტი, ტრანზიტი, ტრანსპორტი.

## შესავალი

საქართველო მდებარეობს მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და რთულ გეოპოლიტიკურ რეგიონში, დიდი აბრეშუმის გზის საკვანძო ადგილზე, რომელიც ისტორიულად დიდ როლს თამაშობდა ევროპასა და აზიის განვითარებასა და ურთიერთობებში. მას შემდეგ რაც საქართველომ თავი დააღწია საბჭოთა კავშირს, ქვეყანა, საკუთარი გეოგრაფიული სივრცის, ისტორიული წარსულის, პოლიტიკური მნიშვნელობისა და

ეკონომიკიკური შესაძლებლობიდან გამომდინარე, ახალი გეოეკონომიკური ცენტრია ევროპასა და აზიას, რუსეთსა და ახლო აღმოსავლეთს შორის. შესაბამისად, საქართველოს, როგორც ახალ გეოეკონომიკურ მიზიდულობის ცენტრის მიმართ გაჩნდა მზარდი ინტერესი, როგორც რეგიონულ, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. ქვეყნის უმთავრეს გეოპოლიტიკურ ამოცანას ევროპულ სტუქტურებში ინტეგრაცია წარმოადგენს. ამრიგად, გეოპოლიტიკური სტრატეგია მკაფიოდ არის დეკლარირებული, ხოლო მსოფლიო ეკონომიკაში საკუთარი ნიშის დამკვიდრებისათვის კი უაღრესად მნიშვნელოვანია სწორად ჩამოყალიბებული გეოეკონომიკური სტრატეგიის ფორმირება და მისი იმპლემენტაცია, რეგიონის ლოკალურ და საერთაშორისო მოკავშირეებთან შესაბამისი თანამშრომლობით. ამჟამად საქართველოს გეოეკონომიკურ პოზიციონირებაზე გავლენას ახდენენ: შიდარეგიონული დონის მოთამაშეები (სომხეთი, აზერბაიჯანი); გარერეგიონალური დონის შემთხვევაში - რუსეთი, თურქეთი, ირანი, შუა აზიის ქვეყნები; და ისეთი საერთაშორისო დონის მოთამაშეები, როგორებიც არიან ევროკავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები და ჩინეთი.

## ძირითადი ნაწილი

საქართველო ეკონომიკურად განვითარებადი ქვეყანაა. მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე 6671.9 $ -ია. საქართველოს, მისი მასშტაბებიდან გამომინარე, გააჩნია ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა. საქართველოს ტერიტორიაზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის რამდენიმე მილსადენი:

- ბაქო-თბილისი-ერზერუმის მილსადენი/შაჰ-დენიზის მილსადენი;
- ბაქო სუფსას მილსადენი (დასავლეთის მარშრუტის საექსპორტო მილსადენი/დასავლეთის ადრეული ნავთობის მილსადენი);
- ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი;
- TAP (ტრანს-ადრეატიკის მილსადენი);
- ჩრდილოეთ- სამხრეთის გაზის მილსადენი.

აღნიშნული მილსადენები გარდა იმისა, რომ საქართველოს ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვანი წყაროა, ამავე დროს მისი უსაფრთხოების გარანტიის ერთ-ერთი შემადგენელიცაა.

საქართველოს ტერიტორიაზე სატრანსპორტო გადაზიდვებს ემსახურება საქართველოს რკინიგზა, ავტომაგისტრალები, საზღვაო პორტები და ტერმინალები, ნაწილობრივ საჰაერო ტრანსპორტიც.

საქართველოში არსებული სატრანსპორტო დარგების განვითარება მაღალი ტემპით მას შემდეგ მიმდინარეობს, როდესაც მასიურად გახდა მოთხოვნილება სარკინიგზო, საავტომობილო, საჰაერო, საზღვაო ტრანსპორტის სახეობების გამოყენებისა, რასაც თან ერთვის ეკონომიკური აღმავლობაც. ტრანსპორტი ემსახურება საკუთარ ეკონომიკასაც და ასრულებს სატრანზიტო ფუნქციასაც. მას ხელს უწყობს საზღვაო რესპუბლიკის სტატუსი და ღია ზღვაში გასასვლელად ფოთის და ბათუმის პორტების ინტენსიური განვითარება.

საქართველოს პორტებსა და ტერმინალებში გადაზიდული ტვირთების მოცულობები ბოლო ათწლეულის განმავლობაში მცირდებოდა, თუმცა ახლა უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარე საომარი მოქმედებების და რუსეთის საწინააღმდეგოდ გამოცხადებული სანქციების გამო ტვირთების საქართველოს სატრანზიტო გზით გადაზიდვაზე მოთხოვნა მკვეთრად იზრდება.

გასულ წელს საქართველოს დერეფანში ყოველდღიურად 1300-ზე მეტი ტრაილერის გატარება ხდებოდა, მათ შორის მხოლოდ დეკემბერში გზებით 45 560 ტრაილერმა ისარგებლა.

სახელმწიფო ხაზინის მონაცემებით, დეკემბერში, სატვირთო ავტომობილების მფლობელებმა გზის სარგებლობისთვის ბიუჯეტში 15.9 მლნ ლარის გადასახადი გადაიხადეს.

ერთი მხრივ, შუა დერეფანში გაზრდილი ნაკადის და, მეორე მხრივ, ივნისიდან გადასახადის 200-დან 350 ლარამდე გაზრდამ გზათსარგებლობიდან შემოსავლები -128 მლნ ლარამდე გაზარდა. 2021 წელს ეს მაჩვენებელი თითქმის 2-ჯერ ნაკლები, მხოლოდ 66,4 მლნ ლარს შეადგენდა.

**ცხრილი 1.**

| თვე | გზადსარგებლობის საფასური (ლარი) | ტრაილერის რაოდენობა | მიღებული შემოსავალი (ლარი) |
|---|---|---|---|
| იანვარი | 200 | 26 742 | 5 348 454 |
| თებერვალი | 200 | 30 493 | 6 098 631 |
| მარტი | 200 | 24 780 | 4 956 096 |
| აპრილი | 200 | 34 021 | 6 804 200 |
| მაისი | 200 | 41 307 | 8 261 368 |
| ივნისი | (20 ივნისიდან გადასახადი 350 ლარი გახდა) 200-350 | 45 095 | 10 522 373 |
| ივლისი | 350 | 39 177 | 13 712 014 |
| აგვისტო | 350 | 43 858 | 15 350 493 |
| სექტემბერი | 350 | 39 208 | 13 722 963 |
| ოქტომბერი | 350 | 39 301 | 13 755 578 |
| ნოემბერი | 350 | 38 791 | 13 577 160 |
| დეკემბერი | 350 | 45 560 | 15 946 016 |

ჯამში, 2022 წელს საქართველოს დერეფანში, დაახლოებით 448 335 სატვირთომ გაიარა, 2021 წელს ეს მაჩვენებელი 332 070 იყო.

**რამდენად კონკურენტულია საქართველოზე გამავალი სატრანსპორტო დერეფანი (შუა დერეფანი), რუსეთზე გამავალ სატრანსპორტო დერეფანთან მიმართებით ?**

2023 წლის 1 იანვრიდან - რუსეთმა, ყაზახეთმა, თურქმენეთმა

და ირანმა - „ჩრდილოეთ სამხრეთ" დერეფანზე ერთობლივად შეიმუშავეს 20 % - იანი ფასდაკლება სარკინიგზო გადაზიდვებზე.

შედეგად გამჭოლი ტარიფი, ერთი 20 ფუთიანი კონტეინერის ერთ კილომეტრზე გადაზიდვისას განისაზღვრა - 0.16 დოლარით. 40 ფუთიანი გადაზიდვისას - 24 დოლარით.

**რამდენს წარმოადგენს შუა დერეფნის ტარიფი?**

შუა დერეფნის მოქმედი კომპლექსური გამჭოლი ტარიფი (დამტკიცებულია 09.05.2022 წელს), ყაზახეთი - აზერბაიჯანი - საქართველოს გავლით ბათუმი/ფოთის ნავსადგურებამდე - 20 ფუთიანი კონტეინერისთვის ერთ კილომეტრზე - 0.36 დოლარს, ხოლო 40 ფუთიანი კონტეინერისთვის - 0.59 დოლარს შეადგენს.

ფაქტიურად - რუსეთი - ყაზახეთი - თურქმენეთი - ირანის ტარიფი 20 ფუთიანი კონტეინერებისთვის 2 ჯერ, ხოლო 40 ფუთიანი კონტეინერისათვის 2,5 ჯერ ნაკლებია, შუა დერეფანთან შედარებით.

**ნახაზი 1. კასპიის ტრანზიტი**




შედეგად, სახეზეა, მიმდინარე წელს, როგორც საქართველოს ნავსადგურებში ასევე რკინიგზაზე ტვირთების საშუალოდ 7 –

10 % მატება. რეალურად, შუა დერეფანს გააჩნია მნიშვნელოვნად მეტი ტვირთნაკადების მოზიდვის შესაძლებლობა.

**EBRD-ის ალტერნატივა „ახალი აბრეშუმის გზის" ჩრდილოეთის მარშრუტისთვის**

რუსეთის ფედერაციის გავლით ჩრდილოეთის სარკინიგზო მარშრუტის ოპტიმალური ალტერნატივების დადგენის მიზნით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) ცენტრალური აზიის ქვეყნებსა და ევროპის TEN-T ქსელს (ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელი)შორის შესაძლო საუკეთესო კავშირებს იკვლევს. EBRD-ის კვლევა 2023 წლის ზაფხულამდე გაგრძელდება.

შუალედურ დასკვნაში ხაზგასმულია უზარმაზარი განსხვავება რუსულ მარშრუტსა და შუა დერეფანს შორის, რომელიც ჯერჯერობით საუკეთესო ალტერნატივად მიიჩნევა კომპანიებისთვის, რომლებიც თავს არიდებენ რუსულ ტრანზიტს.

უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე, ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანია რუსეთის ალტერნატიული სატრანსპორტო მარშრუტების განვითარება. პროფესიონალ რკინიგზელთა კლუბის პრეზიდენტი დავით გოჩავა Eurepetime-თან ინტერვიუში აღნიშნავს „ომში ჩართულობის მიუხედავად რუსეთი პოზიციებს არ თმობს და ცდილობს „ჩრდილოეთი-სამხრეთის" სატრანსპორტო დერეფნის გააქტიურებას. რუსეთის მიზანია, ამ სივრცეში მთელი ლოჯისტიკური სისტემის შეცვლა და ინვესტიციების მოზიდვა. მოსკოვისთვის მნიშვნელოვანია სანქტ-პეტერბურგის პორტი პირდაპირ დაუკავშირდეს მუმბაის პორტს. რამდენიმე საცდელი გადაზიდვა რუსეთმა უკვე გააკეთა, თუმცა ადგილზე არ აქვს მაკავშირებელი რგოლი და ცდილობს მათ შევსებასა და გააქტიურებას". მისივე თქმით, ევროპა ხედავს, რომ რუსეთი აძლიერებს ამ სივრცეში ყოფნას. ცდილობს შეისწავლოს რომელი განშტოება და მიმართულება იქნება მისთვის ეკონომიკურად უფრო მიზანშეწონილი. აქ მთავარი ღერძია კასპიის ზღვა და მისი დასავლეთის განშტოება-აზერბაიჯანის მარშრუტი. ასევე საინტერესოა კასპიის ზღვით კავშირი მახაჩქალის პორტთან და შემდეგ ტვირთების პირდა-

პირი ტრანზიტი ირანთან. აქ ყველაზე მეტი პერსპექტიულია კავკასიის შუა დერეფანი, რომელიც გადის საქართველოზე.

**ნახაზი 2.**




2021 წელს რუსეთის მარშრუტზე 1,5 მილიონი TEU (კონტეინერი) ტრანსპორტირდა. 2022 წელს შუა დერეფანში სატვირთო ბრუნვა 30%-ით გაიზარდა. 6-ჯერ გაიზარდა სარკინიგზო ტვირთნაკადები ყაზახეთიდან საქართველოში. ტრანსკასპიურ საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტზე 2022 წლის 8 თვეში 1,3 მილიონი ტვირთი გადაიზიდა, რაც 2,5-ჯერ მეტია ანალოგიური პერიოდის მონაცემებზე.*2 (*1Casp-geo.ru/; *[2]Europetime.eu/ka/arcticle/38324).

ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო(TITR) მარშრუტი „შუა დერეფანი“ გადის ჩინეთზე, ყაზახეთზე, კასპის ზღვაზე, აზერბაიჯანზე, საქართველოსა და თურქეთზე. ამ მარშრუტით შესაძლებელია ტვირთების გადატანა შავი ზღვის გავლით ევროპის ქვეყნებისკენ. ეს მარშრუტი ყველაზე მოკლეა ევროპასა და მწარმოებლებს შორის. როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დავოსში გამართულ ეკონომიკურ ფორუმის პანელურ დისკუსიაზე განაცხადა, ჩინეთიდან მომავალი მატარებელი მაქსიმუმ 10-15 დღეში შემოვა საქართველოში. ამიტომ ეს მნიშვნელოვანი დერეფანია. მისვე თქმით ამ ეტაპზე რკინიგზის

წარმადობა არის 25 მილიონი ტონა წელიწადში. ამ ეტაპზე ხორციელდება რკინიგზის მოდერნიზაცია, რომელიც დასრულებული იქნება 2024 წლისთვის და იმ ეტაპზე წარმადობა 48 მილიონი ტონა იქნება. TMTM- ის ასოციაციის წევრია 8 ქვეყნის 20 კომპანია. მათ შორისაა რკინიგზის ადმინისტრაციები, პორტები. გადაზიდვები და ლოგისტიკური კომპანიები.

## ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

საქართველოზე გამავალი შუა კორიდორის განსავითარებლად საჭიროა ამ სფეროში ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიის და ერთიანი საკანონმდებლო რეგულირების შემუშვება, რომლის ფარგლებში შესაძლებელი იქნება მთლიანი სატრანსპორტო ლოგისტიკური სისტემის უფრო ქმედითად წარმოჩენა. ამასთან, საქართველოს სატრანსპორტო-ლოგისტიკური პოტენციალის სრულფასოვანი ათვისება უკავშირდება შემდეგი საკითხების ერთიან ფორმატში გაანალიზებას: სახელმწიფო ხელისუფლების ცალკეულ უწყებათა შორის კოორდინაციის ამაღლება; გადამზიდავ ბიზნეს ოპერატორებს შორის კონკურენტული გარემოს განვითარების ხელშეწყობა; ტვირთზიდვაზე საერთო სატარიფო პოლიტიკის გატარების ხელშეწყობა; საქართველოს საგადასახადო და თავისუფალი ინდუსტრიული ზონების მარეგულირებელ კანონმდებლობაში განსახორციელებელი ცვლილებები; ეკონომიკური დიპლომატიის გააქტიურება; სატრანსპორტო-ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურისა და მომსახურების ადმინისტრაციული, ტექნოლოგიური და საინფორმაციო სივრცის გაუმჯობესება.

**REFERENCES:**

1. https://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=20

2. https://www.batumiport.com/ge/generaluri_direqtoris_mimartva/statistika/?2020574186

3.https://bm.ge/ka/article/-ra-shemosavals-igebs-saqartvelo-trailerebis-gatarebit---machveneblebi-rekordulia/124097

4. https://cutt.ly/V6rXi8k

5. https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00TH43.pdf

# PROSPECTS FOR THE DEVELOPMENT OF THE MIDDLE TRANSIT CORRIDOR PASSING THROUGH GEORGIA

**Giga Kharazi**
Phd Student of GTU,
gigakharazi@jmail.com

Scientific Supervisor
**Zhuzhuna Tsiklauri-Shengelia,**
PhD, GTU, Professor,
ih_jujuna@yahoo.com

## RESUME

Georgia's geopolitical situation has been analyzed in the article. According to its favorable geopolitical location, Georgia has the opportunity to play a key role in the mentioned transit corridor, to deeply integrate its own transport and logistics system into international logistics systems, and thereby to contribute to the overall economic development of the country. In addition, the full utilization of the transport and logistics potential of Georgia is related to the analysis of the following issues in a unified format: raising the coordination between individual agencies of the state government; promoting the development of a competitive environment among transport and logistic business operators; Facilitating the implementation of a common tariff policy on cargo transportation; Changes to be implemented in the legislation regulating tax and free industrial zones of Georgia; activation of economic diplomacy; Improvement of administrative, technological and informational space of transport-logistics infrastructure and services.

**Keywords**: Economy, management, transit, transport.

# საწარმოს მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება

**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-163**

**საბა ზედგინიძე**
სტუ დოქტორანტი

**ლია ბერიკაშვილი**
ეკონომიკის დოქტორი,
სტუ ასოცირებული პროფესორი
**liaberika@yahoo.com**

## რეზიუმე

სტატიაში განხილულია ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარების თეორია კონკურენციის ფარგლებში. ავტორები აანალიზებენ საწარმოს საქმიანობას და შეიმუშავეს ზომები მისი განვითარების სტრატეგიის ფარგლებში. ავტორები აღნიშნავენ, რომ სტრატეგია არის ნებისმიერი საქმიანობის ზოგადი, არადეტალური გეგმა, რომელიც მოიცავს დროის დიდ პერიოდს, კომპლექსური მიზნის მიღწევის გზას, მომავალში ბაზარზე არსებობის შეცვლილ პირობებზე მორგებას, რომლის ინსტრუმენტებიც მენეჯერისთვის ჯერჯერობით გაურკვეველია. ავტორების აზრით, მენეჯერი წარმოადგენს სტრატეგს, ხოლო მისი სტრატეგიის ძირითად მიზანს არსებული რესურსების ეფექტიანი გამოყენება.

მარკეტინგული სტრატეგია არის გრძელვადიანი გადაწყვეტილებების ერთობლიობა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დააკმაყოფილოს კომპანიამ არსებული და პოტენციური მომხმარებლების საჭიროებები მისი შიდა რესურსებისა და გარე შესაძლებლობების გამოყენებით; ხოლო სტრატეგიის შემუშავების მიზანი კი კომპანიის განვითარების ძირითადი პრიორიტეტული სფეროებისა და პროპორციების განსაზღვრა და

შემდეგ მისი უზრუნველყოფის მატერიალური წყაროებისა და ბაზრის მოთხოვნის გათვალისწინებაა.

ავტორთა მოსაზრებებით სტრატეგია მიმართული უნდა იყოს კომპანიის შესაძლებლობების ოპტიმალურ გამოყენებაზე და მცდარი ქმედებების თავიდან აცილებაზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის ეფექტიანობის დაქვეითება. ამდენად, ორგანიზაციის მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, ანუ თითოეულმა კომპანიამ თავისი საქმიანობა გეგმის მიხედვით უნდა განახორციელოს. სტატიის დასასრულს ავტორები აღნიშნავენ, რომ მარკეტინგული სტრატეგია განსაზღვრავს არა მხოლოდ კომპანიის განვითარების გზას, არამედ ასახავს კონკურენტებთან ბრძოლას, კონკურენტებისგან მიზანმიმართულ განცალკევებასა და იზოლაციას, ხოლო ამ ქმედებათა მიზანიი ბაზრის მოცემულ სექტორში წამყვანი პოზიციების დაკავებაა.

**საკვანძო სიტყვები:** მარკეტინგული სტრატეგია, სტრატეგიული დაგეგმვა, კონკურენტების ანალიზი.

## შესავალი

ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლასთან ერთად იზრდება საწარმოების დამოუკიდებლობა, მათი ეკონომიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამასთან, იზრდება კონკურენციის, როგორც ეკონომიკური პროცესის რეგულირების მთავარი მექანიზმის, როლი. ასეთ პირობებში კომპანია არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ მისი საქმიანობის მიმდინარე დაგეგმვითა და ოპერატიული მენეჯმენტით. საჭიროა სტრატეგიული აზროვნება, რომელიც აღწერილი უნდა იყოს სამოქმედო პროგრამაში. ამგვარი პროგრამები განმარტავს განვითარების არჩეული გზის მიზნებსა და საშუალებებს. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ სტრატეგიული მარკეტინგი იყო წარმოდგენილი, უპირველეს ყოვლისა, როგორც კომპანიის საქმიანობის ზოგადი მიმართულების განმსაზღვრელი ქმედება, იყო მომავალზე ორიენტირებული და გარე პირობების ცვალებადობაზე რეაგირების ინსტრუმენტი.

დღეს ძირითადი აქცენტი კეთდება ბაზარზე ორიენტირებული ეფექტიანი ორგანიზაციული და მართვის სისტემის ფორმირებაზე და ამის შესაბამისად კომპანიის მართვის რესურსების განაწილებაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მარკეტინგული სტრატეგია განიხილება, როგორც ერთიანი სისტემა კომპანიის მთელი მუშაობის ორგანიზებისთვის.

## ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲒᲐᲜᲡᲯᲐ

სტრატეგიული დაგეგმვა აუცილებელია, რადგან ის საშუალებას აძლევს კომპანიას სწრაფად უპასუხოს ცვალებად საბაზრო პირობებს. თითოეულმა კომპანიამ უნდა მოძებნოს მუშაობის საკუთარი სტილი, რომელიც საუკეთესოდ ითვალისწინებს პირობების, შესაძლებლობების, მიზნებისა და რესურსების სპეციფიკას.

სტრატეგია არის ნებისმიერი საქმიანობის ზოგადი, არადეტალური გეგმა, რომელიც მოიცავს დროის დიდ პერიოდს, კომპლექსური მიზნის მიღწევის გზას და მომავალში არსებობის შეცვლილ პირობებზეა მორგებული, თუმცა ცვლილებების ზუსტი შინაარსი მენეჯერისათვის ჯერჯერობით უცნობია. ასეთ მენეჯერს მენეჯერ-სტრატეგს უწოდებენ, ხოლო სტრატეგიის შინაარსს კი ძირითადი მიზნის მისაღწევად არსებული რესურსების ეფექტიანი გამოყენება წარმოადგენს.

მარკეტინგული სტრატეგია არის გრძელვადიანი გადაწყვეტილებების ერთობლიობა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დააკმაყოფილოს კომპანიის არსებული და პოტენციური მომხმარებლების საჭიროებები მისი შიდა რესურსებისა და გარე შესაძლებლობების გამოყენებით. სტრატეგიის შემუშავების მიზანია კომპანიის განვითარების ძირითადი პრიორიტეტული სფეროებისა და პროპორციების განსაზღვრა მისი უზრუნველყოფის მატერიალური წყაროებისა და ბაზრის მოთხოვნის გათვალისწინებით. სტრატეგია მიმართული უნდა იყოს კომპანიის შესაძლებლობების ოპტიმალურ გამოყენებაზე და იმგვარი მცდარი ქმედებების თავიდან აცილებაზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის ეფექტურობის დაქვეითება.

ორგანიზაციის მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება

არის აუცილებელი საჭიროება, რათა თითოეულმა ორგანიზაციამ განახორციელოს თავისი საქმიანობა გეგმის მიხედვით. მარკეტინგული სტრატეგია განსაზღვრავს არა მხოლოდ ორგანიზაციის განვითარების გზას, არამედ ასახავს კონკურენტებთან ბრძოლას, კონკურენტებისგან მიზანმიმართულ განცალკევებასა და იზოლაციას, რაც მოცემულ ბაზრის სექტორში წამყვანი პოზიციების დაკავებას ემსახურება.

არსებობს მარკეტინგული სტრატეგიის, როგორც კომპანიის ქმედებათა, რამოდენიმე ზოგადი განმარტება:

- ორგანიზაციის განვითარების გეგმა გრძელვადიანი პერიოდებისთვის;
- ოპერატიული ინტერვენციების ჩადების გეგმა კონკურენტულ ბაზარზე მკვეთრი დინამიური ზრდის შემთხვევაში;
- საწარმოს რეორგანიზაციის მოქმედებების ალგორითმი და ა.შ.

მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება აუცილებელია მიმდინარე მარკეტინგული აქტივობების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. სამომხმარებლო ბაზრებზე მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება და დანერგვა მოითხოვს, რომ ნებისმიერი კომპანია იყოს მოქნილი, შეეძლოს გაიგოს, ადაპტირდეს და, ზოგიერთ შემთხვევაში, გავლენა მოახდინოს ბაზრის მექანიზმების მუშაობაზე სპეციალური მარკეტინგული მეთოდების გამოყენებით.

კვლევის ობიექტად ავირჩიეთ კომპანია „ელიტ მოტორსი“, რომელიც არის მსოფლიოში ცნობილი კომპანიების VOLVO და Atlas Copco პროდუქციის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში. საკვლევი საწარმოს მაგალითზე დადგინდა, რომ შესწავლილი ორგანიზაციის კონკურენტული პოზიცია მაღალია, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზოგიერთი კონკურენტი ორგანიზაციის ბიზნესი განვითარების ეტაპზეა, ამიტომ კომპანიისათვის აუცილებელია განვითარება: საინტერესო შეთავაზებები და მარკეტინგული მიდგომები მეტი მომხმარებლის მოსაზიდად.

ჩატარდა კომპანიის საქმიანობის ყოვლისმომცველი ანალიზი. კერძოდ:

- გამოკვლეულია გასართობი და სასტუმრო კომპლექსის საქმიანობა;

- შესწავლილია მართვის სტრუქტურა;

- ჩატარებულია თანამშრომელთა რაოდენობისა და შემადგენლობის ანალიზი;

- შეფასებულია ფინანსური მაჩვენებლები.

სტრატეგიული დაგეგმვა აუცილებელია, რადგან ის საშუალებას აძლევს კომპანიას სწრაფად უპასუხოს ცვალებად საბაზრო პირობებს. თითოეულმა კომპანიამ უნდა მოძებნოს მუშაობის საკუთარი სტილი, რომელიც საუკეთესოდ ითვალისწინებს პირობების, შესაძლებლობების, მიზნებისა და რესურსების სპეციფიკას. სტრატეგია არის ნებისმიერი საქმიანობის ზოგადი, არადეტალური გეგმა, რომელიც მოიცავს დროის დიდ პერიოდს, კომპლექსური მიზნის მიღწევის გზას, რომელიც ამჟამად გაურკვეველი მენეჯერისთვის. სტრატეგიის მიზანია არსებული რესურსების ეფექტიანი გამოყენება ძირითადი მიზნის მისაღწევად.

მარკეტინგული სტრატეგია არის გრძელვადიანი გადაწყვეტილებების ერთობლიობა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დააკმაყოფილოს კომპანიამ არსებული და პოტენციური მომხმარებლების საჭიროებები მისი შიდა რესურსებისა და გარე შესაძლებლობების გამოყენებით. სტრატეგიის შემუშავების მიზანია კომპანიის განვითარების ძირითადი პრიორიტეტული სფეროებისა და პროპორციების განსაზღვრა მისი უზრუნველყოფის მატერიალური წყაროებისა და ბაზრის მოთხოვნის გათვალისწინებით. სტრატეგია მიმართული უნდა იყოს კომპანიის შესაძლებლობების ოპტიმალურ გამოყენებაზე და მცდარი ქმედებების თავიდან აცილებაზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის ეფექტიანობის დაქვეითება.

მარკეტინგული სტრატეგია განსაზღვრავს არა მხოლოდ ორგანიზაციის განვითარების გზას, არამედ ასახავს კონკურენტებთან ბრძოლას, კონკურენტებისგან მიზანმიმართულ განცალკევებასა და იზოლაციას, ბაზრის მოცემულ სექტორში წამყვანი პოზიციების დასაკავებლად.

დღეისათვის არსებობს მარკეტინგული სტრატეგიის რამდენიმე ზოგადი განმარტება:

- ორგანიზაციის განვითარების გეგმა გრძელვადიანი პერიოდებისთვის;
- ოპერატიული ინტერვენციების გეგმა კონკურენტულ ბაზარზე მკვეთრი დინამიური ზრდის შემთხვევაში;
- საწარმოს რეორგანიზაციის მოქმედებების ალგორითმი და ა.შ.

მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება აუცილებელია მიმდინარე მარკეტინგული აქტივობების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. სამომხმარებლო ბაზრებზე მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება და დანერგვა აუცილებელია, რათა ნებისმიერი კომპანია იყოს მოქნილი, შეეძლოს გავლენის მოხდენა ბაზრის მექანიზმების მუშაობაზე, ესმოდეს ცვლილებების შინაარსი და შეეძლოს მათთან ადაპტაცია და სპეციალური მარკეტინგული მეთოდების გამოყენებით ბაზარზე გავლენის მოხდენა.

საკვლევი კომპანიის მაგალითზე დადგინდა, რომ მისი კონკურენტული პოზიცია მაღალია, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბაზარზე არსებობენ მძლავრი კონკურენტი კომპანიები (მაგალითად, „თეგეტა მოტორსი“), ამიტომ აუცილებელია შემდგომი განვითარება, საინტერესო შეთავაზებებისა და მარკეტინგული მიდგომების შემუშავება მეტი მომხმარებლის მოსაზიდად.

ჩატარდა კომპანიის საქმიანობის ყოვლისმომცველი ანალიზი. კერძოდ:

ა) გაანალიზებულია შემოსავალი, წმინდა მოგება და ხარჯები ხუთწლიანი პერიოდისთვის;

ბ) მოცემულია და გაანალიზებულია ხარჯების შემადგენლობა 2018-2022 წლების მაჩვენებლების მიხედვით.

საკვლევი კომპანიის საქმიანობაში გამოვლინდა არსებული ხარვეზებიც, მაგალითად ის, რომ ხუთწლიან პერიოდში დაფიქსირდა შემოსავალი/სუფთა მოგების თანაფარდობის შემცირება, ხოლო 2022 წელს მის გაფართოებასთან დაკავშირებული ორგანიზაციის ხარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

კარგად განვითარებული მარკეტინგული სტრატეგია მოიზიდავს მეტ მომხმარებელს, რათა დაფაროს ორგანიზაციის საქ-

მიანობის გაფართოებასთან დაკავშირებული ხარჯები და ასევე იძლევა საკმაოდ მაღალი კონკურენტული პოზიციის შენარჩუნების საშუალებას.

გარდა ამისა, დღეს საწარმოს ბიზნესი ფართოვდება და, შესაბამისად, ორგანიზაცია ხასიათდება მნიშვნელოვანი ხარჯებით. დადგინდა, რომ საკვლევი კომპანია ერთერთი ლიდერია კონკურენტებს შორის და იკავებს მეორე წამყვან პოზიციას განვითარებადი კონკურენციის პირობებში. გამოვლენილი ხარვეზების მთლიანობა კარნახობს ომპანიას მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობას.

საწარმოს მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავების მიზანია ღონისძიებების შემუშავება, რომლებიც მიმართულია ორგანიზაციის მოგების გაზრდისა და კონკურენტულ გარემოში ლიდერის პოზიციის მიღწევაზე.

ადრე ჩატარებული თეორიული კვლევების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ კომპანიის „ელიტ მოტორსი“ სტრატეგია არის კომბინირებული და აერთიანებს შემდეგი სტრატეგიების ძირითად ასპექტებს:

1. ბაზრის პოზიციების განმტკიცების სტრატეგიები;
2. ორიენტირებული დივერსიფიკაციის სტრატეგია;
3. კონგლომერატების დივერსიფიკაციის სტრატეგია.

ბაზარზე პოზიციების განმტკიცების სტრატეგიის ძირითადი ასპექტების გამოყენება განპირობებულია იმით, რომ კომპანია დღეს მეორე ადგილს იკავებს ლიდერებს შორის და ამ შემთხვევაში სხვა კომპანიებისათვის ნეგატიური გარემოებაა ის, რომ უმეტესობა ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზე იმყოფებიან. დღევანდელ კონკურენტულ რეიტინგში ისინი აუტსაიდერთა შორის იმყოფებია, ამდენად, საკვლევი კომპანიის კონკურენტულ გარემოზე რაიმე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენას ვერ ახერხებენ.

ორიენტირებული დივერსიფიკაციის სტრატეგიის ძირითადი ასპექტების გამოყენება განპირობებულია იმით, რომ დღეს ორიენტირებული დივერსიფიკაცია აფართოებს ბიზნესს (კომპანია გაფართოვდა, აქვს 2 დამატებითი შენობა ოფისებითა და შოუ-

რუმებით). ბიზნესის გაფართოება გამოავლენს მის პოტენციურ ბიზნეს შესაძლებლობებს, ე. ი. გააჩენს ორგანიზაციის დამატებითი შესაძლებლობების გამოყენების საშუალებას.

კონგლომერატის დივერსიფიკაციის სტრატეგიის ძირითადი ასპექტების გამოყენება ემყარება იმ ფაქტს, რომ საწარმოს ყოველთვის აქვს პოტენციური (აქამდე გამოუვლენელი) შესაძლებლობები, რომელთა გამჟღავნება შექმნის მოგების დამატებით წყაროებს.

ყველა ჩამოთვლილი სტრატეგია, უფრო სწორად, მოქმედება ამ სტრატეგიების ფარგლებში, საშუალებას მისცემს კომპანიას, ჩამოაყალიბოს ახალი ალტერნატიული კომბინირებული სტრატეგია მხოლოდ საკუთარი გამოყენებისთვის. შემოთავაზებული კომბინირებული სტრატეგიის ფარგლებში კომპანიის აქტივობები დაკავშირებულია ადრე შერჩეულ სტრატეგიებთან:

1. ორიენტირებული დივერსიფიკაცია, როდესაც მინიმალური სახსრები და ძალისხმევა იხარჯება აქტივობების განხორციელებაზე, ვინაიდან აქტივობები უკვე ჩართულია ორგანიზაციის ქმედებებში, მაგრამ რაღაც მიზეზით ჯერ არ არის შემუშავებული;

2. კონგლომერატული დივერსიფიკაციის დროს, როდესაც მნიშვნელოვანი სახსრები და ძალისხმევა იხარჯება აქტივობების განხორციელებაზე, ვინაიდან აქტივობები იმალება ორგანიზაციის ქმედებებში და მათ განვითარებას დასჭირდება საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი.

ამრიგად, **საბაზრო პოზიციების განმტკიცების ფარგლებში აუცილებელია:**

- კომპანიის მიერ გაწეული ყველა სერვისის რეკლამის გაძლიერება;
- „ეკონომ კლასისა“ და „პრემიუმ კლასის“ სერვის-პაკეტის შემუშავება და შეთავაზება;
- კომპანიის მომსახურების მოკლევადიანი ფასების პროგრამის შემუშავება;
- კლიენტებისათვის ფასდაკლების შეთავაზება განმეორებითი ვიზიტისთვის.

## დასკვნა

შემოთავაზებული ქმედებების მთელი კომპლექსი უნდა განიხილებოდეს ორგანიზაციის განვითარების ერთიან კომბინირებულ სტრატეგიად. შემოთავაზებული ღონისძიებებიდან შემოსავალი დინამიურად გაიზრდება, რადგან ღონისძიებების წარმატებით განსახორციელებლად გამოყენებული იქნება ბაზრის პოზიციის გაძლიერების სტრატეგია.

**REFERENCES:**

1. Abbamonte K. How to Develop a B2B Marketing Strategy (Instead of a List of Tactics)/ Blog. Leadfeeder.com, 2020. URL: https://hingemarketing.com/blog/story/10-essential-b2b-marketing-strategies-togrow-your-professional-services-fi

2. Chen J. Contextual Advertising/Publications. Investopedia.com, 2019. URL: https://www.investopedia.com/terms/c/contextualadvertising.asp

3. Competitive Strategy: Techniques for Analyzing Industries and Competitors. — New York: The Free Press, 1980 (2nd ed. — New York: Free Press, 2018. — 397 p

4. Crafts Nicholas. Globalization and Growth in the Twentieth Century, IMF Working Paper, WP-00-04, IMF, 2012

5. Dan Vasile. Industrial and competitive strategies and structures, All Educational Publishing House. Bucharest, 2017

6. Dunning J. Multinational Enterprises and the Global Economy, Addison – Wes-ley, 2014

7. Held David, M. Anthony, Goldblatt David, and Perraton Jonathan. Global changes: politics, economy, and culture Polirom Publishing House, Iaşi, 2001

8. Hill Charles. International Business: Competing in the Global Marketplace, McGraw-Hill Companies; 2nd edition, 2018.

9. Hugues Kirsty, European Competitiveness, Cambridge University Press, pg. 5, 2018.

10. Patel S. The Top 11 Most Effective B2B Marketing Strategies for 2020/Blog. Sujanpatel.com, 2020. URL: https://sujanpatel.com/

marketing/b2b-strategy/ 113
11. Promotional Strategy: Sound Your Horn/Publications. B2Binternational.com, 2020. URL:https://www.b2binternational.com/publications/promotional-strategy-sound-horn/
12. Reichheld, Frederick F. (December 2013). "One Number You Need to Grow". Harvard Business Review.
13. Selling to Other Businesses: 8 Sales Promotion Methods for a B2B Market / Publications. Business.com, 2020.
14. Thompson A.A.Jr., Strickland A.J. (2013). III. Strategic Management. Concepts & Cases. IRWIN. 7th ed.
15. Vrountas T. Contextual Advertising 101: How it Works, Benefits & Why It's Necessary for Relevant Ads/Publications. Instapage.com, 2020. URL: https://instapage.com/blog/contextual-advertising

## DEVELOPMENT OF AN ENTERPRISE MARKETING STRATEGY

**Saba Zedginidze**
The Doctoral Student of
Georgian Technical University

**Lia Berikashvili**
Doctor of Economics, Ph.D.,
Associate Professor of
Georgian Technical University,
**liaberika@yahoo.com**

### RESUME

The article discusses the organization's strategic development theory within the competition framework. The authors analyze the activity of the enterprise and develop measures within the framework of its development strategy. The authors note that the strategy is a general, non-detailed plan of any activity, covering a long period,

a way to achieve a complex goal, adapting to the changed conditions of existence in the market in the future, the tools of which are still unclear to the manager. According to the authors, the manager is a strategist, and the main goal of his strategy is the effective use of existing resources.

At the same time, the article notes that the marketing strategy is a set of long-term decisions about how the company should meet the needs of existing and potential customers using its internal resources and external capabilities; And the purpose of developing the strategy is to determine the main priority areas and proportions of the company's development and then take into account the material sources and market demand for its provision.

The article presents the opinions of the authors that the strategy should be aimed at the optimal use of the company's capabilities and avoiding wrong actions that may lead to a decrease in the company's efficiency. Thus, the development of the organization's marketing strategy is an essential need, that is, each company must implement its activities according to the plan. At the end of the article, the authors note that the marketing strategy determines not only the company's development path, but also reflects the struggle with competitors, deliberate separation and isolation from competitors, and the goal of these actions is to occupy leading positions in a given market sector.

**Keywords:** Marketing strategy, strategic planning, competitor analysis.

# ლოგისტიკური სისტემის ეფექტიანობა საქართველოში

**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-174**

**ვანო ივანიშვილი**
სტუ-ს დოქტორანტი
**ivanishvilivano@gmail.com**

**რეზიუმე**

თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში კონკურენციის გამწვავებამ და ეკონომიკური ინტეგრაციის დაჩქარებულმა პროცესებმა დღის წესრიგში დააყენა ლოგისტიკური პოტენციალის ოპტიმიზაციის მნიშვნელოვანი ცვლილებების აუცილებლობა. ეკონომიკური ზრდა ქვეყანათა მთავარი მისწრაფებაა. სრულყოფილი ბაზარი კი ეკონომიკური ზრდის წინაპირობაა, რაშიც გადამწყვეტ როლს სწორედ ლოგისტიკა თამაშობს.

ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, საქართველოს გააჩნია პოტენციალი, კავკასიისა და ცენტრალური აზიის მთავარ ლოგისტიკურ ჰაბად იქცეს. ქართული ეკონომიკის განვითარებისთვის ლოგისტიკას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, შესაბამისად, ეფექტური სატრანსპორტო და ლოგისტიკური სისტემის შექმნა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთი ძირითადი და აუცილებელი ფაქტორია.

ლოგისტიკა საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. მისი წილი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 12 პროცენტს შეადგენს. ლოგისტიკის სექტორის განვითარება განაპირობებს საქართველოს ინტეგრაციას გლობალურ ლოგისტიკურ ქსელში და მის ეფექტურ დაკავშირებას მსოფლიოს წამყვან ბაზრებთან. ლოგისტიკა რეგიონებისა და კომპანიების კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს მათ გლობალურ ბაზარზე წარმატებულ პოზიციონი-

რებაზე. განვითარებული ლოგისტიკა განაპირობებს მაღალი ხარისხის სერვისს, იაფი და ეფექტური მიწოდების ქსელს, რაც კონკურენტუნარიანობის ამაღლების აუცილებელი პირობაა როგორც მთლიანად საქართველოს, ასევე ქვეყანაში მოქმედი წარმოებებისთვის.

განხილულია პრობლემები საქართველოს საექსპედიტორო მომსახურების კომპლექსში, რომლებიც დაყოფილია სამ ძირითად ჯგუფად: ხარვეზები მართვის სისტემაში, ხარვეზები წარმოების სექტორში და ხარვეზები გარე ფაქტორებით.

გაანალიზებულია თანამედროვე სატრანსპორტო და საექსპედიტორო კომპლექსის სისტემის კონცეფციის აუცილებლობა, რაც განსაზღვრავს შემდეგ მიზნებს და საშუალებებს მის შემდგომ განვითარებაში.

**საკვანძო სიტყვები**: ლოგისტიკა, ჰაბი, საექსპედიტორო, ინდექსი, ინფრასტრუქტურა, ბიზნესი.

## შესავალი

ლოგისტიკა საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. საქართველოს, გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობიდან გამომდინარე გააჩნია რეალური შანსი, გაატაროს და გადაამუშაოს დამატებითი ტვირთების ნაკადი, რაც განაპირობებს შემოსავლების ზრდას და გაუმჯობესებულ პირობებს წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებისთვის. ლოგისტიკის განვითარება საქართველოში წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის აღორძინების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. ინტერმოდელური ლოგისტიკური სისტემის ჩამოყალიბება და ლოგისტიკური ნოუ-ჰოუს მოზიდვა არის საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა, რომლის შესრულება იძლევა საშუალებას, საქართველო გახდეს გლობალური ლოგისტიკური ქსელის ნაწილი და მოიზიდოს გლობალური ეკონომიკის უდიდესი ბაზრის მოთამაშეები.

აღნიშნული ამოცანის განსახორციელებლად, აუცილებელია მკაფიო და დოკუმენტურად გაფორმებული ეროვნული სატრანსპორტო სტრატეგია. ტრანსპორტის სექტორის ისეთნაირი

მართვა, რაც განაპირობებს ლოგისტიკური სისტემის ეფექტიანობის გაუმჯობესებას, შესაძლებელია მხოლოდ ეროვნული სატრანსპორტო სტრატეგიის საფუძველზე, რომელშიც განსაზღვრული იქნება პოლიტიკის ზოგადი მიზნები და სახელმწიფო ინვესტიციების ეფექტიანობის თანამიმდევრული ინდიკატორული მაჩვენებლები.ეროვნულმა სატრანსპორტო სტრატეგიამ ხელი უნდა შეუწყოს პოლიტიკის პრინციპებისა და ინსტრუმენტების განსაზღვრას ფართო კონტექსტში, როგორიცაა სექტორის მართვა, სახელმწიფოს და კერძო სექტორის ფუნქციები, კონკურენციის ხარისხი, ტრანსპორტის სახეობებს შორის კოორდინაციისა და ინტეგრაციის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი ინტერვენციების ტიპები, რეგულირების ხასიათი, გადაზიდვის ტარიფების განსაზღვრის შეთანხმებული პრინციპები.

## ძირითადი ნაწილი

განვითარებული ლოგისტიკა განაპირობებს მაღალი ხარისხის სერვისს, იაფი და ეფექტური მიწოდების ქსელს, რაც კონკურენტუნარიანობის ამაღლების აუცილებელი პირობაა როგორც მთლიანად საქართველოს, ასევე ქვეყანაში მოქმედი წარმოებებისთვის". ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარება, თავის მხრივ, უმნიშვნელოვანესია საქართველოს ყველაზე პერსპექტიული დარგების აღორძინებისთვის, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, წარმოება, ვაჭრობა და ტურიზმი. თანამედროვე სოფლის მეურნეობის მიწოდების ჯაჭვის ფასწარმოქმნის 70-80 პროცენტს ლოგისტიკა წარმოადგენს. მისი ეფექტური მართვაა სწორედ სოფლის მეურნეობის პროდუქტის ერთ-ერთი უმთავრესი ხარისხის განმსაზღვრელი ნიშანი საერთაშორისო ბაზარზე. გარდა სოფლის მეურნეობისა, ლოგისტიკა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებისთვის ჩვენს ქვეყანაში. ლოგისტიკური პროცესების გაუმჯობესება ამ დარგში მოღვაწე კომპანიებისთვის ერთ-ერთი მთავარი პირობაა მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრებისთვის. (1)

გავითარების ტენდენციებში უკეთ გარკვევისა და პრობლემების გამოკვეთისთვის ლოჯისტიკის საქმინობის საკვანძო ასპექტები და გასული წლების მონაცემთა ტენდენცია გავაანალიზოთ და შევაფასოთ პროცენტულად, ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლებით, მარტივი და ჯაჭვული ინდექსებით.

**ცხრილი N1.**

**ტრანსპორტის და დასაწყობების საქმიანობით დაკავებული საწარმოების ბრუნვის მარტივი და ჯაჭვური ინდექსები**

| წლები | ბრუნვა | ჯაჭვური ინდექსი ( %-ად ) | მარტივი ინდექსი ( %-ად 2015 წელთან) |
|---|---|---|---|
| 2014 | 3.7 | 100 | 100 |
| 2015 | 4.3 | 4.3/3.7 = 116.2 | 116.2 |
| 2016 | 4.2 | 4.2/4.3 = 97.7 | 113.5 |
| 2017 | 4.7 | 4.7/4.2 = 111.9 | 127 |
| 2018 | 5.1 | 5.1/4.7 = 108.5 | 137.8 |
| 2019 | 6.0 | 6.0/5.1 = 117.6 | 162,1 |
| 2020 | 5.8 | 5.8/6.0 = 96.6 | 156,7 |
| 2021 | 7.0 | 7.0/5.8 = 120.7 | 189.2 |

როგორც მონაცემებიდან ჩანს ლოგისტიკური კომპანიების მიერ მიწოდებული საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლები ძირითადად ზრდადობით აღინიშნება, თუმცა 2016 და 2020 წელს ეს მონაცემები შემცირდა წინა წელთან შედარებით. კერძოდ, 2014 წელთან შედარებით 2015წელს ბრუნვა გაიზარდა (4.3/3.7* 100) 16,2%-ით; 2016 წელს - 13,5% -ით; 2017 წელს - 27%-ით; 2018 წელს - 37,8%-ით; 2019 წელს - 62,1%-ით; 2020 წელს - 56,7 % -ით, ხოლო 2021 წელს -89,2% -ით. [2]

2015 წელს 2014 წელთან შედარებით ბრუნვა გაიზარდა 16,2 %-ით; 2016 წელს 2015 წელთან შედარებით შემცირდა 18.5%-

ით; 2017 წელს 2016 წელთან შედარებით - გაიზარდა 14.2 % -ით; 2018 წელს 2017 წელთან შედარებით - მხოლოდ რვა პროცენტით გაიზარდა; 2019 წელს 2018 წელთან შედარებით 17,6 %-ით გაიზარდა, 2020 წელს წინა წელთან შედარებით შემცირდა 21 %.-ით, 2021 წელს ისევ ზრდადობით ხასიათდება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფინანსური მაჩვენებელია გამოშვებული პროდუქცია.

ლოჯისტიკური კომპანიების მიერ გამოშვებული პროდუქცია 2020 წლის გარდა სტაბილურობით ან ზრდადობით ხასიათდება. პროცენტულად 2014 წელთან შედარებით 2015 წელს გაიზარდა19.2%-ით; 2016 წელს, ზრდის ტემპი არ შეცვლილა და ისევ 19%-ი ფიქსირდება; 2017 წელს - 42.3% -ით; 2018 წელს - 57.7%-ით; 2019 წელს - 76.9%-ით; 2020 წელს - 61,5%-ით; 2021 წელს - 96,1% -ით.

ეს ცვლილებები ჯაჭვური ინდექსით შემდეგნაირად გამოიხატება იხ ცხრილი 2.

**ცხრილი 2.**

**ტრანსპორტის და დასაწყობების საქმიანობით დაკავებულ საწარმოებში პროდუქციის გამოშვება**

| წლები | ბრუნვა | ჯაჭვური ინდექსი ( %-ად ) | მარტივი ინდექსი ( %-ად 2015 წელთან) |
|---|---|---|---|
| 2014 | 2.6 | 100 | 100 |
| 2015 | 3.1 | 3.1/2.6 = 119.2 | 119.2 |
| 2016 | 3.1 | 3.1/3.1 = 100 | 119.2 |
| 2017 | 3.7 | 3.7/3.1 = 119.3 | 142.3 |
| 2018 | 4.1 | 4.1/3.7 = 110.8 | 157.7 |
| 2019 | 4.6 | 4.6/4.1 = 112.2 | 176.9 |
| 2020 | 4.2 | 4.2/4.6 = 91.3 | 161.5 |
| 2021 | 5.1 | 5.1/4.2 = 121.4 | 196.1 |

ამრიგად, ჯაჭვური ინდექსები აჩვენებს, რომ ყოველწლიური გამოშვებული პროდუქცია მის წინა წელთან შედარებით, სხვადასხვა ტემპით - იზრდებოდა, 2016 წელს უცვლელობით, და 2020 წელს, წინა წელთან შედარებით გამოშვებული პროდუქციიის შემცირებით ხასიათდება.

ეს მონაცემები იმაზე მეტყველებს რომ, სატრანსპორტო-საექსპედიციო სისტემის განვითარება ნელა და პერიოდულად შეფერხებებით მიმდინარეობს.

არაფინანსური მაჩვენებლიდან წარმოდგენილია შრომითი რესურსებისა და შრომითი დანახარჯების ანალიზი. აუცილებელი შრომითი რესურსებით საწარმოთა უზრუნველყოფას დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროდუქციის წარმოების ამაღლების საქმეში. სტატისტიკის ამოცანებია სამუშაო ძალაზე დანახარჯების დონის, სტრუქტურის და დინამიკის დადგენა. სამუშაო ძალაზე დანახარჯების დონე გაიზომება დანახარჯების მოცულობით საშუალოდ ერთ მუშაკზე გაანგარიშებით.

**ცხრილი 3.**

**ტრანსპორტის და დასაწყობების საქმიანობით დაკავებულ საწარმოებში დაქირავებულთა რაოდენობა**

| წლები | დასაქმ. რაოდ. | **ჯაჭვური ინდექსი ( %-ად )** | **მარტივი ინდექსი ( %-ად 2015 წელთან)** |
|---|---|---|---|
| 2014 | 46.3 | 100 | 100 |
| 2015 | 48.7 | 48.7/46.3 = 105.2 | 105.2 |
| 2016 | 52.8 | 52.8/48.7 = 108.4 | 114 |
| 2017 | 56.5 | 56.5/52.8 = 107.0 | 121.4 |
| 2018 | 58.1 | 58.1/56.5 = 102.8 | 125.5 |
| 2019 | 61.2 | 61.2/58.1 = 105.3 | 132.2 |
| 2020 | 56.8 | 56.8/61.2 = 92.8 | 122.7 |
| 2021 | 62.6 | 62.6/56.8 = 110.2 | 135.2 |

**ცხრილი 4.**

**ტრანსპორტის და დასაწყობების საქმიანობით დაკავებულ საწარმოებში შრომითი დანახარჯები**

| სამუშაო ძალაზე წლიური დანახარჯების დონე საშუალოდ ერთ მუშაკზე გაანგარიშებით. | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტრანსპორტის და დასაწყობების საქმიანობით დაკავებულ საწარმოებში შრომითი დანახარჯები | 578.4 | 641.5 | 682.9 | 775.3 | 861.4 | 961.1 | 903.2 | 1025.0 |
| ტრანსპორტის და დასაწყობების საქმიანობით დაკავებულ საწარმოებში შრომითი დანახარჯები | 578.4 | 641.5 | 682.9 | 775.3 | 861.4 | 961.1 | 903.2 | 1025.0 |
| დასაქმებულთა რაოდენობა (ათასი) | 46.3 | 48.7 | 52.8 | 56.5 | 58.1 | 61.2 | 56.8 | 62.6 |
| სამუშაო ძალაზე დანახარჯების დონე (ათასი) | 12,492= | 13,17 | 12.93 | 13,72 | 14,8 | 15.7 | 15.9 | 16,37 |
| საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, ლარი | | 900.4 | 940.0 | 999.1 | 1068.3 | 1129.5 | 1191.0 | 1304.5 |

**ტრანსპორტის და დასაწყობების საქმიანობით დაკავებული საწარმოების შრომითი დანახარჯების მოცულობა:**



**ცხრილი 5.**

**ტრანსპორტის და დასაწყობების საქმიანობით დაკავებული საწარმოების განხორციელებული ინვესტიციები ფიქსირებულულ აქტივებში საწარმოთა ზომის მიხედვით**

| ტრანსპორტის და დასაწყობების საქმიანობით დაკავებული საწარმოების განხორციელებული ივესტიციები ფიქსირებულულ აქტივებში საწარმოთა ზომის მიხედვით | | | | |
|---|---|---|---|---|
| წელი | სულ | მათ შორის: | | |
| | | მსხვილი | საშუალო | მცირე |
| | მლნ. ლარი | | | |
| | 1 | 2 | 3 | 4 |
| 2006 | 573.2 | 533.4 | 9.3 | 30.5 |
| 2007 | 659.9 | 629.8 | 12.0 | 18.1 |
| 2008 | 245.0 | 204.0 | 21.2 | 19.8 |
| 2009 | 715.6 | 648.4 | 25.8 | 41.4 |
| 2010 | 758.7 | 714.6 | 16.9 | 27.2 |
| 2011 | 662.7 | 560.5 | 25.0 | 77.2 |
| 2012 | 870.7 | 621.1 | 41.2 | 208.4 |
| 2013 | 653.1 | 574.2 | 30.8 | 48.1 |
| 2014 | 387.4 | 277.1 | 29.0 | 81.4 |
| 2015 | 665.0 | 517.4 | 80.5 | 67.0 |
| 2016 | 644.2 | 548.3 | 50.0 | 45.9 |
| 2017 | 1672.6 | 1453.4 | 30.5 | 188.7 |
| 2018 | 597.3 | 431.9 | 44.0 | 121.4 |
| 2019 | 362.0 | 217.9 | 76.4 | 67.8 |
| 2020 | 573.8 | 346.0 | 107.2 | 120.6 |
| 2021 | 1184.7 | 880.3 | 152.3 | 152.1 |

ამრიგად, სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, რომ სატრანსპორტო - საექსპედიტორო სექტორში ბრუნვის მოცულობის ზრდის ტემპი 2014 წელთან შედარებით, მაგალიად, 2016, 2017, 2018, 2019 წლებში უსწრებს საშუალო თვიური შრომის ანაზღაურებისა და საერთო შრომითი დანახარჯების ზრდის ტემპებს.

შეიძლება ითქვას, რომ შემოთავაზებული საექსპედიტორო მომსახურების კომპლექსი - კლიენტებისთვის, კვლავ უმნიშვნელოა. ეს გამოწვეულია იმ მიზეზების გამო, რომლებიც შეიძლება დაიყოს სამ ძირითად ჯგუფად: ხარვეზები მართვის სისტემაში, ხარვეზები წარმოების სექტორში და ხარვეზები გარე ფაქტორებით.

სტრუქტურული ცვლილებების უახლესი ტენდენციების შეჯამება გვიჩვენებს საქართველოს სატრანსპორტო სისტემასთან დაკავშირებულ პრობლემებს:

● ქვეყნის ეროვნული ეკონომიკაში სატრანსპორტო-საექსპედიტორო მომსახურებით დაბალი ზრდის ტემპით ხასიათდება. სამთავრობო პროგრამამ სატრანსპორტო და ლოჯისტიკური მიმართულებით რომელიც დაწყებული შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს ეკონომიკური პროცესების სიჩქარე, და მომავალში შეიძლება გამოიწვიოს თვისობრივად ახალი პროპორციები მატერიალურ წარმოებასა და სოციალურ სფეროში;

● თანამედროვე პირობებში სულ უფრო და უფრო იკვეთება საავტომობილო ტრანსპორტის განსაკუთრებული როლი გადაზიდვებში, რადგან იგი წარმოადგენს ყველაზე მოქნილ და მობილურ საშუალებას, რომელიც გარეშეც შეუძლებელია „კარიდან კარამდე" პრინციპის უზრუნველყოფა და ტვირთის მიტანა საბოლოო დანიშნულების პუნქტამდე. ევროპის სარკინიგზო ტვირთების ასოციაციის (EFღA) მონაცემებით, სარკინიგზო ტრანსპორტის წილი სატრანსპორტო ბაზარზე (ტონებში) 17 პროცენტია. [3]

● სტრუქტურული ცვლილებები ხდება სატრანსპორტო და საგზაო კომპლექსში. ყოფილი პრიორიტეტული ორიენტაცია ტრანსპორტის ძირითადი ტიპების (რკინიგზის) განვითარებაზე, რომელიც უზრუნველყოფდა სტრატეგიულ ფუნქციებს და საქალაქთაშორისო სატრანსპორტო და ეკონომიკურ კავშირებს, გადადის მზარდი ახალი ეკონომიკური და საბაზრო ტერიტორიული ზონების საავტომობილო გზით მომსახურებაზე;

● ეფექტური სატრანსპორტო - საექსპედიტორო სისტემის გარეშე შეუძლებელია მწარმოებლიდან მომხმარებლამდე

პროდუქციის რიტმული რაციონალური მიწოდების უზრუნველყოფა.

თანამედროვე სატრანსპორტო და საექსპედიტორო კომპლექსის სისტემის შექმნის კონცეფცია განსაზღვრავს შემდეგ მიზნებს მის განვითარებაში:

– მატერიალური და ფინანსური რესურსების ბრუნვის დაჩქარება;

– საექსპედიტორო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება;

– ეროვნული ეკონომიკის ხარჯების შემცირება სატრანსპორტო სისტემაში და პროდუქტის დისტრიბუციაში;

– ნედლეულის, აღჭურვილობის, მასალებისსასაწყობო მარაგის შემცირება;

– პროდუქტის დანაკარგების შემცირება მისი შენახვისა და საწყობში გადამუშავების დროს;

– საწარმოთა და ორგანიზაციების არაეფექტური საწყობების გატანა ქალაქის საზღვრებს გარეთ;

– დიდ ქალაქებში გარემოსდაცვითი მდგომარეობისა და მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესება;

ამ მიზნების მისაღწევად, შემდეგი პირობები უნდა დაკმაყოფილდეს:

– საექსპედიტორო საწარმოებისა და საკუთრების სხვადასხვა ფორმის ორგანიზაციების ქსელის ფართო განვითარება;

– საექსპედიტორო საწარმოების მზადყოფნა მოაწყონ სატრანსპორტო და სატრანსპორტო მომსახურება მომხმარებელთათვის ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალებით, აგრეთვე საქონლის გადაზიდვა შერეული შეტყობინებებით, ნებისმიერი წონისა და ნებისმიერი დისტანციით საქონლის მიწოდებისთვის;

– საექსპედიტორო ორგანიზაციების მზადყოფნა მიაწოდონ კლიენტურას დამატებითი სერვისების ფართო სპექტრი (ტექნოლოგიური, საინფორმაციო, კომერციული და ა.შ.), რომელიც დაკავშირებულია სატრანსპორტო პროცესის ორგანიზებასთან.

ამჟამად ბევრი სატრანსპორტო და საექსპედიტორო საწარმოთა უმეტესობა განიცდის მნიშვნელოვან სირთულეებს სატ-

რანსპორტო მომსახურების ბაზრის დაუფლებაში, მათ არ იციან ბაზრის პირობები, ტრანსპორტირებისა და საექსპედიტორო მომსახურების ახალი ტექნოლოგიები, აქვთ სუსტი საინვესტიციო შესაძლებლობები მომსახურების განვითარებისთვის.

ამ უარყოფითი ფაქტორების აღმოსაფხვრელად, სატრანსპორტო და საექსპედიტორო საწარმოების და საკუთრების სხვადასხვა ფორმის ფირმების საქმიანობის კოორდინაციის და კლიენტების საჭიროებების უკეთესად დაკმაყოფილების მიზნით საჭიროა სატრანსპორტო და საექსპედიტორო ჰოლდინგის ორგანიზება, რომელიც განახორციელებს სატრანსპორტო და საექსპედიტორო საწარმოებისა და ფირმების ფინანსური რესურსების აკუმულირებას, რაციონალურ საინვესტიციო პოლიტიკას, უზრუნველყოფს მატერიალური, ფინანსური რესურსებით, იურიდიული დახმარებით და ა.შ.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შექმნა ტრანსპორტის სფეროში პრიორიტეტული ამოცანაა და მისი გადაწყვეტა დაკავშირებულია, მცირე, საშუალო და მსხვილი საექსპედიტორო ორგანიზაციების ფართო ქსელით, სატრანსპორტო-საექსპედიტორო მომსახურების საბაზრო სისტემის ორგანიზებასა და განვითარებასთან.

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საკუთრების სხვადასხვა ფორმის მცირე სატრანსპორტო საწარმოების განვითარებული ქსელის გარეშე შეუძლებელია სატრანსპორტო მომსახურების სრულფასოვანი ბაზრის ჩამოყალიბება და მაღალი ხარისხის სერვისის მიწოდება.

ამიტომ, აუცილებელია მცირე საექსპედიტორო საწარმოების ქსელის შექმნა, რომლის მნიშვნელოვანი უპირატესობაა მოთხოვნების სწრაფი მგრძნობელობა, მოკლე საინვესტიციო პერიოდი და ახალი აღჭურვილობაში და სატრანსპორტო ტექნოლოგიებში განთავსებული ინვესტიციის სწრაფი უკუგება.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ მცირე სატრანსპორტო - საექსპედიტორო საწარმოები ძირითადად ორიენტირებულია რეგიონულ ბაზარზე, ამიტომ ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ფორმირების საფუძვლად მცირე სატრანსპორტო - საექსპედი-

ტორო საწარმოები უნდა განიხილებოდეს.

მცირე საექსპედიტორო საწარმოების ფარგლებში ყველაზე ეფექტურად შეიძლება შემოწმდეს ეკონომიკური მართვის სხვადასხვა ფორმები, ჩატარდეს სამეცნიერო და ტექნიკური ექსპერიმენტები, გამოიცადოს ახალი ტიპის საექსპედიტორო მომსახურება.

ამავდროულად, მცირე საწარმოები მოქმედებენ, როგორც წესი, მსხვილი სატრანსპორტო ასოციაციების ან კორპორაციების ფარგლებში, რადგან მხოლოდ ასეთი გაერთიანებების ფარგლებშია შესაძლებელი მცირე საწარმოების იურიდიულად და ეკონომიკურად დაცვა, საინვესტიციო პროცესის განვითარება, აგრეთვე. საწარმოებსა და სამთავრობო უწყებებს შორის რაციონალური ურთიერთქმედება

## დასკვნა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლოგისტიკის როლი და მნიშვნელობა დღითიდღე იზრდება საქართველოში. ქვეყანას, მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, გააჩნია რეალური შანსი იქცეს კავკასიისა და ცენტრალური აზიის ლოგისტიკურ ჰაბად. ის უდიდესი პოტენციალი, რასაც ქვეყანას აძლევს მისი გეოგრაფიული მდებარეობა, გამოიყენება მხოლოდ ნაწილობრივ. დღეს კონკურენცია არა მარტო კომპანიებსა თუ ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის მიმდინარეობს, არამედ რეგიონები და სატრანსპორტო დერეფნები ეპაექრებიან ერთმანეთს. კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს სწორედ განვითარებული სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა განაპირობებს. საქართველო, მისი ხელსაყრელი ლოგისტიკური ადგილმდებარეობის მეშვეობით, წარმოადგენს კავკასიისა და ცენტრალური აზიის ბუნებრივ ლოგისტიკურ ჰაბს. თუმცა განუვითარებელი ინფრასტრუქტურა და სატრანსპორტო სისტემის დაბალი კონკურენტუნარიანობა მას არ აძლევს საშუალებას, გამოიყენოს აღნიშნული პოტენციალი.

პრობლემები შეინიშნება ლოგისტიკის რამდენიმე მიმართუ-

ლებით, რომელთა გადაჭრისთვისაც ხდება მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავება. ხორციელდება ბაზრის კვლევები და პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყნის კიდევ უფრო დატვირთვას ლოგისტიკური სისტემის კუთხით. შემუშავებული სტრატეგიების პრაქტიკაში განხორციელება ქვეყანას მისცემს გაუმჯობესებულ ლოგისტიკურ ჯაჭვს, რაც, საბოლოო ჯამში, დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე და ხელს შეუწყობის მის აღორძინებას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. დ. გოჩავა, „ლოგისტიკური სისტემის ეფექტიანობა და საქართველო". https://idfi.ge/ge/efficiency-of-logistics-system-georgia, 2015.

2. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/395/transporti307.https://www.geostat.ge/ka/modules/categories/395/transporti307

3. https://bit.ly/3NIs5LR

4. https://www.interpressnews.ge/ka/article/274690-logistikis-roli-kartuli-ekonomikis-ganvitarebashi.

5. https://mod.gov.ge/ge/news/read/6364/2018-weli-logistikis-wlad-gamocxadda.

6. http://www.bm.ge/ka/article/irani-saqartvelos-portebshi-logistikuri-centrebis-ganvitarebas-stavazobs/19236

7. https://bit.ly/3HI4iIc

**REFERENCES:**

1. D. Gochava, "Effectiveness of logistics system and Georgia". https://idfi.ge/ge/efficiency-of-logistics-system-georgia, 2015

2. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/395/transporti307.https://www.geostat.ge/ka/modules/categories/395/transporti307.

3. https://bit.ly/3NIs5LR

4. https://www.interpressnews.ge/ka/article/274690-logistikis-roli-kartuli-ekonomikis-ganvitarebashi.
5. https://mod.gov.ge/ge/news/read/6364/2018-weli-logistikis-wlad-gamocxadda
6. http://www.bm.ge/ka/article/irani-saqartvelos-portebshi-logistikuri-centrebis-ganvitarebas-stavazobs/19236
7. https://bit.ly/3HI4iIc

## THE EFFICIENCY OF THE LOGISTIC SYSTEM IN GEORGIA

**Vano Ivanishvili**
PhD student of GTU
ivanishvilivano@gmail.com

### RESUME

The intensification of competition in the modern global economy and the accelerated processes of economic integration put the need for significant changes in the optimization of logistics potential on the agenda. Economic growth is the main aspiration of countries. A perfect market is a prerequisite for economic growth, in which logistics plays a decisive role.

Considering the favorable geographical location, Georgia has the potential to become the main logistics hub of the Caucasus and Central Asia. Logistics has an important place for the development of the Georgian economy, therefore, the creation of an efficient transport and logistics system is one of the main and necessary factors for increasing the competitiveness of the country.

Logistics is an important part of Georgian economy. Its share is 12 percent of the country's gross domestic product. The development of the logistics sector leads to the integration of Georgia into the global logistics network and its effective connection with the world's leading markets. Logistics is one of the main factors determining the

competitiveness of regions and companies, which directly affects their successful positioning in the global market. Developed logistics provides high-quality service, cheap and efficient supply network, which is a necessary condition for increasing competitiveness both for Georgia as a whole and for productions operating in the country.

The article discusses problems in the forwarding service complex of Georgia, which are divided into three main groups: deficiencies in the management system, deficiencies in the production sector, and deficiencies due to external factors.

Is analyzed the necessity of the concept of a modern transport and forwarding complex system, which determines the following goals and means for its further development.

**Keywords:** logistics, hub, forwarding, index, infrastructure, business.

# სტრატეგიული მარკეტინგი და კომპანიის სტაბილური ზრდა

**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-189**

**საბა ზედგინიძე**
სტუ დოქტორანტი

**ლია ბერიკაშვილი**
ეკონომიკის დოქტორი,
სტუ ასოცირებული პროფესორი
**liaberika@yahoo.com**

**რეზიუმე**

ყველა განვითრებული (დიდი ხნის განმავლობაში სტაბილურად და დინამიურად განვითარებადი) კომპანია გარკვეულწილად მსგავსია. როგორც წესი, ისინი ფლობენ ძლიერ პოზიციებს ბაზრის ერთ ან რამდენიმე სეგმენტში, მათი ბაზრის წილი მუდმივად იზრდება, მათ პატივს სცემენ მომხმარებლები და პარტნიორები. ეს კომპანიები ჩვეულებრივ მზად არიან ბაზრის ცვლილებებისთვის უფრო ადრე, ვიდრე სხვები და უფრო სწრაფად და უმტკივნეულოდ ეგუებიან ახალ პირობებს, ვიდრე კონკურენტები.

საბაზრო სისტემის თანამედროვე რეალობა კარნახობს მის სუბიექტებს მუდმივი მეტოქეობისა და პროგრესისკენ სწრაფვის გარდაუვალობას, პოტენციურ კონკურენტებზე წინ დგომის აუცილებლობას და მათი პოზიციების გაძლიერებას მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში. ცნობიერება იმის შესახებ, თუ რა ხდება ბაზარზე, ბიზნესის რეორგანიზაციის სურვილი, სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების უნარი სხვებზე სწრაფად, ნებისმიერი საწარმოს კონკურენტუნარიანობის საფუძველია.

ეს ყველაფერი სცილდება მარკეტინგის ფართო გაგებითაც კი. თუმცა, მარკეტინგული მიდგომა ასევე გამოიყენება კომპანიაში მენეჯმენტის პრობლემების მოსაგვარებლად. უმეტეს შემთხვევაში, აქედან მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხი მნიშვნელოვნად უმჯობესდება.

კომპანიის პოზიციონირება მომხმარებლების, პარტნიორების და ბაზრის სხვა მონაწილეების თვალში ინერციული პროცესია. ხშირად ხდება, რომ მაშინაც კი, თუ კომპანიამ მიიღო მისთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული გადაწყვეტილებები და აქტიურად არის დაკავებული თავისი ბიზნესის შეცვლაში, ბაზარი აგრძელებს მის აღქმას ძველებურად. იმისთვის, რომ მიმდინარე ტრანსფორმაციების არსი სამიზნე აუდიტორიამდე მივიტანოთ, განსაკუთრებული ძალისხმევაა საჭირო. ფირმის რეაქცია ბაზრის ცვლილებებზე ხშირად ნელია. ამასთან, არსებობს კონკურენტებთან ჩამორჩენის საფრთხე, ე.ი. არსებობს გრძელვადიანი არასტაბილურობის საფრთხე.

**საკვანძო სიტყვები:** სტრატეგიული მარკეტინგი, სტაბილური ზრდა, კონკურენტუნარიანობის საფუძველი.

## ძირითადი ტექსტი

იმისათვის, რომ შემდგომი მსჯელობა არსებითი გახდეს, აზრი აქვს განვმარტოთ, თუ მარკეტინგის რა ასპექტები იქნება განხილული სტატიაში. ჩვენი აზრით, კომპანიის ყველა მარკეტინგული აქტივობა შეიძლება წარმოდგენილი იყოს ოთხდონიანი პირამიდის სახით:

- ოპერატიული ბიზნესის მხარდაჭერა;
- პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის მართვა;
- მარკეტინგული პროდუქტის წარმოება;
- ბიზნესის განვითარების სტრატეგია.

უმეტეს კომპანიებში მარკეტინგის განყოფილება (დეპარტამენტი) არ არის პასუხისმგებელი ოთხივე დონის ფუნქციების შესრულებაზე. აღვწერთ თითოეულ მათგანს:

**პირველი დონე** არის ოპერატიული ბიზნესის მხარდაჭერა. ამ დონეზე აქტივობები მთლიანად განპირობებულია ბიზნეს

ერთეულების ტაქტიკური საჭიროებებით. ბროშურების, ფლაერების, პროსპექტების და სუვენირების დამზადება - ყოველივე ეს ასეთი „დამხმარე" ფუნქციების, ანუ მომხმარებელთათვის პროდუქციის წარდგენის მაგალითებია;

**მეორე დონე** არის პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის მართვა. ამ დონის ფუნქციებია, მაგალითად, ფასების ტაქტიკური მართვა; საქონლის ბაზარზე გატანა; სარეკლამო; პერსონალის ტრენინგი (სემინარები ახალი პროდუქტების მახასიათებლების შესახებ); გამყიდველებისა და პარტნიორებისთვის მოტივაციური სქემების შემუშავება (მათი საქმიანობის სტიმულირება საქონლის პოპულარიზაციის მიზნით);

**მესამე დონე** არის მარკეტინგული „პროდუქტის" წარმოება. ეს მოიცავს სტრატეგიული მარკეტინგული პროგრამების შემუშავებას, დიდ სარეკლამო კამპანიებს, ახალი წინადადებების განხილვას და პარტნიორებთან მუშაობის შესაძლებლობებს. მარკეტინგული „პროდუქტი" არის წინადადება, რომელიც მენეჯმენტის მიერ დამტკიცების შემდეგ ხდება კომპანიის სტრატეგია (ან სტრატეგიის განუყოფელი ნაწილი). იგი აჯამებს და აანალიზებს, თუ რა ხდება ბაზარზე, მარკეტოლოგები „აწარმოებენ" მუშაობის ახალ მეთოდებს, რომლითაც კომპანიას შეუძლია მიაღწიოს ხარისხობრივ გარღვევას.

და ბოლოს, ბიზნესის განვითარების სტრატეგიის **მეოთხე დონეზე**, იქმნება ბრენდის და ბაზრის დაფარვის მოდელი, ხდება კომპანიის პოზიციონირების სტრატეგიის არჩევა, ბიზნესის დივერსიფიკაცია და ა.შ.

ეჭვგარეშეა, რომ მეოთხე (და ნაწილობრივ მესამე) დონის ფუნქციების შესრულება პირდაპირ აისახება კომპანიის ბიზნესის სტაბილურობასა და განვითარებაზე. ყველა წარმატებულ კომერციულ ორგანიზაციაში ეს ფუნქციები გარკვეულწილად შესრულებულია, თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, არა ყველგან, სადაც მარკეტინგის განყოფილება არსებობს.

ნებისმიერ ნიჭიერ ლიდერს ყოველთვის აქვს ბიზნესის განვითარების რამდენიმე საინტერესო იდეა. როგორც წესი, მცირე კომპანიები საკმარისად მობილურები არიან, რათა გამო-

ყონ ადგილები, სადაც მათ ემუქრებათ ყველაზე დიდი ზარალი. მსხვილ კომპანიას არ აქვს ასეთი შესაძლებლობა: მის თითოეულ „გადაადგილებას“ დიდი დრო სჭირდება, მოითხოვს დიდი რესურსების გადანაწილებას და თან ახლავს ძალიან მნიშვნელოვანი რისკები. გადაწყვეტილება ბიზნესის განვითარების ამა თუ იმ მიმართულების პერსპექტივაზე უნდა იქნას მიღებული „დაუსწრებლად“, ახალ ბიზნესში რეალური გამოცდილების მოპოვების გარეშე, რესურსების „დაზვერვაზე“ გადანაწილების გარეშე. თითოეული მენეჯერი თავად წყვეტს ამ პრობლემას და კომპანიის გრძელვადიანი წარმატება პირდაპირ დამოკიდებულია ამ გადაწყვეტის ხარისხზე. მარკეტინგის პროგნოზირება არის ეფექტური ინსტრუმენტი კომპანიის ხელმძღვანელისთვის, რომლის დახმარებით ის შეძლებს სხვებზე უფრო შორს დაინახოს და შეძლებს გადაწყვეტილებების მიღებას მომავლის უკეთ გააზრების საფუძველზე.

როდესაც ტენდენცია აშკარა ხდება ბაზარზე და ყველა მოთამაშე იწყებს ბიზნესის ახალი ხაზის განვითარებას, აქტიური მოქმედებების დასაწყებად აუცილებელია მომენტის ძალიან ზუსტად არჩევა. ნაადრევად ქმედება ხშირად ისეთივე ცუდია, როგორც დროის დაკარგვა და დაგვიანება. ვინც აგრძელებს პროდუქციის სრული ხაზის შენარჩუნებას, უკეთეს მდგომარეობაში იმყოფება, მაგრამ შეძლებს თუ არა იგი სწრაფად რეაგირებას ახალ ვითარებაზე, დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ წარმართავს კომპანია ბაზრის მაღალი ხარისხის კვლევას სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში. მათ დასჭირდებათ ბაზრის ტენდენციების რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგები, რომლებიც მიმართულია შესყიდვის შესახებ მომხმარებლების გადაწყვეტილებებზე გავლენის მქონე ფაქტორების შესწავლაზე. აღსანიშნავია, რომ დღეს საქონლის წამყვანი მწარმოებლები ძალიან სერიოზულად ეკიდებიან ამ საკითხებს.

ზოგჯერ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია კომპანიის განვითარებისთვის სწორი მიმართულების არჩევის პრობლემა. თუ კომერციული ორგანიზაციის ძირითადი ბიზნესი ვერ უზრუნ-

ველყოფს ზრდის საჭირო ტემპებს, ახალი, ალტერნატიული მიმართულების არჩევანი ხდება კომპანიის მენეჯმენტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. ეკონომიკის გლობალიზაცია და მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესები აიძულებს ორგანიზაციების მენეჯმენტს, ეძიოს ელექტრონულ კონტაქტებზე დაფუძნებული ეფექტიანი ბიზნეს თანამშრომლობის განხორციელების გზები, გამოიკვლიოს საყოველთაოდ აღიარებული მსოფლიო სტანდარტები მომხმარებლებთან ურთიერთობის მართვის სფეროში.

კომპანიის განვითარების მიმართულების არჩევის გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლოა ნებისმიერი ლიდერისთვის. მაგრამ კომპანიის განვითარებისთვის სწორი მიმართულების არჩევა ამოცანის მხოლოდ ნაწილია. თანაბრად მნიშვნელოვანია დარწმუნება იმაში, რომ კომპანიის საქმიანობის ყველა სფერო მუშაობს მისი წარმატებისთვის და ქმნის სინერგიის ეფექტს.

ზოგჯერ განვითარების ახალი მიმართულებით დაწყების გადაწყვეტილება შეიძლება გამოწვეული იყოს არსებული ბიზნესის საჭიროებებით. ამ მიზეზით იქმნება ვერტიკალურად ინტეგრირებული ჰოლდინგი („ჩვენ ვაწარმოებთ ყველაფერს ჩვენთვის"). თუმცა მსოფლიო გამოცდილება სულ უფრო მეტად აჩვენებს სპეციალიზაციის ყაირათიანობას, ე.ი. უარი უნდა ითქვას „ყველაფრის კეთების" იდეაზე იმ გადაწყვეტილების სასარგებლოდ, რომლის ფორმულირება შემდეგნაირია: „აკეთო ის, რისი გაკეთებაც შეგიძლია საუკეთესოდ".

რა მოსაზრებები უნდა იყოს გათვალისწინებული ჰოლდინგის სტრუქტურის ფორმირებისას? რა პირობებშია ასეთი სტრუქტურა ეფექტიანი? გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ჰოლდინგში ბიზნესის რამდენიმე მიმართულება დაკავშირებულია მხოლოდ საერთო კაპიტალით და ფუნქციონირებს სრულიად დამოუკიდებლად, კომპანიამ, რომელიც ერთდროულად ეწევა მრავალ სახის საქმიანობას, უნდა მიაღწიოს სინერგიულ ეფექტს (ანუ ისე, რომ ბიზნესმა დადებითად იმოქმედოს მონაწილეთ ჯგუფზე, და არა მხოლოდ გვერდიგვერდ თანამოარსებე

ადამიანთა ჯგუფზე). სინერგია ზოგჯერ დაწყებისთანავე აშკარაა, ზოგჯერ კი საერთოდ არ მიიღწევა. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის ოპტიმალური სტრუქტურის ჩამოყალიბება უაღრესად რთული ამოცანაა და მის გადაწყვეტაში აუცილებელია მრავალი ფაქტორის გათვალისწინება, ფინანსური და ფსიქოლოგიური, სტრატეგიული მარკეტინგის მეთოდები აქაც გამოიყენება. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ საუბარი არ არის წმინდა ჰოლდინგის სტრუქტურებზე, რომლებიც ფუნქციონირებენ როგორც რამდენიმე ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებელი კომპანია, მოქმედებენ ბაზარზე და აღიქმებიან, როგორც კლიენტები, პარტნიორები.

ქვემოთ აღწერილი მიდგომა გამოიყენება მაშინ, როდესაც გაერთიანებულ კომპანიას აქვს საკუთარი იდენტურობა, სახელი, რეპუტაცია-ე. ი. საკუთარი **ბრენდი.** ამავდროულად, თითოეულ ბიზნესს აქვს საკუთარი მარკეტინგული სტრატეგია და ბიუჯეტი, საკუთარი ლიდერი და შედეგზე პასუხისმგებელი მენეჯმენტის გუნდი. ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელსაც ასეთ შემთხვევებში უნდა მივაქციოთ ყურადღება, არის ინდივიდუალური ბიზნესის თავსებადობა ჰოლდინგში. ფაქტია, რომ მარკეტინგულმა აქტივობებმა, რომელსაც კომპანია ახორციელებს თავისი ბიზნესის თითოეული სფეროს „ინტერესებიდან" გამომდინარე, შეიძლება ხელი შეუშალოს კომპანიის საერთო პოზიციონირებას, გაანადგუროს მისი ბრენდი. მაგალითად, საკვლევი კომპანიის ერთერთი ბიზნესისთვის არჩეული იყო ხარჯების ლიდერობის სტრატეგია, ე.ი. კომპანია საქონელს და მომსახურებას თავაზობდა ყველაზე დაბალ ფასებში და, პარალელურად, მიჰყვებოდა დიფერენციაციის სტრატეგიას (კომპანია საკუთარი თავის პოზიციონირებას ახდენდს, როგორც „უმაღლესი ხარისხის საქონლის მიმწოდებელი, ნოვატორი და ექსპერტი"). ამ შემთხვევაში გაგზავნილი მარკეტინგული მესიჯები ერთმანეთს ეწინააღმდეგება და ხდება ბრენდის „გაბუნდოვნება". პირიქით უნდა მოხდეს, თითოეული კომპანიის ბიზნესის პოზიციონირება შესაბამის ბაზარზე ხელს უნდა უწყობდეს მის საერთო პოზიციონირებას და მუშაობდეს

ბრენდისთვის, და სწორედ ამ დროს წარმოიქმნება სინერგიის ეფექტი.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კომპანიაში ახალი ბიზნესის განვითარების აუცილებლობის საკითხი შეიძლება ჩამოყალიბდეს მარკეტინგული თვალსაზრისით: გააძლიერებს თუ დააზიანებს მას კომპანიის ახალი ბიზნეს ბრენდი? და ამ საკითხის მოგვარებაში გვეხმარება ბრენდის ანალიზის აპრობირებული მეთოდები და სამიზნე აუდიტორიის მიერ ბრენდის აღქმის თვისებრივი მარკეტინგული კვლევის მეთოდები.

შეიძლება ზოგიერთის მიერ (და სამართლიანადაც) კითხვები საქმიანობის მიმართულების არჩევისა და კომპანიის სხვადასხვა ბიზნესის ჰარმონიული თანაარსებობის შესახებ განიხილება, როგორც „არა მთლად მარკეტინგული", მაგრამ გაყიდვების არხებისა და ბაზრის დაფარვის მოდელის არჩევის კითხვები კი წმინდად მარკეტინგის სფეროდანაა. დაფარვის ოპტიმალური მოდელის არჩევის პრობლემაზე ბევრი კარგი წიგნი დაიწერა, რომლებშიც პარტნიორთა ქსელის მეშვეობით კლიენტებთან მუშაობის უპირატესობები გამართლებულია შემდეგი მოსაზრებებით:

- **პირველი,** პარტნიორებთან მუშაობა უზრუნველყოფს „გაყიდვების სტიმულირებას", რადგან ის იძლევა ძირითად მომხმარებლებზე ფოკუსირების საშუალებას ბაზრის სხვა სეგმენტების დაკარგვის გარეშე;
- **მეორე,** კლიენტებთან მუშაობა სწორი სადისტრიბუციო არხის მეშვეობით, იძლევა ტრანზაქციული ხარჯების ოპტიმიზაციის საშუალებას.

სადისტრიბუციო არხის სტრუქტურის პროდუქტის „სირთულის" მიხედვით (ანუ მყიდველების მოთხოვნების მიხედვით, რასაც ჩვეულებრივ უწოდებენ „დამატებული ღირებულების გაყიდვებს") არჩევისას უნდა გაანალიზდეს: მიზნობრივი ბაზრის დაფარვა, მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება, მომგებიანობა. პირველ შემთხვევაში, სადისტრიბუციო არხმა უნდა შექმნას ოპტიმალური შესაძლებლობები სამიზნე სეგმენტებისთვის განკუთვნილი საქონლის მიწოდებისთვის. მეო-

რეში - შესთავაზოს კლიენტს ინფორმაცია, მრავალფეროვანი საქონელი და მომსახურება. მესამე შემთხვევაში, ისინი გამომდინარეობენ საწარმოს საჭიროებიდან - უზრუნველყოს მინიმალური ხარჯები .

თუმცა, ზემოთ აღწერილი ბაზრის დაფარვის მოდელების გამოყენება სულ უფრო შეზღუდული ხდება. ეს მოდელები გარკვეულწილად ცალმხრივია: ვარაუდობენ, რომ დისტრიბუტორი მზადაა განიხილოს ნებისმიერი შემოთავაზება და მოახდინოს პროდუქტის პოპულარიზაცია, როგორც კი შესაძლებლობა გამოჩნდება. სინამდვილეში, თითქმის ყველა ბაზარზე, კონკურენცია მწარმოებლებს შორის იმდენად სწრაფად იზრდება, რომ დისტრიბუტორს აქვს მდიდარი არჩევანი და შესაძლებლობა - უკარნახოს მათ თანამშრომლობის პირობები.

მაშინ, როდესაც ადრე მარკეტინგის თეორეტიკოსები განიხილავდნენ პოზიციონირების საკითხს მხოლოდ მწარმოებლებთან მიმართებაში, ახლა ისინი ითვალისწინებენ კონკურენტული უპირატესობის ისეთ წყაროს, როგორიცაა „წვდომის პოზიციონირება“, რომელიც ეფუძნება ბაზარზე ხელმისაწვდომობის გამარტივებას (კონკრეტულ ქალაქში ფირმის პარტნიორს აქვს მნიშვნელოვანი უპირატესობები, უპირველეს ყოვლისა იმის გამო, რომ ის იცნობს ამ ქალაქის ბევრ მთავარ მომხმარებელს).

თუ შევთანხმებით, რომ სადისტრიბუციო არხი ისეთივე მნიშვნელოვანია ბიზნესის წარმატებისთვის, როგორც თითონ პროდუქტი, ცხადი გახდება, რომ დისტრიბუტორის საჭიროებების კვლევა და კომპანიის ბრენდის აღქმა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მომხმარებელთა საჭიროებების შესწავლა და აღქმა. თუმცა, სადისტრიბუციო არხები ჯერ კიდევ იშვიათად არის შესწავლილი მარკეტინგის მეთოდების გამოყენებით. და, ჯერჯერობით, ძალიან ცოტა მარკეტინგული საკომუნიკაციო პროგრამაა მიმართული დისტრიბუტორების მიერ მწარმოებლების აღქმის შეცვლაზე. შვილობილი პროგრამები, როგორიცაა პრიზების გაცემა გარკვეული გაყიდვების მოცულობის მიღწევისას, ზოგადად გაგებულია, როგორც სამოტივაციო.

## დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბაზრის დაფარვის ოპტიმალური მოდელის (გაყიდვის არხის) არჩევას თან უნდა ახლდეს დისტრიბუტორების მიერ მიწოდების ღირებულების აღქმის სერიოზული შესწავლა. როდესაც აღმოჩენილია შეუსაბამობები, აუცილებელია გამოვთვალოთ, აქვს თუ არა ფირმას საკმარისი მარკეტინგული რესურსი საქმის მდგომარეობის შესაცვლელად (დისტრიბუტორის მიერ არსებული შეთავაზების აღქმის „შესწორება" და მისი მოლოდინის დამაკმაყოფილებელი შვილობილი პროგრამების შემუშავება).

არსებობს მოსაზრება, რომ შიდა კრიზისები ეხმარება კომპანიებს, გახდნენ უფრო დინამიურნი, მოქნილნი და ისწავლონ, როგორ გაუძლონ წარმატებით პროცესების ბიუროკრატიზაციას. ამაში, ალბათ, არის გარკვეული სიმართლე, მაგრამ ყველას ურჩევნია, თავიდან აიცილოს ძირითადი სისტემური კრიზისები მათი წინასწარ განჭვრეტით და კომპანიის სტრატეგიის შესაბამისი კორექტირებით.

კრიზისების პროგნოზირებისა და პრევენციის მიზნის ნაწილია სტრატეგიული ბაზრების ფრთხილად შერჩევა, რომელიც ზემოთ განვიხილეთ. თუმცა, პრიორიტეტული ბაზრების სწორი არჩევანის გაკეთება საკმარისი არ არის სამომავლოდ კომპანიის მდგრადობის უზრუნველსაყოფად. ასევე აუცილებელია სამიზნე აუდიტორიას შორის სწორი წარმოდგენის ჩამოყალიბება იმის შესახებ, თუ რას სთავაზობს კომპანია მას და რად იქცევა მისთვის მომავალში.

ბიზნესის მიზანი თანამედროვე მარკეტინგში არის ფოკუსის შეცვლა. ადრე ეს მიზანი იყო მაქსიმალური მოგება, ახლა კი მაქსიმალური რაოდენობის მომხმარებლების მოზიდვა. აქცენტი გადადის მოგების უსულო კატეგორიიდან მომხმარებელთა ანიმაციურ კატეგორიაზე. მოგების მიღება შესაძლებელია ნებისმიერი გზით, მათ შორის უკანონო. ახალი მომხმარებლები, როგორც ანიმაციური კატეგორია, შეიძლება მიიზიდონ კომპანიის შესაბამისი იმიჯით და კარგი რეპუტაციით და მათი მოგება

მხოლოდ პატიოსანი გზით შეიძლება.

წამყვანმა კომპანიებმა შორსმიმავალი სტრატეგიული მიზნები დაისახეს: ახალ ბაზარზე შესვლა, წამყვანი პოზიციების მოპოვება, მომხმარებელთა მაღალი ლოიალობის მიღწევა და ა. შ. ამ მიზნების მიღწევას რესურსები და დრო სჭირდება.

გარდა ამისა, კომპანიის პოზიციონირება მომხმარებლების, პარტნიორების და ბაზრის სხვა მონაწილეების თვალში ინერციული პროცესია. ხშირად ხდება, რომ მაშინაც კი, თუ კომპანიამ მიიღო მისთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული გადაწყვეტილებები და აქტიურად არის დაკავებული თავისი ბიზნესის ცვლილებით, ბაზარი აგრძელებს მის ძველებურად აღქმას. იმისთვის, რომ მიმდინარე ტრანსფორმაციების არსი სამიზნე აუდიტორიამდე მივიტანოთ, განსაკუთრებული ძალისხმევაა საჭირო. კომპანიის რეაქცია ბაზრის ცვლილებებზე ხშირად ნელია. ამასთან, არსებობს კონკურენტებთან ჩამორჩენის, ანუ გრძელვადიანი არასტაბილურობის საფრთხე.

სტაბილურობისა და დინამიკის შეთავსება საკმაოდ რთულია. ორი ამოცანიდან - კომპანიის აღმატებული ზრდის უზრუნველყოფა და გრძელვადიანი სტაბილურობის შენარჩუნება - თითოეულთან გამკლავებაც კი ძნელია და სარისკო. თუმცა, დღეს, კომპანიები, რომლებიც მიზნად დაისახავენ ბაზრის ლიდერების პოზიციის დიდი ხნის განმავლობაში შენარჩუნებას, ერთდროულად უნდა გაუმკლავდნენ მათ. ამ პრობლემების გადაჭრა დაკავშირებულია სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში მარკეტინგული მეთოდების დანერგვასთან.

**REFERENCES:**

1. Vrountas T. Contextual Advertising 101: How it Works, Benefits & Why It's Necessary for Relevant Ads/Publications. Instapage.com, 2020. URL: https://instapage.com/blog/contextual-advertising

2. Thompson A.A.Jr., Strickland A.J. (2013). III. Strategic Management. Concepts & Cases. IRWIN. 7th ed.

3. Selling to Other Businesses: 8 Sales Promotion Methods for a B2B Market / Publications. Business.com, 2020.

4. Reichheld, Frederick F. (December 2013). "One Number You Need to Grow". Harvard Business Review.

5. Promotional Strategy: Sound Your Horn/Publications. B2Binternational.com, 2020. URL:https://www.b2binternational.com/publications/promotional-strategy-sound-horn/

6. Patel S. The Top 11 Most Effective B2B Marketing Strategies for 2020/Blog. Sujanpatel.com, 2020. URL: https://sujanpatel.com/marketing/b2b-strategy/ 113

7. Hugues Kirsty, European Competitiveness, Cambridge University Press, pg. 5, 2018.

8. Hill Charles. International Business: Competing in the Global Marketplace, McGraw-Hill Companies; 2nd edition, 2018.

9. Held David, M. Anthony, Goldblatt David, and Perraton Jonathan. Global changes: politics, economy, and culture Polirom Publishing House, Iaşi, 2001

10. Dunning J. Multinational Enterprises and the Global Economy, Addison – Wes-ley, 2014

11. Dan Vasile. Industrial and competitive strategies and structures, All Educational Publishing House. Bucharest, 2017

12. Crafts Nicholas. Globalization and Growth in the Twentieth Century, IMF Working Paper, WP-00-04, IMF, 2012

13. Competitive Strategy: Techniques for Analyzing Industries and Competitors. — New York: The Free Press, 1980 (2nd ed. — New York: Free Press, 2018. — 397 p

14. Chen J. Contextual Advertising/Publications. Investopedia.com, 2019. URL: https://www.investopedia.com/terms/c/contextualadvertising.asp

15. Abbamonte K. How to Develop a B2B Marketing Strategy (Instead of a List of Tactics)/ Blog. Leadfeeder.com, 2020. URL: https://hingemarketing.com/blog/story/10-essential-b2b-marketing-strategies-togrow-your-professional-services-fi

# STRATEGIC MARKETING AND STABLE GROWTH OF THE COMPANY

**Saba Zedginidze**
Doctoral Student of
Georgian Technical University

**Lia Berikashvili**
Doctor of Economics,
Associate Professor of
Georgian Technical University
**liaberika@yahoo.com**

## RESUME

All developed (stable and dynamically developing for a long time) companies are somewhat similar. As a rule, they hold strong positions in one or more market segments, their market share is constantly growing, and they are respected by customers and partners. These companies are usually ready for market changes earlier than others and adapt to new conditions more quickly and painlessly than their competitors.

The modern reality of the market system dictates to its subjects the inevitability of constant rivalry and striving for progress, the need to stay ahead of potential competitors and strengthen their positions in the short and long term. Awareness of what is happening in the market, the desire to reorganize the business, and the ability to make strategic decisions faster than others are the basis of any enterprise's competitiveness.

All this goes beyond even the broadest sense of marketing. However, the marketing approach is also used to solve management problems in the company. In most cases, the quality of the resulting decisions is significantly improved.

Company positioning in the eyes of customers, partners, and oth-

er market participants is an inertial process. It often happens that even if the company has made important strategic decisions and is actively engaged in changing its business, the market continues to perceive it in the old way. In order to bring the essence of the ongoing transformations to the target audience, special efforts are needed. A firm's response to market changes is often slow. At the same time, there is a danger of lagging behind competitors, i.e. There is a risk of long-term instability.

**Keywords:** Strategic marketing, stable growth, the basis of competitiveness.

# საბანკო ინოვაციის ცნება და მათი კლასიფიკაცია

**DOI:10.36962/ECS105/3-4/2023-202**

**ანი ტატიშვილი**
სტუ დოქტორანტი
**a.tatishvili@gtu.ge**

**რეზიუმე**

განხილულია საბანკო ინოვაციის ცნება და როლი, განხორციელებულია მოცემული ცნების ავტორისეული განსჯა. გამოვლენილია ბანკებში ინოვაციების საჭიროების ძირითადი მიზეზები. წარმოდგენილია საბანკო ინოვაციების კლასიფიკაციის მნიშვნელობა და მათი მოკლე დახასიათება. აღნიშნულია, რომ საბანკო ინოვაცია - არის პროდუქტი, მომსახურება ან ტექნოლოგია, რომლის დანერგვას საბანკო საქმიანობაში ხარისხობრივი ცვლილებისაკენ მივყავართ და როგორც წესი, ბანკისათვის მოგება მოაქვს.

აუცილებელია საბანკო ინოვაციის დეტალური კლასიფიკაცია, რამდენადაც ინოვაციური პროცესები არ უნდა მიმდინარეობდეს სპონტანურად. კლასიფიკაციის მეშვეობით შეიძლება დანერგვადი ცვლილების ეფექტიანობა უფრო ზუსტად იქნას გაანგარიშებული, აქედან გამომდინარე, საჭიროა შეიქმნას ინოვაციური სტრატეგია, რომელიც კონკრეტული საკრედიტო ორგანიზაციისათვის არის საჭირო, რადგან ბანკის მუშაობის ეფექტიანობა და ბაზარზე კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია ახალი საბანკო პროდუქტების, ტექნოლოგიების ან პროცესების დანერგვაზე. სიახლეების დანერგვა საბანკო სფეროში, მომსახურების უფრო მაღალი სამომხმარებლო ხარისხით ხასიათდება, რაც ხელს უწყობს როგორც მომხმარებლის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას და დაჩქარებას, ასევე ბანკის შიდა სამუშაო პროცესის გამართულ მუშაობას.

**საკვანძო სიტყვები:** საბანკო ინოვაციები; კლასიფიკაცია; საკრედიტო ორგანიზაცია; კომპლექსური საბანკო მომსახურება;

## ძირითადი ტექსტი

საბანკო სექტორში ფინანსური მომსახურების სპექტრი ყოველწლიურად ფართოვდება, ბაზარზე მუდმივად ჩნდება პროდუქტებისა და მომსახურების ახალი სახეობები. მოცემული ფაქტორი საკრედიტო ორგანიზაციებს შორის კიდევ უფრო ზრდის კონკურენციას, აქედან გამომდინარე, საჭიროა, ბანკებმა მომხმარებლებთან ურთიერთობები პარტნიორობის პრინციპებზე დაფუძნებით ახორციელონ.

საკრედიტო ორგანიზაციების მიზანია არა მხოლოდ ახალი მომხმარებლების მოზიდვა, არამედ მათი შენარჩუნება, მუდმივად ახალი პროდუქტებისა და მომსახურების შეთავაზების გზით.

ბაზისურმა ინოვაციებმა, უკვე XXI საუკუნის დასაწყისიდან, მსოფლიოს ყველაზე უფრო განვითარებულ ქვეყნებში, თანამედროვე ტექნოლოგიური წყობა ჩამოაყალიბეს. ბაზარი საკრედიტო ორგანიზაციებს მუდმივად ახალ მოთხოვნებს უყენებს. ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება, ფინანსური პროდუქტების ხელმისაწვდომობის, მოხერხებულობისა და ეფექტიანობის მხრივ, მნიშვნელოვან ახალ შესაძლებლობებს ქმნის. მიუხედავად ამისა, ბანკების ინოვაციური პოლიტიკა რისკების დასაშვებ დონეს და მაქსიმალურ შემოსავლიანობას უნდა მოიცავდეს. სწორედ ამიტომ, ინოვაციების შესწავლის საკითხი, ბოლო პერიოდში, საკმაოდ აქტუალური გახდა.

იმისათვის, რომ მომხმარებლის ნდობა იქნას მოპოვებული, არ არის საკმარისი საკრედიტო ორგანიზაციებმა მათ მხოლოდ მომსახურეობის ტრადიციული სპექტრი მიაწოდონ. საჭიროა, შეცვალონ მომსახურების ფორმები და მეთოდები, გააფართოვონ სერვისული შესაძლებლობები, შესთავაზონ კომპლექსური საბანკო მომსახურება.

სიახლეების დანერგვა საბანკო სფეროში, არა მარტო ტექნიკურ ან ტექნოლოგიურ შემუშავებებს, არამედ ბიზნესის ახალი ფორმების, ბაზარზე მუშაობის ახალი მეთოდების, ახალი პროდუქტებისა და მომსახურების ახალი ფინანსური ინსტრუმენტების დანერგვასაც მოიცავს. ინოვაცია ბანკების კონკურე-

ნტუნარიანობის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს და მათ ეკონომიკურ ზრდას უზრუნველყოფს.

ცნება „ინოვაცია" (ინგ. „innovation") პირველად კულტუროლოგების სამეცნიერო კვლევებში XIX საუკუნეში წარმოიშვა. ინოვაციას უწოდებენ კულტურის ახალი ფორმის ადაპტაციის ან კულტურის ადაპტიური ნორმის პროცესს.

**საბანკო ინოვაცია - არის პროდუქტი, მომსახურება ან ტექნოლოგია, რომლის დანერგვას საბანკო საქმიანობაში ხარისხობრივი ცვლილებისაკენ მივყავართ და როგორც წესი, ბანკისათვის მოგება მოაქვს.**

საკრედიტო ორგანიზაციაში ინოვაციური პოლიტიკის განხორციელება არ უნდა მიმდინარეობდეს სპონტანურად; მხოლოდ ინოვაციის შესწავლის პირობისას შეიძლება საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობაში მათი დადებითი ეფექტი იქნას მიღწეული, შევეცადეთ გადმოგვეცა ავტორისეული საბანკო ინოვაციის დეტალური კლასიფიკაცია, რომელიც შესაძლებლობას იძლევა განახვავებული და გამიჯნული იქნას ისეთი ცნებები, როგორიცაა „ინოვაცია" და „ცვლილებები პროდუქტებში და მომსახურეობაში".

საბანკო ინოვაციის სახეობები დაყოფილია:

1. დროითი ასპქეტის მიხედვით:

- უახლესი - პირველად გამოიყენება საბანკო სფეროში;
- ახლი - სხვა ბანკებში იყო გამოყენებული.
- ოპერატიული- შერჩეული ინოვაციური სტრატეგიის რეალიზაციის კონკრეტული ფორმების შემუშავება.
- გადამკვეთი - მომავალში კონკრეტული შედეგის მიღებაზე მიმართული.

2. საბანკო ინოვაციების კლასიფიკაცია ჩასახვის მიზეზების მიხედვით:

- სტრატეგიული ინოვაციები - ძირითადად მიმართულია ინოვაციური გარდაქმნების აუცილებლობაზე და მათი ძირითადი მიზანია - პერსპექტივაში გარკვეული კონკურენტული უპირატესობის მიღება.
- რეაქტიული ინოვაციები - მიეკუთვნებიან ეგრეთწოდე-

ბულ დაცვით სტრატეგიას, სადაც ბანკი ახორციელებს ინოვაციურ საქმიანობას ბაზარზე კონკურენტულ ბრძოლაში თავის დამკვიდრების უზრუნველყოფისათვის.

3.ზემოქმედების მოცულობის მიხედვით:

- წერტილოვანი ინოვაციები - ადგილი აქვს კერძოდ მუშაობის ცალკე მონაკვეთზე ტექნოლოგიის სრულყოფის შემთხვევაში.
- სისტემური ინოვაციები- განსაზრვრავენ საწარმოო ურთიერთობების მთლიანი სტრუქტურის ცვლილებას.
- 4. ბანკში ინოვაციის დანერგვის სფეროსაგან დამოკიდებულებაში:
- ინფორმაციულ ტექნოლოგიურებს მიეკუთვნებიან ინოვაციები, რომლებიც შექმნილია ინფორმაციების მიღების, დამუშავების, შენახვისა და გადაცემის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.
- პროდუქტიული ინოვაციები - ახალი საბანკო პროდუქტებია, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს როგორც ახალ ოპერაციებთან და პროდუქტებთან, ასევე შეიძლება ითვალისწინებდეს უკვე არსებულის ტრანფორმაციას .
- ორგანიზაციულ-ეკონომიკური ინოვაციები - წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას თვით ინოვაციების დანერგვისათვის

4. მომხმარებლების ქცევაზე ზეგავლენა ახალი პროდუქტით:

- ადაპტიური ინოვაცია ითვალისწინებს პროდუქტში ან მომსახურებაში მათი სასიცოცხლი ციკლის გახანგრძლივებისათვის მინიმუმ ცვლილებებს, ამასთან მომხმარებელი თავის ქცევას და უპირატესობას არ იცვლის.
- ფუნქციონალური ინოვაცია - ითვალისწინებს პროდუქტის ან მომსახურების ფუნქციების შენარჩუნებას, შესაძლებელია რეალიზაციის ხასიათის ცვლილება. ხელს უწყობს მომხმარებლების მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილებას.
- ფუნდამენტალირი ინოვაცია - ითვალისწინებს სრუ-

ლიად ახალი იდეის, ბიზნეს-კონცეფციის რეალიზაციას, რის შედეგად ხორციელდება ახლი, ადრე უცნობი ფუნქციონალური თვისებების წარმოშობა.

5 .გამოყენების სფერო:

- მმართველობითი ინოვაციები- ამაღლებენ ადმინისტრატიული საქმიანობის ეფექტიანობას.
- ორგანიზაციული ინოვაციები - არის ახალი მეთოდის რეალიზაცია ბიზნესის განხორციელებაში, სამუშაო ადგილების ორგანიზაციაში ან საგარეო კავშირების ორგანიზაციაში.
- სოციალური ინოვაციები - მიზანმიმართულია საზოგადოების განვითარებაზე.
- 6. სანეცნიერო-კვლევითი დამუშავების შედეგი:
- მეცნიერული ინოვაცია - არის ჩატერებილი სამეცნიერო კვლების ან განხორციელებული გამოგონების შედეგად საკრედიტო ორგანიზაციის პროდუქტისა ან მომსახურების მუშაობაში დანერგვა.
- ტექნიკური ინოვაციები - არის ინოვაციის ნაირსახეობა სამეცნიერო-ტექნიკური პროექტების სფეროების მიხედვით და ჩვეულებრივ ახალი პროდუქტის ან მომსახუების შეთავაზების სახით ვლინდება.
- ტექნოლოგიური ინოვაციები - არის ახალი იდეებისა და ცოდნის, გამოგონებების, სიახლეების და სამეცნიერო-ტექნიკური შემუშავებების წარმოების პროცესში მატერიალიზაცია.
- ინფორმაციული ინოვაციები - ინფორმაციული ნაკადების რეალიზაციის ორგანიზაციის ამოცანებს წყვეტენ, ინფორმაციების მიღების უტყუარობას და ოპერატიულობას ამაღლებენ.

საბანკო ინოვაციის დეტალური კლასიფიკაციის მეშვეობით შეიძლება დანერგვადი ცვლილების ეფექტიანობა უფრო ზუსტად იქნას გაანგარიშებული, აქედან გამომდინარე კი შევქმნათ ინოვაციური სტრატეგია, რომელიც კონკრეტული საკრედიტო ორგანიზაციისათვის არის საჭირო.

გარდა ამისა, საბანკო ინოვაციების ზემოთ მოყვანილი კლასიფიკაცია საკრედიტო ორგანიზაციაში ინოვაციური პროცე-

სების წარმოშობაში და მსვლელობაში ზოგიერთი კანონზომიერებების გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა. თავის მხრივ, საბანკო ინოვაციების ტიპოლოგია შესაბამისი ეკონომიკური და მმართველობითი მექანიზმების კონსტრუირების შესაძლებლობას იძლევა, რამდენადაც ისინი სწორედ ინოვაციის დანერგვის ტიპით და შერჩეული ინოვაციური სტრატეგიით განისაზღვრება.

საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობაში ინოვაციის დანერგვისას შემაკავებელ ფაქტორს ქვეყნის ცენტრალური ბანკის შეზღუდვები წარმოადგენს. აღნიშნული დაკავშირებულია იმასთან, რომ ცენტრალური ბანკი მიისწრაფის ბანკების ფუნქციონირების სტაბილურობისაკენ, მაქსიმალურად უსაფრთხოებისაკენ. საქართველოს ეროვნული ბანკის ხედვა ფინანსურ სტაბილურობაზე მოიცავს ფინანსური ბაზრის განვითარებასა და რისკებს შორის ოპტიმალური ბალანსის გაუმჯობესებას. როგორც შედეგი საკრედიტო ორგანიზაციის ინოვაციური პოლიტიკა ცენტრალური ბანკის ნორმატიულ მოთხოვნებს სრულად უნდა შეესაბამებოდეს.

საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობაში ინოვაციური პროცესების დანერგვა - რთული და წინააღმდეგობრივი პროცესია. მიუხედავად ამისა, საკრედიტო ორგანიზაციის კრედიტუნარიანობა ბევრად არის დამოკიდებული მის საქმიანობაში ინოვაციების დანერგვაზე, რამდენადაც ისინი როგორც მომხმარებლების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, დაჩქარებას, ასევე ბანკის შიდა სამუშაო პროცესის გამართულ მუშაობას უწყობს ხელს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემდეგი სახის მოკლე დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი: საბანკო ინოვაციის არსებული ცნებები და ჩამოყალიბებულია აღნიშნული ცნების განმარტების ავტორისეული მოსაზრება. გამოვლენილია ბანკებში ინოვაციების გამოყენების აუცილებლობის ძირითადი მიზეზები და წარმოდგენილია საბანკო ინოვაციების შევსებული კლასიფიკაცია და მათი მოკლე დახასიათება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Балабанов И.Г. – Инновационный менеджмент – СПб.: М.: Харьков, Минск, 2011.

2. Викулов В.С. – Концептуальный подход к разработке инновационной стратегии коммерческого банка // Финансовый менеджмент. – 2010. - № 5.

3. Кох Л.В. – Инновации в банковском бизнесе. – СПб.: Изд-во Политех. Ун-та. – 2009.

4. Охлопков А.В. – Инновации в сфере предоставления банковских услуг: автореферат дис. кан. экон. наук. – М.6 2011.

5. https://nbg.gov.ge

6. https://thefinancialbrand.com/news/banking-innovation/top-retail-banking-innovation-trends-for-2023-155918/

**REFERENCES:**

1. Balabanov I.G. – Innovative Management – Issue: M.: Kharkov, Minsk, 2011.

2. Vikulov V.S. – Conceptual Approach to the development of an innovative strategy of a commercial bank // Financial Management. - 2010. - No. 5.

3. Kokh L.V. – Innovations in Banking Business–Issue of Polytechnic University - 2009.

4. Okhlopkov A.B. – Innovations in the sphere of provision of banking services: Auto -abstract for Dissertation of PhD Candidate of Economics– M.6 2011.

5. https://nbg.gov.ge

6.https://thefinancialbrand.com/news/banking-innovation/top-retail-banking-innovation-trends-for-2023-155918/

# CONCEPT OF BANKING INNOVATION AND THEIR CLASSIFICATION

**Ani Tatishvili**
PhD Student of GTU
**a.tatishvili@gtu.ge**

## RESUME

In the framework of this article the concept and role of banking innovations and the author's judgment of this concept are discussed. We will identify the main reasons for the need for innovations in banks and present the significance of the classification of banking innovations and their brief description. Banking innovations include a product, services, and technology, the introduction of which leads to a qualitative change in banking activity and usually brings profit to the bank.

Moreover, it is necessary to classify the banking innovation, as innovative processes should not proceed spontaneously. Through the classification the effectiveness of the implemented change can be calculated more accurately, therefore, it is necessary to create an innovative strategy, which is needed for a specific credit organization, because the effectiveness and competitiveness of a bank's work in the market depends on the introduction of new banking products, technologies and processes. The introduction of innovations in the banking sector is characterized by a higher customer service quality, which contributes to the improvement and acceleration of the customer service quality and the smooth operation of the bank's internal work process.

**Keywords:** Banking innovations; classification; Credit organization; Complex banking services.

## სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი:

*ჟურნალი, ასევე თითოეული სტატია ინდექსირდება შემდეგ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში:* ***CROSSREF*** *(ენიჭება უნიკალური საერთაშორისო ციფრული იდენტიფიკატორი-* ***DOI),*** ***https://search.crossref.org; Google Scholar - http://scholar.bpengi.com; Portico - https://www.portico.org; Zenodo- https://zenodo.org.***

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის **ახალ** შედეგებს ეკონომიკის შემდეგ თეორიულ და გამოყენებით სფეროებში:

ეკონომიკური რეფორმა; ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები; ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია; საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა; ფინანსები, ბანკები, ბირჟები; რეგიონული ეკონომიკა; დარგობრივი ეკონომიკა; ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტის აქტუალური საკითხები; მსოფლიო ეკონომიკა; რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებზე.

სტატიები მიიღება ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე, ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

**სარედაქციო კოლეგია უზრუნველყოფს სტატიის ფარულ რეცენზირებას. იბეჭდება დადებითი რეცენზიის მიმღები სტატია.**

## პლაგიატიზმი და ეთიკური მოთხოვნები

სტატიაში მოყვანილი ფაქტების, მონაცემების სიზუსტესა და პლაგიატზე პასუხისმგებელია ავტორი. სტატიაში სხვისი გამოქვეყნებული ტექსტების მითითების გარეშე გამოყენება დაუშვებელია.

დაუშვებელია ასევე ადრე, სხვაგან გამოქვეყნებული სტატიის დაბეჭვდა ჟურნალში.

## სტატიის გაფორმების წესი

სტატიის მინიმალური მოცულობა 5 გვერდი A4 ფორმატის;

**რეზიუმე** ქართულ და **ინგლისურ** (აუცილებლად) ენებზე (**100-250** სიტყვა);

**საკვანძო სიტყვები** ქართულ და ინგლისურ ენებზე;

სტატიის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ავტორის (ავტორთა) სახელი, გვარი, აკად. ხარისხი ქართულ და ინგლისურ ენაზე, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი;

სტატიის **შესავალი, ძირითადი ტექსტი** და **დასკვნითი** ნაწილი;

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი AcadNusx;

ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი - Times New Roman;

შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, ყველა კიდიდან დაშორება იყოს 2 სმ.

## PUBLICATION REQUIREMENTS FOR SCIENTIFIC ARTICLES:

*The journal, as well as each article, are indexed in the following international scientific databases: **CROSSREF** (assigned an unique International Digital Identifier - **DOI**), **https://search.crossref.org; Google Scholar - http://scholar.bpengi.com; Portico - https://www.portico.org; Zenodo- https://zenodo.org***

The articles to be published in the journal should include the **new results** of scientific research in the theoretical and other practical fields of economics, such as: Economic reform; Modern problems of economics; History of economic doctrines; Legal Provision

of Market Economy; Finances, Banks, Exchange Markets; Regional Economy; Sectoral Economy; Current issues of Business, Marketing, Management; World economy; Reviews on monographs and text-books published recently.

The articles are published in Georgian, Russian, English, German and French languages, in the original language.

**The Editorial Board provides blind review of the articles. The article with positive review is published.**

## PLAGIARISM AND ETHICAL REQUIREMENTS

The Author is responsible for plagiarism and for the accuracy of the facts, data given in the article. It is not permissible to use others' text in the article without their cross-reference.

Moreover, it is also unacceptable to publish the early elsewhere issued article in the journal.

## THE REQUIREMENTS OF FORMATTING SCIENTIFIC ARTICLES:

The minimum volume of the article is 5 pages A4 format;

**Resumes** must be in Georgian and **English** (essential) languages (minimum **100-250** words);

**Key words** in Georgian and English languages;

**Title** of the article in Georgian and English languages;

Name, surname, academic degree of the author (authors) in Georgian and English,

E-mail and telephone number;

Introduction to the article, Basic text and Conclusion;

List of References in Georgian and English languages;

For Georgian text, please use the Georgian font **AcadNusx.**

For English and Russian texts please use **Times New Roman;**

Font size 12, the interval 1,5cm , Line Spacing- 2 cm.

# ჟურნალი „ეკონომიკა“
# გამოდის 1918 წლიდან.

გამოცემა გამოდიოდა შემდეგი სახელწოდებებით:
საქართველოს ეკონომისტი (1918 N1- N6),
ეკონომისტი (1925-1926),
საქართველოს ეკონომისტი (1926-1931),
საქართველოს სოციალისტური მეურნეობა (1931-1941),
საქართველოს ეკონომისტი (1958-1967),
საქართველოს სახალხო მეურნეობა (1967 N4 დან-1973),
ეკონომისტი (1974-1990),
ეკონომიკა (1991 წლიდან -).

**სხვა სათაურით**

საქართველოს ეკონომისტი.
საქართველოს სოციალისტური მეურნეობა.
საქართველოს სახალხო მეურნეობა.
ეკონომისტი.
ეკონომიკა.
Экономист Грузии.

ISSN: 0206-2828.
განახლებული ISSN 2587-4713

E-ISSN 2733-3361

**UDC: 338(922)(05)**

შპს ჟურნალი „ეკონომიკა“
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.
ტელ: 599 56-90-78.
**economics.bpengi.com**
**E-mail: economica_2008@yahoo.com**
**E-mail: economica_1918@yahoo.com**

**ООО журнал «ЭКОНОМИКА»**
**Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63**
**Тел. 599 56-90-78**
**economics.bpengi.com**
**E-mail: economica_2008@yahoo.com**
**E-mail: economica_1918@yahoo.com**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების, საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტები.
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გადაეცა ასაწყობად 25.02.2023 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.02.2023 წ.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12,875

უაკ (UDC): 338(922)(05)

E-ISSN 2733-3361